გაზეთი ზღვრის, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№8 (764) 25 - 27 იანვარი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# 20 გვერდი

## საპრეზიდენტო კანდიდატები — განხეთქილება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებში“

გვ. 5



## „ივანიშვილმა ალასანიათი ოსტატურად ისარგებლა“

გვ. 3

რატომ ბარდება ხელისუფლება „რესპუბლიკელებს“ და შექმნის თუ არა „მესამე ძალას“ თავდაცვის მინისტრი

## საიდუმლო შეხვედრა საფიჩხიაზე



რის ფასად „გაურიგდა“ გუბაზ სანიკიძე „ნაციონალ“ გოჩა თევდორაძეს ქუთაისის მერის კანდიდატურაზე?

გვ. 4

კოალიციის იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსი მამუკა სიგუა გუბაზ სანიკიძეს ბრალს სდებს!

## „იმედია, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიება-გადმოსვენების პროცესი განახლდება“

როგორ შეუშალა ხელი სააკაშვილის ხელისუფლებამ აფხაზეთში დაღუპული გმირების ნეშტების გადმოსვენებას

გვ. 11

„ხელს არავის ვახლებ, მინდა, მშვიდად დავასრულო სიცოცხლე!“

## „დედ ჰასანის“ ერთადერთი ინტერვიუ

გვ. 14

## ჩოხატაურში ყველისა და ხილის გადამამუშავებელი ქარხნები აშენდება



რა მოლაპარაკებებს აწარმოებს ფრანგებთან და რას პასუხობს „ნაციონალების“ ბრალდებებს

**თემურ ჭკუასელი**

გვ. 7

## ხადური-მერაბიშვილის საბიუჯეტო ომი

რატომ არ უჭერს მხარს ფინანსურ ამნისტიას ფინანსთა მინისტრი

გვ. 6

## დასაჭერ „ნაციონალთა“ 400-კაციანი სია

ვის დაპატიმრებას სთხოვს პოეტი ვაჟა ოთარაშვილი ივანიშვილის ხელისუფლებას

გვ. 9

## მანდატურებს ფსიქოლოგებად და ექთნებად გადაამზადებენ?!

რა შემთხვევაში გამოიყენებენ მოსწავლეებზე ფიზიკურ ძალას ან სპეციალურ საშუალებებს

გვ. 10

## გელათის ტაძრის „გადარჩენის“ გეგმა

გვ. 13

## მობილური და ფიქსირებული კავშირის კომპანიები პორტირებისთვის წელიწადში 5 000 000 ლარს იხდიან?!




რატომ გამოაცხადა კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ტენდერში გამარჯვებულად სამკაციანი კომპანია და ვინ დგას „მეღიაპრო ჯორჯიას“ უკან?

გვ. 8

## პუტინმა ილია მეორეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა



რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

რუსული მედიის ცნობით, პუტინმა საქართველოს პატრიარქს დაბადებიდან 80 და ინტრონიზაციიდან 35 წლის იუბილე და მოსკოვში მართლმადიდებელი ერთობის ფონდის პრემიის მინიჭება მიულოცა. **„განსაკუთრებული მადლობა კი მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ თქვენ, დღევანდელ მძიმე პირობებში, მხედველობაში მაქვს არცთუ იოლი ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, ყველაფერს აკეთებთ, რათა ხელი შეუწყოთ ჰუმანიტარული, კულტურული და სულიერი კონტაქტების შენარჩუნებას მოძმე ერებს შორის“,** — მიმართა პუტინმა ილია მეორეს. მოსკოვში, ნოვო-ოგარევოს საპრეზიდენტო რეზიდენციაში გამართულ ილია მეორისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრას, სრულიად მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქი კირილიც ესწრებოდა.

*„მედიანიუსი“*

## ცვლილებები „დედაქალაქის შესახებ კანონში“



საქართველოს დედაქალაქის დასუფთავებისთვის მოსაკრებლის მარეგულირებელი ნორმები იცვლება, რომლის შესახებ რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელეს.

ცვლილება პარლამენტის წევრის, თინათინ ხიდაშელის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით შედის კანონპროექტებში: „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ხიდაშელის განმარტებით, დასუფთავებისთვის მოსაკრებლის მარეგულირებელი ნორმები ერთიან სისტემაში მოექცევა და გამოირიცხება იმ ტიპის მანიპულაცია, რაც თბილისის საკრებულოს მიერ განხორციელდა მოსაკრებლის მომსახურების საფასურად ტრანსფორმაციასა და თბილისელებისთვის დამატებითი ფინანსური ტვირთის დაწესებით.

მისივე თქმით, თბილისის საკრებულოს მიერ დასუფთავების გადასახადის წესთან დაკავშირებით განხორციელებულმა მანიპულაციამ, საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ცვლილება ეხება არა ადმინისტრირების, არამედ ტარიფის ანგარიშის ნაწილს. კანონის 44 მუხლს ემატება 4ნაწილი, რომლის მიხედვით, მოსაკრებლის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, თვეში 3 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, თუმცა ხიდაშელის განმარტებით, გადასახადის აღნიშნული ოდენობა, შესაძლოა, 2,5 ლარამდეც შემცირდეს და 4 სულზე გადაანგარიშებით შემოისაზღვროს. ხიდაშელი ვაუჩერის სისტემის წინააღმდეგია. მისი თქმით, არსებობს სხვა, უფრო ცივილური სისტემა, რომელიც მოსახლეობას გადასახადის ოდენობას შეუმცირებს. კანონით ფიქსირებული ტარიფის განსაზღვრის შემდეგ, საკრებულო დაადგენს გარკვეულ ტარიფებს ცალკეული სოციალური ჯგუფებისთვის.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, ტარიფების ოდენობის შესახებ პარლამენტში მსჯელობა გაგრძელდება, თუმცა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატები კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას, ზოგად პრინციპებზე შეთანხმდნენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## „ვაშაკიძემ სერიოზულ კითხვაზე არასერიოზული პასუხი გამცა“



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ნიკოლოზ ვაშაკიძემ სომხეთში ვიზიტის მომზადებისას, სერიოზულ კითხვაზე არასერიოზული პასუხი გასცა: **„სხვათა შორის, ნიკოლოზ ვაშაკიძე არავის გაუთავისუფლებია. ის მართლაც, წავიდა თავისი ნებით, მაგრამ მგონი, მან იგრძნო ჩემი დამოკიდებულება მისდამი. ორჯერ შევხვდი მას, როდესაც სომხეთში ვიზიტისთვის ვემზადებოდი. იქ ყველა სამინისტროდან იკრიბებიან ხოლმე და ასეთი შეხვედრა გვქონდა ორჯერ. აფხაზეთის რკინიგზის საკითხზე, რაც წამოსწიეს, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთოდ არ ჰქონდა პოზიცია და ამ მიმართულებას ვაშაკიძე კურირებს. როდესაც ყველა საკითხი ჩამოთვალა, მე ჩავეკითხე: კი, მაგრამ, აფხაზეთის რკინიგზის საკითხს, ხომ იცი, რომ შემეკითხებიან, რა უნდა ვთქვა-მეთქი? „მე მზად არ ვარ“, — მიპასუხა, არადა, მეორე დღეს უკვე სომხეთში მივდიოდი. როდის გექნება მზაობა-მეთქი? ერთი კვირის შემდეგო. ჯერ არ ჰქონდა კითხვარში შეტანილი საკითხი, რომელიც აქტუალური იქნებოდა და აუცილებლად უნდა გქონდეს პოზიცია პოლიტიკოსს, რომ მიდიხარ, რა უნდა თქვა და როგორ... ვაშაკიძეს ეს საერთოდ ჩაწერილი არ ჰქონდა და როდესაც ვკითხე, რა პოზიცია ჰქონდა, მითხრა, არ მაქვს პოზიცია და ერთ კვირაში ჩამოვაყალიბებო. მეგონა, ხუმრობდა თავიდან და იქ ნახა ჩემი რეაქცია, რომ ეს არასერიოზული პასუხი იყო და შეიძლება, ჩემზეც გაბრაზდა, რაც წასვლას უკავშირდება“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

რაც შეეხება ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებას საგარეო პოლიტიკურ კურსთან შეუთავსებლობის შესახებ, პრემიერ-მინისტრმა იკითხა: **„რას არ ეთანხმება ნიკოლოზ ვაშაკიძე, ევროპა არ უნდა თუ ნატო-ს წინააღმდეგია?“** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ თანამდებობა დატოვა და საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის მხრიდან დიპლომატიურ სამსახურში დარჩენის თხოვნის მიუხედავად, საგარეო პოლიტიკური უწყებიდან წავიდა.

*„პირველი“*

## ცეზარ ჩოჩელი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი დააკავა. გამოძიება მას უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობაში ადანაშაულებს.

კერძოდ, გამოძიების ინფორმაციით, ცეზარ ჩოჩელი გუბერნატორობისას უკანონოდ მონაწილეობდა შპს „ნიუ ენერჯის“ საქმიანობაში.

**„იგი მფარველობას უწევდა აღნიშნულ შპს-ს და ხელს უწყობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში. აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ, იგი უკანონოდ იღებდა დიდი ოდენობით შემოსავლებს და ფულის გათეთრების გზით, აძლევდა კანონიერ სახეს. 2010 წლის ზაფხულში, ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ნიუ ენერჯიმ“ ჩოგბურთისა და კალათბურთის მოედნების მოსაწყობად თურქეთიდან ჩამოიტანა 61 845 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი და თბილისში, კერძოდ, სოფელ დიღომში ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა. გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე და 194-ე მუხლების მესამე ნაწილით, რაც 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“,** — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში.

ცეზარ ჩოჩელი 2002 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, დაბა ახალგორის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო ამავე წლის 2 ივლისს, ახალგორის რაიონის გამგებლად დაინიშნა.

2003 წლის 2 ნოემბერს, იგი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად ახალგორის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. 2008 წლის თებერვლიდან მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულად დაინიშნა. ცეზარ ჩოჩელი თანამდებობიდან 2012 წლის 24 ნოემბერს გადადგა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## მინისტრებმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს მინისტრებმა — კონსტანტინე სურგულაძემ და ლევან ყიფიანმა.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან, საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობის განვითარების პროგრამის განხორციელებას, საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეების, საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდას, რათა მათ შეძლონ, ერთი მხრივ, ქვეყნის ცხოვრების, ბიზნესის, დასაქმების პროგრამების, სერვისებისა და მათთვის საინტერესო სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღება და ამავე დროს, საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან კავშირების შენარჩუნება; დიასპორული ორგანიზაციების მონაწილეობით სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების (სპორტული შეჯიბრებები, ახალგაზრდული პროექტები და სხვა) და გაცვლითი პროგრამების განხორციელებას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან დაახლოების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. **„ჩვენი მიზანია, თანამემამულეები, ახალგაზრდები მაქსიმალურად ჩავრთოთ თავისი ქვეყნის ცხოვრებაში, აღმშენებლობაში, იქნება ეს სპორტი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფერო, რათა ხელი შევუწყოთ მათი რესურსისა და პოტენციალის სრულად გამოყენებას ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ“,** — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძემ.

მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებენ გეგმას, სადაც განისაზღვრება ორმხრივი თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები და დეტალები.

*„მედიანიუსი“*

## რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე ერთმანეთს 4 ავტომანქანა შეეჯახა




თბილისი-რუსთავის ცენტრალურ მაგისტრალზე ერთმანეთს ოთხი ავტომობილი შეეჯახა, რამაც მაგისტრალის სრული პარალიზება გამოიწვია.

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა 7 ადამიანი დაშავდა, აქედან ორის მდგომარეობა მძიმეა. ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რუსთავისა და თბილისის საავადმყოფოებში გადაიყვანა.

ოთხივე ავტომობილი, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. მოგვიანებით, რუსთავი-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე საავტომობილო მოძრაობა ნაწილობრივ აღდგა. ავტოავარიის გამომწვევ ზუსტ მიზეზებს გამოძიება დაადგენს.

*„მედიანიუსი“*

## მამუკა კაციტაძე თბილისის მერის ინიციატივას ეწინააღმდეგება



**„თბილისის მერის მიერ საკრებულოსთვის შეთავაზებული ინიციატივა თბილისის ათ რაიონად დაყოფის შესახებ სპონტანური, ნაჩქარევი და ფრაგმენტულია“,** — აცხადებს, საკრებულოს წევრი, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე. მისივე თქმით, მერის ინიციატივა დედაქალაქის წინაშე არსებული უფრო ფართო მასშტაბის პრობლემების დარეგულირებას ვერ უზრუნველყოფს: **„დედაქალაქის მერის ამ ინიციატივის განხორციელება, ერთი მხრივ, დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯების ზრდას გამოიწვევს, მეორე მხრივ, ვერ მოაგვარებს იმ პრობლემებს, რომელიც დედაქალაქის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მართული ფუნქციონირებისა და ეფექტურობის თვალსაზრისით არსებობს“.**

კაციტაძე ასევე აღნიშნავს, რომ თბილისი ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტია საქართველოში და მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა თუ, ზოგადად, თვითმმართველობის ფუნქციონირება, ერთ-ერთი პრინციპული საკითხია. განსაკუთრებით მაშინ, როცა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ქვეყანაში დაგეგმილია თვითმმართველობის ორგანოების გლობალური რეფორმა და სერიოზული ცვლილებების განხორციელება ამ მიმართულებით.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**როგორ შეეწირა ერთადერთი პოპულარული ლიდერი კოალიციაში, ირაკლი ალასანია „რესპუბლიკელების“ საკონსტიტუციო ქსელებს, რომელთა გაბმა ცნობილმა „შვიდკაცამ“ ჯერ კიდევ 1992 წლიდან დაიწყო, რატომ მოინელებს ქართველი ამომრჩევლის „ყოვლისშემძლე კუჭი“ პრეზიდენტის პოსტზე „მთავარ მკერავ“ ვახტანგ ხმალაძეს, რომელსაც პირდაპირი წესითაც კი ვერ აირჩევს და რა არის, რეალურად, ბიძინა ივანიშვილის სტრატეგია ალასანია-უსუფაშვილის დაპირისპირებულ პარტიებთან მიმართებაში — ვიცე-პრემიერის მოხსნის მთავარ სიგნალებსა და „ოცნების“ მიზანმიმართულ პოლიტიკაზე ანალიზს პოლიტოლოგადქცეული ირინა სარიშვილი აკეთებს.**

# „ივანიშვილმა ალასანიათი ოსტატურად ისარგებლა“

## რატომ ბარდება ხელისუფლება „რესპუბლიკელებს“ და შექმნის თუ არა „მესამე ძალას“ თავდაცვის მინისტრი



— საერთოდ, ვიცე-პრემიერის პოსტი ასეთ მთავრობაში კიდევ უფრო უფუნქციოა, ვიდრე რომელიმე კონკრეტული მინისტრისა. თავად ვიყავი ვიცე-პრემიერი და ვიცი, რომ ამ განლაგების მთავრობაში, სჯობს, იყო რომელიმე სამინისტროს ხელმძღვანელი. თავიდანვე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ალასანია მთავრობაში, უბრალოდ, დასაქმდა. პირველივე სიგნალი, რომ მის პოლიტიკურ კარიერაზე ივანიშვილი არ ზრუნავდა, თავდაცვის მინისტრად დანიშვნა იყო, რადგან უზარმაზარი სტრატეგიული მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოში ეს სამინისტრო რეალური არაა. სინამდვილეში, ამ უწყების მინისტრი სამეურნეო მუშაკია, რომელმაც ჯარის აღჭურვასა და ჯარისკაცების მდგომარეობაზე უნდა იზრუნოს — მას არ აქვს და ვერც ექნება თავისი პოლიტიკა. შესაბამისად, არც კარიერისთვისაა სატრამპლინო ადგილი ისევე, როგორც ალასანიას მიერ დაკავებული მეორე პოსტი. ასე რომ, დიდ ყურადღებას ნურც მომავალ ვიცე-პრემიერს მიაქცევთ. რაც შეეხება ალასანიას, ყველა ნიშან-თვისებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს სწორედ მისი ფიგურა მოერგებოდა და არა მაია ფანჯიკიძე. ქალია და გადამირჩა! იმის მიუხედავად, რომ ალასანია ბიძინას კოალიციაში ერთადერთი მისაღები ლიდერი იყო ხალხისთვის, მისი პარტია მაინც ჩაჩოჩებულია.

**— რატომ ჩააჩოჩა ივანიშვილმა ერთადერთი პოპულარული ლიდერი, როცა ყველას ეგონა, სწორედ ალასანია ხდებოდა პრეზიდენტობის კანდიდატი?**

— გარდა ხალხის გულწრფელი მხარდაჭერისა, ივანიშვილი პირველ ადგილზე იმის გამოც გავიდა, რომ ხელისუფლებაში, ორთქმავლის პრინციპით, იგივე მენტალობისა და მსოფლმხედველობის ადამიანები უნდა მოსულიყვნენ, ვინც აქამდე იყო. დავფიქრდეთ — ასეთი გამარჯვებისთვის იბრძოდა ვინმე? ივანიშვილი რომ მოვიდა, ერთადერთი ნათელი ფიგურა, ვის მიმართაც მოსახლეობას დადებითი განწყობა ჰქონდა, სწორედ ალასანია იყო. ყველა დანარჩენი საკმაოდ ტოქსიკურ გრძნობებს იწვევდა, განსაკუთრებით, „რესპუბლიკელები“.

> **ივანიშვილმა ალასანიათი საკმაოდ ოსტატურად ისარგებლა და შეიქმნა საყოველთაო აზრი, რომ ბიძინა პრემიერი უნდა ყოფილიყო, ალასანია — პრეზიდენტი. სხვათა შორის, არჩევნებამდე ეს აზრი ივანიშვილსაც არ გაუპროტესტებია. არჩევნების მერე კი ამბობდა, ყველას აქვს უფლება, კენჭი იყაროს, მაგრამ ჯერ არაფერი გადაწყვეტილაო და ორ-სამჯერ ახსენა, როგორაა მოხიბლული ერთ-ერთი „რესპუბლიკელით“. მე ვიცი ერთი რამ — ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტი სწორედ ამ პარტიას ჩააბარა, ვახტანგ ხმალაძე კი, ნამდვილად, კონსტიტუციის ექსპერტია, თან საკმაოდ დიდი ხანია.**

**— ჯერ კიდევ 1992 წლიდან, როცა სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ედპ-მ აიღო, გამსახურდია გროზნოში იყო და პრეზიდენტის სტატუსს ინარჩუნებდა, ხოლო საქართველოში ჩამოსულ შევარდნაძეს, გაურკვეველი სტატუსით, საკანონმდებლო ბაზა „სახელმწიფო მეთაურის“ პოსტისთვის მოუმზადეს — ეს სწორედ ამ პარტიამ არ გააკეთა?**

— პირდაპირ უნდა ითქვას, მაშინაც „რესპუბლიკელები“ იყვნენ, ოღონდ სხვა. მაშინ ეს პარტია ცოტა სხვა შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. მასში არ იყო ცოლ-ქმარი, მაგრამ იყვნენ ძმები და ძველი „რესპუბლიკელები“. იმ პერიოდში, ყველა საკონსტიტუციო საკითხი, მათ შორის, არარსებული ინსტიტუტების შექმნა თუ საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაძლიერება, სწორედ „რესპუბლიკელების“ გაკეთებული იყო. ამ ყველაფერს კი სათავეში ვახტანგ ხმალაძე ედგა. ყველამ იცოდა, რომ მტრები ვართ თუ მეგობრები, როცა კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის დაწერაა საჭირო, ეს ხმალაძემ უნდა გააკეთოს. აი, დღეს რა ხდება, ჩვენს თვალწინ — წარმოუდგენლად მცირერიცხოვან და წარმოუდგენლად არაპოპულარულ ჯგუფს მთელ ოპოზიციაში, ასე, მშვიდად და ნელა ბარდება ხელისუფლება!

**— ე.ი. სწორედ ეს პარტია ამზადებს არარსებულ პოსტს, შევარდნაძისთვის აძლიერებს პრეზიდენტის ინსტიტუტს, რასაც მერე, სააკაშვილის პირობებში აგრძელებს და მათივე ინიციატივაა საკანონმდებლო ცვლილებები პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შესაკვეცად — რატომ?**

— ვიდრე არჩევნები ჩატარდებოდა, შევარდნაძეს სურდა, რაღაც ლეგიტიმაცია მიეღო. „პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფო მეთაური“ — ასე ერქვა მის პოსტს, რადგან ქარიზმატული პრეზიდენტის, გამსახურდიას მერე, მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეობა ისე ვერ ჟღერდა. ამ გაუგებრობაში ვიყავით პირველ არჩევნებამდე, მაგრამ პირველი საპარლამენტო არჩევნები სწორედ ამ არარსებული მექანიზმით ჩატარდა: ვირჩევდით პარლამენტს და ცალკე პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფოს მეთაურს — ალბათ, ეს უფრო საპრეზიდენტო არჩევნების გენერალური რეპეტიცია იყო.

> **დღეს ვითარება სხვაგვარია: თუ ბიძინა ივანიშვილს ჩაფიქრებული აქვს, მაგრამ პრეზიდენტი, თუნდაც სუსტი, „რესპუბლიკელი“, ან რომელიმე უსახური ადამიანი გახდეს, განსხვავებით ირაკლი ალასანიასგან, მაშინ აუცილებლად იქნება მცდელობა, პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს.**

**— ვის აქვს, ამ დროს, საპარლამენტო უმრავლესობა?**

— დაწყებული მნიშვნელოვანი კომიტეტების თავმჯდომარეობიდან, დასრულებული პარლამენტის თავმჯდომარეობით, „ოცნების“ უმრავლესობაში უმრავლესობა „რესპუბლიკელებს“ აქვთ! ახლა კიდევ ერთხელ, მოწიწებით შევახსენებ ყველას, 1 ოქტომბერს ეს ავირჩიეთ? „ოცნებამ“, ძალიან კარგად იცის, რომ იმის შიშით, ისევ „ნაციონალები“ არ დაბრუნდნენ ხელისუფლებაშიო, ციხის კარი ხან იქით რომ გააღოს და ხან აქეთ შემოაღოს, ხალხი ხმას მაინც არ ამოიღებს. რაც უნდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოვითხოვოთ, რა შეიცვლება — ალბათ, ცოტა მეტს მიიღებენ „ნაციონალები“, რადგან არჩევნებზე ნაკლები ადამიანი გავა.

**— მაგრამ რას ნიშნავს ერთი და იგივე ადამიანების მიერ, კონიუნქტურის მიხედვით, ინსტიტუტების ჯერ ნგრევა და მერე შექმნა?**

— „რესპუბლიკელებმა“ იციან, როგორ მოარგონ კონსტიტუცია ადამიანებს. შესაბამისად, მათ მიერ მომზადებულ კანონში გვარი სულ იგულისხმებოდა, უბრალოდ, ყაზახეთისგან განსხვავებით, გვარს პირდაპირ არ ვწერდით. ამ პარტიაში, პროფესიონალი მკერავები არიან, იმ ზომებზე, რისი დაკვეთაც აქვთ კონკრეტულ შემთხვევაში, კანონს კარგად კერავენ, უბრალოდ, ალასანიასთვის, ზოგადად, ზომებიც არც ექნებათ აღებული! ირაკლი კი, პიროვნულად, ძლიერი პოლიტიკური ფიგურა არ არის, თუმცა არც უსახურია და სადაც იქნება, თავის გარემოს შეიქმნის. დღეს კი იმ ტიპის საპრეზიდენტო კანდიდატზეა საუბარი, რომელიც, მაინცდამაინც, არც თვითონ იქნება მოწადინებული, თავისი ძალაუფლება ვინმეზე გაავრცელოს და თავსაც მშვიდად იგრძნობს. მოჭიხვინე, კომიკური ბოროტება, სააკაშვილის სახით, შეიცვლება გალიმებული, ნატიფი ბოროტებით, რომელიც კარგად მოიქცევა, ცხვირსაც კარგად მოიხოცავს და არც ხშირად გამოჩნდება ეკრანზე. რეალურად, ჩვენ ამ ხელისუფლებას სადღაც უხილავ ადგილას გადავიყვანთ, საიდანაც გვმართავენ, მაგრამ როცა რაღაც გვექნება გასაპროტესტებელი, მისამართი არ გვეცოდინება, სადაც უნდა მივადგეთ!

**— მაგრამ „რესპუბლიკელებმა“ ისიც ხომ იციან, რომ ურეიტინგობის გამო, მათ პარტიას არჩეული პრეზიდენტი ვერ ეყოლება, შესაბამისად, საკონსტიტუციო უმრავლესობაც სჭირდებათ — ამის საშუალებას „ოცნების“ მეორე ნაწილი და „ნაციონალები“ მისცემენ?**

— ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტზე ახლა არც არის ლაპარაკი. კონსტიტუცია აუცილებლად შეიცვლება და საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავალთ. მიშა სააკაშვილი პრეზიდენტი ვეღარ იქნება და არა მგონია, სხვისთვის ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტი რომელიმე „ნაციონალს“ უნდოდეს. ისინი „ოცნებას“ ხელს არაფერში შეუშლიან. გადარჩენის მექანიზმი კი მესამე ძალაშია, რომლის შექმნისაც ოცნებ-ნაციონალებს ტყვიასავით ეშინიათ. როგორც კი დაინახავენ, მესამე ძალის ჩამოყალიბების შანსი არსებობს, აუცილებლად ხელს შეუშლიან. სხვათა შორის, ალასანია ახლა თამაშგარე მდგომარეობაშია და თუ არ მოინდომა დამოუკიდებელ ძალად ჩამოყალიბება, ჭკვიანურიც იქნება.

**— ეს მესამე ძალა ალასანიაც შეიძლება იყოს?**

— ეჭვი მეპარება, ეს მარტომ შეძლოს. შესაძლოა, ალასანიამ ხელი ამ მესამე ძალის შექმნას შეუწყოს, თუ მისი ლიდერი არ იქნება. ივანიშვილი კი გასწრებას აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ამბობს, შეიძლება, პოლიტიკიდან ერთ ან ორ წელიწადში წავიდე ან დავრჩეო. მის უკან მდგომმა ძალებმა კი იციან, რას ნიშნავს ფულიან ხალხთან „რესპუბლიკელების“ ყოფნა — რაღაც პერიოდის მერე, ისინი, როგორც სხვებს, ისე ივანიშვილსაც ფულის ტომარას დაუძახებენ, როცა მათთვის საჭირო აღარ იქნება.

**— გამოდის, კოალიციას „რესპუბლიკელები“ მართავენ და ეს არცთუ დამაჯერებლად ჟღერს.**

— ივანიშვილი იმას მართავს, რისი მართვის სურვილიც აქვს. ბიძინა არაა გუნდური მოთამაშე, ის ბიზნესმენად დარჩა და მის გამაოგნებელ განცხადებებშიც ჩანს, როგორ არ აინტერესებს პარლამენტსა და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენები. მაგალითად, ახლა იცის, რომ ალასანია არ უნდა გახდეს საპრეზიდენტო კანდიდატი.

**— ერთი ვერსიით, ეს წინასწარმოფიქრებული სვლაა, რათა „რესპუბლიკელებს“ აფიქრებინოს, ყველაფერი მათი გეგმის მიხედვით მიდის, ბოლოს კი, ალასანიას ხელით თავიდან მოიშოროს. ამ სქემას გამორიცხავთ?**

— იცით, რამდენი ხანია ეგ ხმები დადის?! რაც ივანიშვილმა გვერდით „რესპუბლიკელები“ დაიყენა, მას მერე ამბობენ — ახლა მილიონები იმიტომ დაურიგა, რომ მეტს აღარაფერს მისცემს და თავს დაანებებენო, მერე სიაში რომ ნახეს, ახლა ასეა საჭირო, მაგათ მერე მიხედავსო, პარლამენტში რომ შეიყვანა და პოსტებზე დანიშნა, კიდეც ამბობდნენ, ამას ნამდვილად რაღაც აქვს ჩაფიქრებული და მერე გავიგებთო. ეს „შვიდკაცა“ „რესპუბლიკელები“ კი, უეცრად, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის საყრდენი ძალა ამდენი ხნის განმავლობაში აღმოჩნდა და სად ამოყოფს თავს ეს შეთქმულება და როდის „მიხედავს“ ამ პარტიას, არავინ იცის. საერთოდ, ეს ქართველების სენია, იმდენხანს ვაცდით ხოლმე ყველას, სანამ გაფცქვნილი კარტოფილივით არ დაგვტოვებენ!

**— ახლა, ისე ხომ არ ვხატავთ მოვლენებს, რომ ხალხი დანიშნულ პრეზიდენტსაც აიტანს მაშინ, როცა სააკაშვილს მერებისა და გუბერნატორების არჩევითობაზე ვედავებოდით?**

— ჩვენი კუჭი ყოვლისშემძლე აღმოჩნდა — ყველაფერს მოვინელებთ! უბრალოდ, ის პომპეზური დაპირებები სამართლიანობის აღდგენასა და სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე გვერდზე დაგვრჩა და აქცენტი მთლიანად ცოცხებით მიღებულ შთაბეჭდილებებზეა გადატანილი, რაც პატიმრების თემას ჯერ კიდევ აცოცხლებს!

## „საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკა ყველაზე გამართლებული და აუცილებელი რეჟიმი არ არის“



ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა უმრავლესობის ინიციატივასთან დაკავშირებით განაცხადა, რომლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არაპირდაპირი წესით უნდა აირჩეს:

**„მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის საპარლამენტო რესპუბლიკა მაინცდამაინც გამართლებული და აუცილებელი რეჟიმი არ არის. სამწუხაროდ, საქართველოში ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი არასოდეს ყოფილა. არც ყოფილა ხალხისთვის ახსნილი, რას გულისხმობს საპარლამენტო რეჟიმი, რა სიკეთის მომტანია ან რა უარყოფითი ხასიათის მატარებელი საპრეზიდენტო რეჟიმი. ჩვენ ვმსჯელობთ საპრეზიდენტოზე სააკაშვილის მაგალითით (რაც, სინამდვილეში, საბჭოთა ტიპის დიქტატურა და არა ჭეშმარიტი საპრეზიდენტო წყობა იყო) და საპარლამენტოზე, რაღაც მიღებული კლიშეებით ან კიდევ პირველი რესპუბლიკის მითით, მაგრამ ცოტამ იცის, თუ რა მახინჯ ფორმებს იღებს ზოგჯერ საპარლამენტო წყობა, როცა არც ძლიერი პარტიები არსებობს და არც ძლიერი სამოქალაქო ინსტიტუტები, ქვეყანა კი პარტიული შეჯახების არეალი ხდება. სხვაა ინგლისის მაგალითი, სადაც ძლიერი პარტიები და დემოკრატიული ინსტიტუტები არსებობს და უძველესი საპარლამენტო ტრადიციაა. საპარლამენტო რეჟიმს ზოგი პარტია მხარს უჭერს არა სერიოზული ქართული კონსტიტუციური ისტორიისა და ტრადიციების საფუძველზე, არამედ იმიტომ, რომ ისეთი პოპულარობით აღჭურვილი ლიდერი არა ჰყავთ, რომელიც საპრეზიდენტოში გამარჯვების იმედს აძლევს. სხვები კი საპრეზიდენტოს უჭერენ მხარს, რადგან მიაჩნიათ, რომ შანსი გააჩნიათ. ამ დროს ჯერ არ ყოფილა სერიოზული განხილვა, საქართველოსთვის რომელი წყობა იქნება უკეთესი, რომელი დააკმაყოფილებს მის შინაგან კულტურულ და მენტალურ მოთხოვნებს. ეს სერიოზული საკითხია და ვერ გადაწყდება იმით, ვისთვის რომელი ვარიანტი უფრო მომგებიანია. საქართველო, როგორც ტიპური „მონარქიის ტრადიციის მქონე“ ქვეყანა, მუდმივად ეძებს თავის „მეფეს“. სამწუხაროდ, ამ ძიებაში ზოგჯერ, თავის სულს კარგავს და ბევრ შეცდომას უშვებს, ამიტომ ამ საკითხს კარგად მოფიქრება სჭირდება. საჯარო განხილვა, მშვიდი და არა პარტიების ამბიციებზე დაყრდნობილი. კარგი იქნება, თუ არ ავჩქარდებით“.**

*„პირველი“*

## საქართველო-რუსეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება



გადაწყვეტილება 23 იანვარს, დავოსში საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელის, გიორგი პერტაიასა და რუსეთის ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელობის შეხვედრაზე მიიღეს.

**„რამდენიმე ქვეყნის ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელ პირებთან საინტერესო შეხვედრები შედგა, მათ შორის რუსეთის, რომელთაც ძალიან დიდი ინტერესი აქვთ საქართველოს მიმართ. საინვესტიციო სააგენტო თბილისში ფორუმის ჩატარებას აპირებს, რომელზე დასასწრებადაც რუსეთიდან სერიოზული კომპანიების, გადაწყვეტილებების მიმღები კომპანიების ხელმძღვანელები ჩამოვლენ“,** — აცხადებს პერტაია.

*„პირველი“*

## ბიძინა ივანიშვილი და დიმიტრი მედვედევი დავოსში ერთმანეთს გაესაუბრნენ



რუსული მედიის ცნობით, რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი დავოსში მყოფ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს მიღებაზე გაესაუბრა. ეს არის პირველი გასაუბრება, რომელიც ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებს შორის შედგა.

**„საქართველოს პრემიერ-მინისტრი პირველი მივიდა დიმიტრი მედვედევთან და მათ რამდენიმე წუთის განმავლობაში ისაუბრეს“,** — წერს რუსული მედია, რომელიც დავოსში გამართული მიღების ერთ-ერთი მონაწილის ინფორმაციას ეყრდნობა.

რუსეთის მთავრობის პრესმდივანმა ნატალია ტიმაკოვამ განაცხადა, რომ ასეთი დიდი ფორუმების დროს, მსგავსი კონტაქტები ტრადიცულია.

*„ინტერპრესნიუსი“*

## „თუ შეცდომას დავუშვებ, პრემიერს უფლება აქვს, საჯაროდ გამკიცხოს“




ეს განცხადება იუსტიციის მინისტრ თეა წულიკიანს ეკუთვნის, რომელმაც დასძინა, რომ ამ ეტაპზე, მისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ვიცე-პრემიერის თანამდებობას ირაკლი ალასანია პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების საფუძველზე ჩამოშორდა. წულუკიანის თქმით, მთავრობაში ჩათვალეს, რომ ალასანიას აკისრია ისეთი დიდი ტვირთი, როგორიცაა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ქართულ ჯარზე ზრუნვა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა: „აქედან გამომდინარე, პრემიერმა მასთან შეთანხმებით გადაწყვიტა, ალასანიას მოხსნოდა ის ზედმეტი ტვირთი, რაც ვიცე-პრემიერობაა. თუ ორ ადამიანს შორის იყო ერთი-ერთზე შეხვედრა და ე.წ. მძიმე საუბრები, ამის შესახებ ჩემთვის ცნობილი არაფერია. ამ დიალოგიდან რამეც რომ ვიცოდე, საჯაროდ ამაზე მაინც ვერ ვისაუბრებდი“. წულიკიანი არ დასწრებია „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური საბჭოს იმ სხდომას, რომელზეც, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიაზე, როგორც მომავალ საპრეზიდენტო კანდიდატზე იმსჯელეს.

**„ირაკლი ალასანიამ მკითხა აზრი და ვუპასუხე, თუ იქნება იგი კოალიციის ერთიანი კანდიდატურა და ეს იქნება ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული, რატომაც არა. იყო თუ არა ეს ბიძინა ივანიშვილთან შეთანხმებული, ჩემთვის უცნობია. პარტიაში გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაზეც არაფერი ვიცი, რადგან მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრი ვარ, ხშირად ვერ ვნახულობ დროს, პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომებზე დასასწრებად“,** — დასძინა წულუკიანმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს გიორგი პერტაია უხელმძღვანელებს

ამ ინფორმაციას საპარტნიორო ფონდი ავრცელებს, რომლის აღმასრულებელი დირექტორის, ირაკლი კოვზანაძის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი პერტაია იქნება.

**„გიორგი პერტაია 2 თვის განმავლობაში სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო და იგი დირექტორად დაინიშნა“,** — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

*„პირველი“*

თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

**კოჰაბიტაციის მიზეზი ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის, შესაძლოა, მერის კანდიდატურა გახდეს. საქმე ისაა, რომ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში ძალთა გადანაწილებაზე საუბარი, ბოლო პერიოდში, სულ უფრო აქტიურ ფაზაში შედის. ტყავის სავარძლების მორგების მიზნით, დაპირისპირება არა მხოლოდ „მეოცნებეებსა“ და „ნაცებს“ შორის, არამედ ივანიშვილის კოალიციაშიც მიმდინარეობს. ამჯერად, იმერეთის მაჟორიტარ დეპუტატ გუბაზ სანიკიძეს თავად „მეოცნებე“ უპირისპირდება.**

# საიდუმლო შეხვედრა საფიჩხიაზე



## რის ფასად „გაურიგდა“ გუბაზ სანიკიძე „ნაციონალ“ გოჩა თევდორაძეს ქუთაისის მერის კანდიდატურაზე?

## კოალიციის იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსი მამუკა სიგუა გუბაზ სანიკიძეს ბრალს სდებს!

კოალიციის იურიდიული სამსახურის ყოფილი უფროსი მამუკა სიგუა სანიკიძეს „ნაცვარდოსან“ ვიცე-გუბერნატორ გოჩა თევდორაძესთან გარიგებაში ადანაშაულებს. სიგუა თევდორაძესა და სანიკიძის „საიდუმლო სერობასა“ და ამ „სერობის“ მიზეზებზე საუბრობს. მისი მტკიცებით, რამდენიმე კვირის წინ, საფიჩხიაზე, გუბაზ სანიკიძის სახლში, ერთმანეთს სანიკიძე და თევდორაძე შეხვდნენ. შეხვედრის ორგანიზატორი კი მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელი გელა გაბადაძე იყო, რომელიც, სიგუას ცნობით, თევდორაძის კლასელი და ახლო გარემოცვაა.

**„ერთი თვის წინ შედგა შეხვედრა სანიკიძესა და გოჩა თევდორაძეს შორის. საფიჩხიაზე, სანიკიძის სახლში, მათ ქალაქის მომავალ მერზე იმსჯელეს. ცნობილია, რომ ამჟამინდელი მერი ბესიკ ბრეგაძე თანამდებობიდან წასვლას გეგმავს და ამის შესახებ განცხადება უკვე დაწერა. თევდორაძემ გუბაზს ნაციონალური მოძრაობის კანდიდატურა შესთავაზა, რომელიც „ოცნებად“ უნდა შეენიღბათ. საუბარია, ქუთაისის ყოფილ მერ ბაკურ ბალანჩივაძეზე. ეს ყველაფერი გუბაზმა „ოცნების“ ლიდერების გვერდის ავლით გააკეთა. სანიკიძე გოჩა თევდორაძის შემოთავაზებას ბიზნესწილების სანაცვლოდ დათანხმდა. მისი იდეაფიქსი კოსმოსში გაფრენა და მილიონერობაა, რომლის ასრულებაც უნდა. ბიზნესწილებსა და გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებით, ერთ კონკრეტულ მაგალითსაც მოვიყვან. სასაფლაოთა მეურნეობაში ახლახან დირექტორად გოჩა თევდორაძის კაცი მოვიდა, მის მოადგილედ კი გუბაზ სანიკიძის კანდიდატურა დაინიშნა. თევდორაძესა და სანიკიძეს შორის ფარული გარიგება არაერთ ბიზნესშია, მათ შორის სავაჭრო ობიექტებში. მინდა, ვუთხრა გუბაზ სანიკიძეს, რომ ეს ქვეყანა საძოვარი ნამდვილად არ არის. შესაბამისად, ქუთაისური საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს, რათა მას ამ პატარა კაცობისთვის პასუხი მოეთხოვოს. მე, პირადად, არანაირ ძალას არ დავიშურებ, სიმართლე ყველამ გაიგოს. გუბაზ სანიკიძე ქართველი ხალხისა და კოალიციის ინტერესების წინააღმდეგ იბრძვის. გარანტიას ვიძლევი, ქუთაისური საზოგადოება და „ქართული ოცნება“ არ დაუშვებს სანიკიძის მილიონების შოვნას. ფაქტობრივად, მან საკუთარ სახლში, მერობის კანდიდატზე ფარული აუქციონი ჩაატარა“, – აცხადებს „ვერსიასთან“ საუბარში მამუკა სიგუა.**

თავის მხრივ, ბრალდებებს უარყოფს გოჩა თევდორაძე. მისი განმარტებით, სანიკიძესა და მას შორის შეხვედრა რამდენიმე წელია არ შემდგარა.

**„სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ გუბაზ სანიკიძეს რამდენიმე წელია, საერთოდ, არ შევხვედრივარ და არც საუბარი მქონია ქუთაისში სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით. სანიკიძესთან რა ბიზნესკავშირები უნდა მქონდეს, როცა არც შევხვედრივარ და არც არავითარი ბიზნესი გამაჩნია. მას საერთოდ არ ვიცნობ, თუ არ ჩავთვლით, რომ რამდენჯერმე მხოლოდ გამარჯობა მაქვს ნათქვამი. რაც შეეხება გელა გაბადაძესთან ჩემს კავშირს, ის წარსულში საკრებულოს ერთ-ერთი წევრი იყო და მხოლოდ ამ კუთხით ვიცნობ. კიდევ კარგი, ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია. ეს მაინც უნდა იყოს საკმარისი, რომ მისი კლასელობა არ დამწამონ“,** — ღიმილით აღნიშნა იმერეთის ვიცე-გუბერნატორიმა.

ქუთაისის მერის შეცვლაზე საუბარი ბოლო რამდენიმე კვირაა, განსაკუთრებით გააქტიურდა. როგორც ამბობენ, იანვრის ბოლოს, ყველა ხელმძღვანელი პირი უნდა შეიცვალოს, მათ შორის, ბესიკ ბრეგაძეც. ბრეგაძე კატეგორიულად უარყოფს თანამდებობიდან წასვლის შესახებ მის მიერ განცხადების დაწერას და ამბობს, რომ ამას არც მომავალში გეგმავს: **„მინდა, გითხრათ, რომ თანამდებობიდან წასვლას, ჯერჯერობით, არ ვგეგმავ და არც არანაირი განცხადება დამიწერია. ისე კი, ძალიან მიხარია, ქალაქში ბევრი კარგი ადამიანი მოგვეპოვება და ყველა მერობის კანდიდატად რომ განიხილება“.**

სხვათა შორის, ბრეგაძემ ბაკურ ბალანჩივაძესთან დაკავშირებული ერთი ისტორიაც გაიხსენა, როდესაც ბალანჩივაძე ქუთაისის მერი იყო. ბალანჩივაძესთან თურმე, რამდენიმე ადამიანი მისულა და უთქვამს, მერობიდან გადადგომის შესახებ განცხადება უნდა დაწეროო. ბალანჩივაძეს ხელები მაღლა აღუპყრია და უთქვამს, მე კი წავალ, მაგრამ ამ ქალაქს რა ეშველებაო. ბალანჩივაძის სტუმარს მიუგია, შემოგევლე, ეს ქალაქი სამი ათასი წელია არსებობს და შენს გარეშეც გააგრძელებს არსებობასო. სწორედ ასეთი ლოგიკით მსჯელობენ ალბათ, ახლაც. ქუთაისი არსებობას განაგრძობს. ტყავის სავარძელში კი, ხშირად, ქალაქისთვის კი არა, პოლიტიკური რეინკარნაციისთვის ან იმუნიტეტისთვის სხდებიან.

რაც შეეხება გელა გაბადაძეს, რომელიც მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელია და სიგუას მტკიცებით, ფარული შეხვედრის ორგანიზატორი, ამბობს, რომ მამუკა სიგუას „ქართულ ოცნებაში“ თანამდებობა არ ეჭირა, მეტიც, შტაბიდან იგი ივნისში გააგდეს.

**გელა გაბადაძე: „სისულელე და აბსურდია მისი განცხადებები. არავითარი ფარული შეხვედრა არ ყოფილა. მეტიც, სიგუას „ქართულ ოცნებაში“ თანამდებობა არ ეჭირა. იურიდიული სამსახური საერთოდ არ გვქონია. მისი პერსონიდან და ხასიათიდან გამომდინარე, ის შტაბიდან ივნისში გააგდეს. მის განცხადებებში „ნაცმოძრაობის“ კვალს ვხედავ“.**

ვერსია გუბაზ სანიკიძის თანაშემწეს დაუკავშირდა. მისი თქმით, ბატონი გუბაზი აღნიშნულ თემას იმდენად არასერიოზულად მიიჩნევს, რომ არ სურს კომენტარის გაკეთება.

რაც შეეხება მამუკა სიგუასა და მის პერსონას, ის წარსულში ქუთაისის მერიაში იურისტად მუშაობდა. გავრცელებული ინფორმაციით, საჯარო სამსახურიდან დათხოვნა მის პროფესიას უკავშირდება. იმ პერიოდში კულუარებში არაერთი ჭორი გავრცელდა, მათ შორის ისიც, რომ იგი საჯარო სამსახურსა და კერძო ადვოკატის მომსახურების პრაქტიკას ერთდროულად ეწეოდა, ხოლო ადვოკატი მეუღლის დახმარებით, თითქოს ყოველთვის იცოდა, ქუთაისის მერიის წინააღმდეგ წამოწყებული რომელი პროცესი უნდა მოეგო და რომელი არა. იმავე წყაროების ინფორმაციით, მამუკა სიგუა, მას შემდეგ, რაც ქუთაისის მერიის იურიდიული სამსახურიდან დაითხოვეს, ქალაქის ყველაზე მსხვილი სავაჭრო ობიექტის „იმერეთის“ ე.წ. კეჩის ბაზრობის ადვოკატი იყო და როგორც ამბობენ, სერიოზულ გასამრჯელოსაც იღებდა. ბოლო პერიოდში სახალხო კრების წევრი გახლდათ, მაგრამ პოლიტიკურ სარბიელზე „ქართული ოცნების“ გამოჩენისას, კოალიციის მხარდამჭერი გახდა. დღეს სიგუა დამოუკიდებელ იურიდიულ საქმიანობას ეწევა.

ბაკურ ბალანჩივაძის ანუ, როგორც მას ქუთაისელებმა თავის დროზე უწოდეს — „უდღეური მერის“ ორთვიანი მერობის პერიპეტიები კარგად ნაცნობია. იგი „ქალაქის თავად“ ერთხელ უკვე იყო — 2006 წელს. მაშინ, მის კანდიდატურას მხარი 15-დან 13-მა დეპუტატმა დაუჭირა და ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორობიდან, ქუთაისის მერის სავარძელში ბაკურ ბალანჩივაძე „ნაცმოძრაობის“ სიით მოხვდა. არაფრით გამორჩეულ მერს, ქალაქისთვის სასიკეთო არც არაფერი გაუკეთებია, სამაგიეროდ, დანიშვნიდან ორი თვისთავზე, ქალაქმა იმ ბრიფინგით გაიცნო, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ჩაატარა და მისი გუნდის წარმომადგენელი საჯარო მოხელეები დანაშაულში ამხილა. გახმაურებული ბრიფინგი უკავშირდებოდა ჯერ თელავის, სამტრედიის, ხონისა და წყალტუბოს საკრებულოების თავმჯდომარეების მოხსნას მათი დანიშვნიდან ოთხი თვისთავზე და მათ მიყვა ქუთაისის მოქმედი მერი ბაკურ ბალანჩივაძეც. ყველა მათგანის გათავისუფლების მიზეზად საპაკაშვილმა კომფორტული კაბინეტებისა და ძვირადღირებული ავტომანქანებისთვის საბიუჯეტო თანხების ხარჯვა დაასახელა. ქუთაისის მაშინდელმა საკრებულომაც დააკმაყოფილა ქალაქის მერად ორი თვის წინ არჩეული ბაკურ ბალანჩივაძის განცხადება, პოსტიდან გათავისუფლების შესახებ. „უდღეურ მერს“ „ტოიოტა კამრის“ 48 000-ლარიანი მანქანა ძვირად დაუჯდა, თუმცა მანამდეც და შემდეგაც, ბალანჩივაძეს „ფქვილის დედოფლის“, ნინო ბურჯანაძის იმუნიტეტი იცავდა. ერთი პერიოდი მერობიდან გაძევებული ბალანჩივაძე, მისი საარჩევნო შტაბისა და მოძრაობის ქუთაისელი ლიდერიც იყო, თუმცა დიდად აქტიური არც პარტიული მოღვაწეობის დროს გახლდათ. მისი მერობაცა და ბურჯანაძის მარჯვენახელობაც ქუთაისს 48 000-ლარიანი „ქამრის“ ჯერ ფასად და მერე, სახელად დაუჯდა.

მან, ხაზინის ხარჯზე, ძვირადღირებული მობილური ტელეფონი შეიძინა. მეორე დღეს კი, იგივე ტელეფონი მეორედ იყიდა მიზეზით, რომ მობილური დაკარგა. სინამდვილეში, როგორც ამბობენ, ბიუჯეტის ფულით ნაყიდ ტელეფონს მისი შვილი ხმარობდა. რაც შეეხება ავტომობილს, „ტოიოტა კამრი“, ერთ-ერთი მომდევნო მერის, ნუგზარ შამუგიას შვილმა დაამტვრია. დღეს ამ ავტომობილით ერთ-ერთი ვიცე-მერი დადის.

„ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე, ქუთაისს უკვე მეცხრე მერი ჰყავს. ბესიკ ბრეგაძის წინამორბედები — გიორგი თევდორაძე, ნუგზარ ფალიანი, გია გიორგაძე, ბესიკ გულორდავა, გიგა ჩოგოვაძე, ბაკურ ბალანჩივაძე, ნიკო კაჭკაჭიშვილი და ნუგზარ შამუგია იყვნენ. უმეტეს მათგანს, ბალანჩივაძის მსგავსად, თანამდებობის დატოვების საკუთარი და პიკანტური ისტორია გააჩნია. სხვათა შორის, ნუგზარ შამუგია საკუთარი ვაჟის კრიმინალურ თავგადასავალს გადაურჩა, თუმცა ქალაქის ერთ-ერთ ნაგავსაყრელს შეეწირა. გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქის თავკაცთა ხშირი ცვალებადობა ე.წ. კლანურ დაპირისპირებებსა და ინტერესთა კონფლიქტებს უკავშირდებოდა.

ეკა სეხნიაშვილი

**საპრეზიდენტო კანდიდატები ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის დილემა გახდა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №24 ამის პირველი ღია დადასტურებაა. „ვერსია" გასულ ნომერში წერდა, რომ მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, ივანიშვილი საკუთარი პარტიის გაძლიერებას გეგმავს, რაც პრემიერმა დავოსში გაკეთებულ განცხადებებშიც დაადასტურა. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ირაკლი ალასანია ვიცე-პრემიერობას ჩამოაცილეს. სახელისუფლებო წყაროები ამბობენ, რომ ალასანიასთვის ეს ,,სადამსჯელო" ღონისძიება იყო. მართალია, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, წავედი იმიტომ, რომ პრემიერობისთვის ვერ მოვიცლიდიო, თუმცა ივანიშვილმა ალასანია ტელე-კამერების წინ მაინც „გაწკეპლა". ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ ალასანიამ ვიცე-პრემიერობიდან მოხსნის შესახებ ინფორმაცია მედიასაშუალებებიდან გაიგო. რას უკავშირდება ალასანიას პრემიერობიდან მოხსნა, რამდენიმე გამოკვეთილი ვერსია და საფუძვლიანი არგუმენტი არსებობს: ვინ და რატომ წააქეზა ივანიშვილი ალასანიას წინააღმდეგ, შეეწირება თუ არა ალასანია პროდასავლურობას, „გაუჩალიჩეს" თუ არა თავდაცვის მინისტრს „რესპუბლიკელებმა" ივანიშვილთან პოზიციების შესუსტება, ჩატარდება თუ არა რეფერენდუმი საპრეზიდენტო მოდელის ირგვლივ და რატომ ვერ არჩევენ საპრეზიდენტო კანდიდატებს ხელისუფლებასა და ოპოზიციაში.**

# საპრეზიდენტო კანდიდატები — განხეთქილება „ქართულ ოცნებასა" და „ნაციონალებში"



## „რესპუბლიკელები" ალასანიას წინააღმდეგ

ივანიშვილმა მედიასთან საუბარში განაცხადა, ირაკლი ალასანიას მოუვიდა შეცდომა, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატურის განხილვა თავის პარტიასთან დაიწყო: **„მან მოახერხა და მის გუნდში დაიწყო განხილვა, შეიძლებოდა თუ არა, წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტად. მერე მოხდა ისე, როგორც საქართველოში ხდება. ვიწრო წრეში ნათქვამი გავიდა, გავიდა და იმით დასრულდა, რომ ამაზე ერევანში მეკითხებოდნენ უკვე ჟურნალისტები",** — განაცხადა ივანიშვილმა. მისივე თქმით, როდესაც მან ახალი პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო" ჩამოაყალიბა და გადაწყვიტა, პარტიის თავმჯდომარე გამხდარიყო, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა კოალიციას, ყველანი საქმის კურსში ჩააყენა და აუხსნა, რომ მისი თავმჯდომარეობა და ამ პარტიის რეგიონებში განვითარება არ იქნებოდა ისე, რომ დანარჩენ პარტიებს ხიბლი დაკარგოდა.

**„მე ასე ფრთხილად ვიქცეოდი. ირაკლის პატარა შეცდომა მოუვიდა, რომ საკუთარ გუნდთან დაიწყო განხილვა. ამ გუნდმა კი ეს ინფორმაცია გაიტანა და სხვანაირად გავრცელდა რეგიონებში",** — განაცხადა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ სწორედ ამ ჭორებს შეეწირა ალასანიას ვიცე-პრემიერობა. მისივე თქმით, ალასანიასთვისაც კარგი იქნება, რომ ეს ხმაური ჩამთავრდეს და **„არც ირაკლისთვის იქნება ცუდი, თუ უფრო მეტ ყურადღებას გადაიტანს თავდაცვის სამინისტროზე".**

პოლიტიკური ექსპერტები კი ალასანიას უკვე „ნიჩაბზე" დასმას უწინასწარმეტყველებენ და დაახლოებით, იმ ვარიანტთან ავლებენ პარალელს, როცა მეტად ქარიზმატულადქცეული ოქრუაშვილი სააკაშვილმა ეკონომიკის მინისტრად გადაიყვანა — ფრონტის ხაზი ახლა ვენახებზე გადისო.

**ალასანიამ თითქმის იგივე შეცდომა დაუშვა, რაც ოქრუაშვილმა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური კრისტალიზაციის თვალსაზრისით, მათ შორის რადიკალური სხვაობაა, პრეზიდენტობის ამბიცია „ოქროსაც" ჰქონდა. „ქართული ოცნების" პოლიტიკურ კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ალასანია ამ თემას უბრალოდ, წამოეგო. სინამდვილეში, სოციოლოგიური კვლევებიცა და „ოცნების" კანდიდატებს შორის რეიტინგებშიც ალასანია აშკარად ლიდერობდა და კოალიციაში, ივანიშვილის შემდეგ, ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ ლიდერად რჩებოდა. პრემიერის განცხადების შემდეგ კი, არათუ საპრეზიდენტო კანდიდატად მისი დასახელება, „თავისუფალი დემოკრატების", როგორც პარტიის გაძლიერების საკითხი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.**

ბიძინა ივანიშვილმა ალასანიას „პირველი გაფრთხილება მისცა". საინტერესოა ფაქტი, რომელიც თავად პრემიერმა გაახმაურა — როგორ სთავაზობდნენ მის სტუდენტობის მეგობარს, ოზურგეთის გამგებელს დავით დარჩიას „ქართული ოცნებიდან" „თავისუფალ დემოკრატებში" გადასვლას.

**„... კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ, როგორ სწრაფად გებულობენ ინფორმაციებს და როგორ სწრაფად გადის ეს გარეთ. აი, ოზურგეთში, მაგალითად, როდესაც ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებს რეგიონებში ვნერგავთ, იქ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად, ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი დავით დარჩია აურჩევიათ ჩვენებს, ახალი პარტია მაქვს მხედველობაში. დავით დარჩია ჩამოვიდა თბილისში და მეუბნება, რომ იქაური პოლიციის უფროსი მივიდა მასთან და ეუბნება, რაღა გინდა ამ პარტიაში, იქ ყველაფერი გადაწყვეტილია, ყველა პროცესი დასრულებულია, ირაკლი ალასანია იქნება პრეზიდენტი და სჯობის, იმ გუნდში წამოდი, რაღა გინდა აქო. აი, ეს, ელემენტარული უყურადღებობა იყო ირაკლის მხრიდან, რაც სულ სხვანაირად გავრცელდა რეგიონებში...",** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საინტერესო ის არის, რომ როგორც ამბობენ, პოლიციის უფროსი, რომელმაც ივანიშვილის მეგობარსა და კურსელს დავით დარჩიას ეს წინადადება შესთავაზა, ზაზა პეტრიაშვილი გახლავთ, ირაკლი ალასანიას უახლოესი მეგობრისა და თანაგუნდელის, ალექსი პეტრიაშვილის ნათესავი, რომლის სამხარეო პოლიციის უფროსის პოსტზე დანიშვნას დიდი სკანდალი მოჰყვა.

**ვერსია №1** — საგარეო პოლიტიკური კურსი და ნიკა ვაშაკიძე — **„რამდენიმე დღის წინ, „ქართული ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან მძიმე საუბარი გვქონდა",** — ეს განცხადება გადაცემა „აქცენტებში" სტუმრობისას, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გააკეთა და აქვე დასძინა, — **„მე ვეთანხმები მას, რომ ეს საკითხი უნდა იყოს კოალიციასთან, მის ლიდერთან შეჯერებული. აქედან გამომდინარე, იყო საუბარი ამ თემაზე. მე არ მესიამოვნა, რომ ასეთი უხერხულობის მიზეზი გაჩნდა".** ალასანიამ ისიც აღნიშნა, რომ ახლაც მომხრეა, საქართველოში იყოს ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ძლიერი საპარლამენტო ზედამხედველობით. მისი თქმით, ეს არის ის განსხვავება, რომელიც კოალიციაში შემავალ პარტიებთან, კერძოდ, რესპუბლიკურ პარტიასთან ერთადაა გადასაწყვეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ალასანიაცა და ივანიშვილიც ვიცე-პრემიერის „ჩამოლაბორანტების" ერთსა და იმავე ვერსიას ასახელებს, პარალელურად, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ბობოხიძე მიიჩნევს, რომ ირაკლი ალასანიასთვის ვიცე-პრემიერის მოვალეობის შეწყვეტა, შესაძლოა, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, ნიკოლოზ ვაშაკიძის განცხადებასთან იყოს კონტექსტში, რადგან ირაკლი ალასანია არსებულ მთავრობაში ერთადერთი ადამიანია, რომელიც მკაფიოდ აფიქსირებს, რომ პროდასავლური კურსი შეუცვლელია. მისივე თქმით, ალასანია ასევე ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ ტერმინი „ოკუპაცია" ყველა დოკუმენტში უნდა იყოს ნახსენები, განსხვავებით ლევან ბერძენიშვილისგან, რომელიც მიიჩნევს, რომ ტერმინებს მნიშვნელობა არა აქვს.

„ალასანიას პოზიცია ძალიან ახლოს დგას ნიკა ვაშაკიძის პოზიციასთან", — მიიჩნევს აკაკი ბობოხიძე.

**ვერსია №2** — „რესპუბლიკელები" და საპარლამენტო მოდელი — ალასანიას სახელისუფლებო ვერტიკალზე „ჩაჩოჩება" რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს" შორის არსებულ შიდაუთანხმოებას ეფუძნება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, რესპუბლიკურ პარტიას მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატი არ ჰყავს და მხარს დაუჭერს „ქართული ოცნების" კანდიდატს.

**„ჩვენ ამ მოსაზრებებს შევაჯერებთ და კოალიცია ერთიანი პოზიციით, პირველ რიგში, ქვეყნის მოწყობის მოდელისა და შემდგომ, უკვე კანდიდატის თაობაზე ერთიანი პოზიციით წარსდგება. ეს საკითხი მალე, ალბათ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში გადაინაცვლებს და ის არავითარ შემთხვევაში არ იქნება რომელიმე პარტიის ან თუნდაც, მმართველი პარტიის გადასაწყვეტი",** – განაცხადა უსუფაშვილმა, რაც ალასანიასთვის ერთგვარი მინიშნება იყო, რომ მის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერენ.

როგორც ჩანს, ხიდაშელ-უსუფაშვილ-ბერძენიშვილები ალასანიას „ჩაძირვაზე" დაიწყებენ მუშაობას, რადგან მათ პარტიას არც საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავს და ტიპური საპარლამენტო მოდელის მქონე პარტიული კონიუნქტურაა. ასე რომ, შესაძლოა, ძაღლის თავი აქაც იყოს დამარხული.

## „ნაციონალების" საპრეზიდენტო კანდიდატები

„ქართული ოცნების" ანალოგიური დილემის წინაშე დგანან „ნაციონალებიც" . „ვერსიის" წყაროები ადასტურებენ, რომ ნაციონალური მოძრაობა საპრეზიდენტო კანდიდატზე ვერა და ვერ ჩამოყალიბდა.

**შიდაპარტიული კვლევებით, „ნაციონალები" 3 კანდიდატს შორის ერთ-ერთზე გააკეთებენ არჩევანს: ვანო მერაბიშვილი, დავით ბაქრაძე თუ გიგი უგულავა. შიდაპარტიული დაკვეთით მომზადებულ რეიტინგებშიც და საზოგადოებაშიც აშკარა პროცენტული უპირატესობით ვანო მერაბიშვილი ლიდერობს ისევე, როგორც ეკრანზე ის დომინანტია.**

თუმცა „ნაციონალებში" რამდენიმე დაჯგუფება არსებობს, ნაწილი დავით ბაქრაძის გაპრეზიდენტებას ემხრობა, მისი უფრო კრისტალური პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, მაგრამ **„პოლიტიკაში მთავარია, იყოს ადამიანი, თორემ კომპრომატი ყველაზე მოიძებნება".** ბაქრაძის ქარიზმას ვერ ხედავს თავისუფლების ინსტიტუტის ნაკადი. გიგი უგულავა საპრეზიდენტო მოდელში ჯერ კიდევ სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მოისაზრებოდა. ახლა უგულავა ივანიშვილის ფრონტის წინახაზზე დამრტყმელ ძალად გამოიყურება, მაგრამ ქართველი ელექტორატი თავისებურია, მას უყვარს ქარიზმატული ლიდერები, ისეთი, როგორიც თუნდაც მერაბიშვილია, რომლის ხიბლიდან ვერ გამოვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა. სამაგიეროდ, ბოკერიას ფავორიტი უგულავაა, თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და თბილისში საარჩევნო ფიასკოს შემდეგ, სააკაშვილმა უგულავას კანდიდატურა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, თანაც რეგიონებში მერაბიშვილს უკეთ იცნობენ. ჯერჯერობით კი, „ნაციონალებს" მაინც სხვა პრობლემები აქვთ: პროკურატურის შემოტევა, მასობრივი დაკითხვები და „ოცნების" სახელისუფლებო წნეხი უნდა აიტანონ და თავიდან აიცილონ პარტიული რღვევა. საგაზაფხულოდ, „ნაციონალები" ახალ პოლიტიკურ ეტაპს იწყებენ და საპრეზიდენტო კანდიდატურებიც შემდგომ გამოიკვეთება. არ არის გამორიცხული, ნაციონალურმა მოძრაობამ კატეგორიული უარი თქვას დასახელებულ სამივე კანდიდატზე და საზოგადოებას, ახალი პარტიისა და ახალი ლიდერის სახით, პოლიტიკური სიურპრიზი შესთავაზოს!

## ვერსიანიუსი




### „საქართველოს რკინიგზა" პროკურატურას რკინიგზასა და ვაგონშემკეთებელ კომპანიას შორის დადებული კონტრაქტის შესწავლას სთხოვს

„საქართველოს რკინიგზა" მთავარ პროკურატურას რკინიგზასა და ვაგონშემკეთებელ კომპანიას შორის 2012 წლის 7 ივნისს, პირდაპირი მოლაპარაკების გზით დადებული კონტრაქტის შესწავლის მოთხოვნით მიმართავს. საუბარია 112 353 858-ლარიან ხელშეკრულებაზე, საიდანაც რკინიგზამ, ვაგონშემკეთებელს ავანსად, ხელშეკრულების ღირებულების 50% — 56 369 006 ლარი გადაურიცხა.

რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა კოკა გუნცაძემ განაცხადა, 2012 წლის 4 მაისს საქართველოს რკინიგზის მიერ გამოცხადდა ტენდერი, რომლის პირობებიც თვენახევრის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. კერძოდ, შეიცვალა თანხის მოცულობა, ანგარიშსწორების წესი და მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების გრაფიკი. გუნცაძის განმარტებით, ტენდერი, რომელშიც სატენდერო წინადადება მხოლოდ ერთ პრეტენდენტს, ვაგონშემკეთებელ კომპანიასთან ჰქონდა წარმოდგენილი, 2012 წლის 2 ივლისს, ჩაშლილად გამოცხადდა, თუმცა 5 დღეში, იგივე ვაგონშემკეთებელ კომპანიასთან საქართველოს რკინიგზამ, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, 112 353 858 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა, სადაც რკინიგზამ აიღო ვალდებულება, ავანსად ჩაერიცხა ვაგონშემკეთებელი კომპანიისთვის კონტრაქტის ღირებულების 50% — 56 369 006 ლარი. მეორე ნაწილი კი, 56 904 415 ლარი უნდა გადაეხადა 2013 წლის იანვარში. რკინიგზამ ივლისში ჩაურიცხა ვაგონშემკეთებელს ავანსი 56 369 006 ლარი.

მისივე თქმით, რკინიგზის ერთ-ერთმა დირექტორმა, რომლის ინიცირებითაც ეს პროცესი დაიწყო, იმ პერიოდში რკინიგზა დატოვა და ვაგონმშენებელი კომპანიის წილის მფლობელ ოფშორულ კომპანიაში გადავიდა.

საქართველოს რკინიგზამ მიიღო გადაწყვეტილება, შეაჩეროს ვაგონშემკეთებელი კომპანიისთვის მეორე ტრანშის - 56,904,415 ლარის გადახდა, ხოლო საქმე შემდგომი გამოძიებისთვის მთავარ პროკურატურას გადაეცა.

აღნიშნულ თემაზე საუბრისას, გუნცაძემ მხოლოდ ერთი გვარი – რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების დირექტორი დავით ჯინჯოლია დაასახელა.

მან არც უარყო და არც დაადასტურა მამუკა ბახტაძის გენერალურ დირექტორად შესაძლო დანიშვნის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია: **„საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი ჯერ დანიშნული არ არის, როგორც კი ეს საკითხი გადაწყდება, თქვენც გაიგებთ. თუმცა როდის და რა ვადებში შეიძლება, ეს მოხდეს, ვერ გეტყვით. საქართველოს რკინიგზას ჰყავს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და ამ მხრივ პრობლემებს ვერ ვხედავ".**

*„პირველი"*

# ხადური–მერაბიშვილის საბიუჯეტო ომი



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

**„2012 წლის იანვარში, საქართველოში სულ ამორტყმულია 33 000 000-ზე მეტი ჩეკი და საერთო ბრუნვამ სავაჭრო ქსელში 650 000 000 ლარი შეადგინა. 2013 წლის იანვარში კი, მხოლოდ 22 დღეში, 40 000 000-ზე მეტი ჩეკია ამორტყმული, საერთო ბრუნვა კი 740 000 000 ლარია. ამ მიმართულებით, ყველაზე დიდი ბრუნვა 2012 წლის ივლისში დაფიქსირდა, როდესაც ჩეკების გათამაშება დაიწყო, მეორე ადგილზეა 2012 წლის დეკემბერი. დეკემბერში 81 000 000 ჩეკია ამორტყმული, რაც იმას ნიშნავს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში სავაჭრო ბრუნვა და ეკონომიკური აქტივობა გაიზარდა“, — ასე უპასუხა ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს ვანო მერაბიშვილს, როდესაც ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდში შექმნილ საბიუჯეტო და ფინანსურ კრიზისზე ალაპარაკდა. ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის საბიუჯეტო ომი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც ფინანსთა მინისტრმა მუნიციპალური ბიუჯეტის ცენტრალურ ტრანსფერზე უარი თქვა და თბილისის მერი თბილისელების წინაშე გააწბილა. საბიუჯეტო ომი გასულ კვირაში განახლდა, როდესაც ვანო მერაბიშვილმა ნოდარ ხადურს საბიუჯეტო კრიზისში დასდო ბრალი. რა ხდება სინამდვილეში, რა რეალური შემოსავლები დაფიქსირდა სახელმწიფო ბიუჯეტში, დაუჭერს თუ არა მხარს ნაციონალური მოძრაობის იდეას საგადასახადო და ფინანსური ამნისტიის შესახებ? „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური პასუხობს.**




## რატომ არ უჭერს მხარს ფინანსურ ამნისტიას და რატომ არ ეთანხმება გადასახადებისგან პრესის გათავისუფლების იდეას ფინანსთა მინისტრი

**— ბატონო ნოდარ, ვანო მერაბიშვილის ბრალდების პასუხად, 2012 წლის ივლისი ანუ ჩეკების გათამაშების პერიოდი მოგყავთ, როდესაც ადამიანები სალაროს ჩეკებს ითხოვდნენ. გამოდის, სხვა დროს, მცირე და საშუალო ბიზნესი გადასახადებს მალავს და ჩეკებს არ არტყამს?**

— როგორ არა, 2013 წლის იანვარში, ანუ 22 დღეში, 41 000 000 ჩეკია ამორტყმული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა პოტენციურმა მოქალაქემ ათჯერ მაინც მიიღო ჩეკი. ოჯახში თუ ოთხი წევრია, დღეში 40 ჩეკი მაინც აქვთ მიღებული. ანუ ყოველდღიურად, 1,5 შესყიდვა აქვს გაკეთებული ოჯახის თითოეულ წევრს, მთელ საქართველოში, ამას გამოაკელით პატარა ბავშვები და მოხუცები. შეიძლება სადღაც, რომელიმე სოფლის ჯიხურში, გარკვეული პრობლემები არის, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც სერიოზული აქტივობაა. შესაბამისად, ვერანაირ ეკონომიკურ, ფისკალურ ან ფინანსურ საფრთხეს ვერ ვხედავ. გაგიმხელთ, მსხვილი ბიზნესის შემოსავლები შემცირდა, მცირე ბიზნესში კი, დაახლოებით, 10%-ით გაიზარდა.

**— მსხვილ ბიზნესს შემოსავალი იმიტომ შეუმცირდა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, მონოპოლისტები შეიზღუდნენ?**

— დიახ, რადგან თბილისში გაიაფდა საწვავი, დაახლოებით, 17-18 თეთრით. აღმაშენებლის ხეივანზე, უსახელო ბენზინგასამართ სადგურზე ბენზინი 1,90 ლარიც კი ღირს. ამ რეალობას ვერავინ დამალავს, ეს ზუსტად ის 17-18 თეთრია, რომელიც ადრე სადღაც მიდიოდა და არა სახელმწიფო ბიუჯეტში.

**— ბრძანეთ, 2012 წლის ივლისსა და დეკემბერში ეკონომიკური აქტივობა გაიზარდა. ივლისში წინასაარჩევნო პერიოდი იყო. საწვავზე მოთხოვნილებაც ამიტომ გაიზარდა, დეკემბერი კი აქტიური თვეა, რადგან წელი სრულდება და ყველა მეწარმე ფინანსურ დოკუმენტებს აწესრიგებს, არ მეთანხმებით?**

— ივლისში ბენზინის ფასის ზრდას ან შემცირებას წინასაარჩევნო სიტუაციას ვერ დავუკავშირებ. ფასზე გავლენას ახდენდა კომპანიების მიერ, მმართველი პარტიის ანგარიშზე გადარიცხული თანხებიც. შეგიძლიათ ნახოთ, ვინ უხდიდა „ნაცმოძრაობას“ 60 000 ლარს! რაც შეეხება დეკემბერს, დიახ, ეს თვე ყოველთვის აქტიურია, მაგრამ 2012 წლის დეკემბერი, მცირე ბიზნესის თვალსაზრისით, უფრო აქტიური იყო, ვიდრე წინა წლებში. მსხვილ ბიზნესზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველგან გაფიცვები იყო, ამის გამო იმ პერიოდში შეფერხდა მუშაობა ტყიბულშიც, ფოთის პორტშიც, ჭიათურაშიც... ხალხს აღარ ეშინოდა. წინა ხელისუფლების პირობებში, ქუთაისის მეტალურგიული კომბინატის გაფიცული მუშები პოლიციამ დაარბია. ახალი ხელისუფლების პირობებში, მათ ეს საფრთხე აღარ ემუქრებოდათ და ამიტომ გაიფიცნენ. გაფიცვა კარგი არაა, მაგრამ ისინი საკუთარ უფლებებს ასე იცავდნენ.

**— მცირე და საშუალო ბიზნესი მიეჩვია სალარო აპარატებს თუ უმჯობესია, ამ სეგმენტისთვის ფიქსირებული გადასახადები დაწესდეს?**

— მთავარი ის არაა, მცირე და საშუალო ბიზნესისგან ფისკალური შემოსავალი მივიღოთ. ეს მთლიანი ეკონომიკის ერთი რგოლია, რომელშიც პირობითად, ვაჭრობის პროცესი სრულდება. ამ სეგმენტს ხელოვნური ბარიერები არ უნდა შევუქმნათ, რაც მთავარია, მიკრობიზნესისთვის გარკვეული შეღავათები ისედაც არსებობს. ზოგადად, ოპტიმალური საგადასახადო სისტემა ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ სამართლიანი საგადასახადო სისტემისკენ აუცილებლად უნდა წავიდეთ. მერწმუნეთ, ფიქსირებული გადასახადების დაწესება, სამართლიანი გადაწყვეტილება არაა. მაგალითად, ერთ ქუჩაზე, საპირისპირო მხარეს მდებარე ორ მაღაზიაში, სხვადასხვა ბრუნვა ფიქსირდება იმის მიხედვით, რომელ ტროტუარზე, რამდენი ადამიანი დადის. ფიქსირებული გადასახადის პირობებში, იმ მაღაზიის პატრონი, რომელსაც კარგი ვაჭრობა აქვს, კმაყოფილი იქნება. მეორესი კი — უკმაყოფილო. შესაბამისად, სალარო აპარატი მეტ-ნაკლებად, ცივილური ფორმაა. ჯერ ერთი, მაღაზიის პატრონისთვისაა კარგი, რადგან საშუალებას აძლევს, დაქირავებულმა პერსონალმა პრობლემები არ შეუქმნას, გარდა ამისა, აღრიცხვიანობის მოწესრიგებაშიც ეხმარება. მესმის, პრობლემები არის და ამას საგადასახადო კოდექსიც ითვალისწინებს, მაგრამ უმჯობესია, ამ პრობლემის სრულყოფაზე ვიფიქროთ. ჩვენი პრინციპი ასეთია, გადასახადი მიბმული უნდა იყოს შემოსავალზე, ცხადია, შემოსავლის დაანგარიშების ბევრნაირი მეთოდი არსებობს, მაგრამ მათ შორის, ერთ-ერთი საუკეთესო, სალარო აპარატია.

**— რატომ განახლდა საბიუჯეტო ომი, რეალურად, რა უნდა ვანო მერაბიშვილს?**

— შეგახსენებთ, არჩევნების წინ, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობდნენ, წავალთ და ამის შემდეგ, ქვა ქვაზე აღარ დარჩებაო. ახლა ამბობენ, წავედით და ქვა ქვაზე მართლა აღარ დარჩა, ქართულმა ოცნებამ ორ თვეში დაანგრია ყველაფერიო. „ნაცმოძრაობა“ აგრძელებს იმას, რასაც 9 წლის განმავლობაში აკეთებდა — საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს.

**„არ დავუშვებთ, იმ კომპანიებს, რომლებმაც ბიუჯეტიდან ასეულობით მილიონი ლარი მიითვისეს, მაგრამ გადასახადები არ გადაიხადეს, ყველაფერი ვაპატიოთ!“**

**— „ნაცმოძრაობა“, საგადასახადო და ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით, ხელმოწერებს აგროვებს, მხარს დაუჭერთ პრეზიდენტის ინიციატივას?**

— ერთ ციტატას წაგიკითხავთ და ისე გიპასუხებთ: „ბიზნესის მხრიდან, გადასახადების გადახდის კუთხით, საჭიროა მკაცრი დისციპლინა და სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგად, ბოლო 8 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტი 10-15-ჯერ გაიზარდა. ვიდრე ეს საქართველოში შეუქცევადი არ გახდება და გადასახადის დამალვის ტრადიცია ნებისმიერი მეწარმის სისხლში იქნება, თქვენს წინადადებას ვერ გავიზიარებთ“, — ეს არის პრემიერ ვანო მერაბიშვილის მიერ, 2012 წლის 3 ივლისს, საქართველოს პარლამენტში გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმად გვაუწყა, რომ არავითარ შემთხვევაში, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია არ უნდა მოხდეს. მაინტერესებს, 6 თვეში რა მოხდა, რომ დღეს თავადაა ამის მომხრე?! ხელთ მაქვს პავლე კუბლაშვილისა და ნიკა გილაურის განცხადებებიც, რომლებიც არათუ საერთო დეკრიმინალიზაციის წინააღმდეგები იყვნენ, იმასაც აპროტესტებდნენ, 50 000 ლარამდე გაზრდილიყო ის ზღვარი, რომლის ქვევითაც, ადამიანის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა არ განხორციელდებოდა.

**„ნაცმოძრაობას“ სრული 9 წელი ჰქონდა, ამ მიმართულებით ემუშავა, მაგრამ წინადადება, ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — ის კომპანიები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდნენ ასეულობით მილიონ ლარს და არ იხდიდნენ გადასახადებს, პრეზიდენტის ინიციატივით, ვითომდა ბიზნესზე ზრუნვის საბაბით, საგადასახადო ვალდებულებებისგან გათავისუფლდებიან. ცხადია, საქართველოს მოსახლეობა ხვდება, რას ემსახურება პრეზიდენტის ინიციატივა და არ დავუშვებთ, იმ კომპანიებს, რომლებმაც ბიუჯეტიდან ასეულობით მილიონი ლარი მიითვისეს, მაგრამ გადასახადები არ გადაიხადეს, ყველაფერი ვაპატიოთ! ყველა კომპანიის სიას გამოვაქვეყნებთ, სისხლის სამართლის საქმეები უკვე აღძრულია.**

ზოგი კომპანიის ხელმძღვანელი დაკავებული იყო და გირაოს სანაცვლოდ, გაათავისუფლეს. რაც შეეხება ზოგადად, ამნისტიას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, დავების საბჭო მოქმედებს, ათეულობით საქმე უკვე განხილულია და ბევრი ადამიანის სამართლიანი საჩივარი დავაკმაყოფილეთ. შესაბამისად, მზად ვართ, ინდივიდუალურად განვიხილოთ ეს საკითხები, თუ საჭირო გახდება, საკანონმდებლო დონეზეც, მაგრამ ვიმეორებ, ბიუჯეტიდან მოპარული თანხების ვინმესთვის ჩუქებას ნამდვილად არ ვაპირებთ.

**— როგორც ფინანსთა მინისტრი, ხართ თუ არა მომხრე, პრესა გადასახადებისგან გათავისუფლდეს და კონკრეტული შეღავათები დაწესდეს?**

— რა შეღავათებს გულისხმობთ?

**— არ განიხილავთ პრესის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების საკითხს?**

**— ჩემი აზრით, მოგების გადასახადი 15%, ძალიან სიმბოლურია პრესისთვის. ღმერთმა დიდი მოგება მისცეს ქართულ პრესას, მაგრამ 15% ბევრი არ არის. ჩემთვის მნიშვნელოვანია, პრესას სხვა ტიპის, რეალური შემოსავლები ჰქონდეს, წმინდა კონკურენტული გარემო იყოს და არა ისე, რომ ჯერ ბეჭდვურ მედიას მივანიჭოთ გარკვეული შეღავათი, მერე — ტელე ან ინტერნეტ-მედიას...**

ამიტომ, უმჯობესია, ერთიანი გარემო იყოს და ხელოვნური შეზღუდვების გარეშე, კონკურენტულ გარემოში, მის გავრცელებას ხელი შევუწყოთ. იყო დრო, სახელმწიფო ორგანოებს აკრძალული ჰქონდათ გაზეთების გამოწერა, რაც ასევე დანაკარგი იყო პრესისთვის. ჩემი აზრით, უმჯობესია, მეორე მიმართულებით წავიდეთ ანუ ვიზრუნოთ, პრესას შემოსავლები გაეზარდოს.

**— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ბეჭდვური მედიის წარმომადგენლებს იდეა ჰქონდათ, 3-4 წლის განმავლობაში პრესა გათავისუფლებულიყო გადასახადებისგან. 4 წლის შემდეგ კი, როცა მოძლიერდებოდა, ჩვეულებრივ საგადასახადო მდგომარეობაში ჩადგებოდა, მაგრამ ეს იდეა ზურაბ ნოღაიდელმა დაბლოკა...**

— სასტიკი წინააღმდეგი ვიქნები და გეტყვით, რატომ. მასწავლებელი, რომლის ხელფასი 250 ლარია, საშემოსავლო გადასახადის სახით, 50 ლარს იხდის და სახლში მხოლოდ 200 მიაქვს. ყველამ უნდა გადავიხადოთ გადასახადები. ეს მხოლოდ ვალდებულება კი არა, პატივია. გადასახადის გადამხდელი ხელისუფლების მაკონტროლებელია, რომელიც ინტერესდება, სად მიდის მის მიერ გადახდილი თანხა. ჩემთვის კოშმარი იყო, როცა გავიგე, ზოგი ექიმის ხელფასი 100-150 ლარია. მომავალი წლის დასაწყისში, ახალი დაუბეგრავი მინიმუმის პირობებში, მათ გადასახადები აუცილებლად დაუბრუნდება. პრესის გადასახადებისგან გათავისუფლების იდეას კი ნამდვილად ვერ გავიზიარებ.

### კობა სუბელიანს, არარეგისტრირებული საწყობების საქმესთან დაკავშირებით, დაკითხავენ?



ყოფილი მინისტრი კობა სუბელიანი არარეგისტრირებული საწყობების საქმესთან დაკავშირებით ჯერ არ დაკითხულა. მთავარ პროკურატურაში აცხადებენ, რომ ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს. თავად სუბელიანი აცხადებს, რომ პროკურატურიდან არ დაკავშირებიან და არც ის იცის, რა ეტაპზეა გამოძიება. მისი თქმით, საწყობში შენახული ნივთები და პროდუქცია ფორსმაჟორული სიტუაციისთვის იყო განკუთვნილი: **„ეს პროდუქცია იმისთვის იყო, რომ მაგალითად ზვავის, ხანძრის, მიწისძვრისა თუ სხვა შემთხვევების დროს, სამინისტროს საშუალება ჰქონოდა, მოსახლეობისთვის ასეთი სახის დახმარება გაეწია და ტენდერის ჩატარებაზე დრო არ დაეკარგა. ამის გარეშე სამინისტრო ვერ იმუშავებდა, სუბელიანი იქნებოდა მინისტრი, თქვენ თუ ვინმე სხვა“.**

ამჟამინდელი მინისტრის, დავით დარახველიძის მოსაზრებას, რომ სამინისტროს საწყობში აღმოჩენილი პროდუქციის 80% გაფუჭებულია და მარაგს არ წარმოადგენს, კობა სუბელიანი არ გაუკვირვებია. პირიქით, განაცხადა, რომ ვადაგასული პროდუქციის მოხვედრის ალბათობა მართლაც არსებობდა: **„ხშირად შემოდიოდა ჰუმანიტარული პროდუქცია, რომელსაც დღე-დღეზე ვადა გასდიოდა. ასე რომ, შეიძლება, ყოფილიყო ვადაგასული პროდუქტებიც, შეიძლება — არა. 7 თვეა, მინისტრი არ ვარ და მაინცდამაინც ჩემს დროს გაუვიდა ვადა?!“**

***„პირველი“***



რუსუდან შელია
პოლიტიკა

# ჩოხატაურში ყველისა და ხილის გადამამუშავებელი ქარხნები აშენდება



## რა მოლაპარაკებებს აწარმოებს ფრანგებთან და რას პასუხობს „ნაციონალების“ ბრალდებებს თემურ ჭკუასელი

**ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ჩოხატაურის რაიონის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი თემურ ჭკუასელი გამგებლის მოადგილეებზე ზეწოლას ახორციელებს და მათ თანამდებობის დატოვებას აიძულებს. რეალურად, რა მოხდა ჩოხატაურის გამგეობაში, რა პასუხი აქვს პარლამენტის წევრს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე და რა პროექტების განხორციელება იგეგმება რაიონში — „ვერსიას“ თემურ ჭკუასელი ესაუბრება.**

— ჩოხატაური ერთადერთი რაიონია, სადაც 2003 წლის შემდეგ, არაფერი აშენებულა. რაიონი ყველასგან მივიწყებული იყო. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ერთადერთი, რაც ჩოხატაურში გაკეთდა, პოლიციის შენობის წითლად შეღებვაა. რაიონს ყველაზე ნაკლები დაფინანსება ჰქონდა, რამაც საშიშ დემოგრაფიულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ფაქტობრივად, ეს ულამაზესი მხარე მოსახლეობისგან დაიცალა. ახალი ბიუჯეტის დამტკიცებისას, სწორედ ეს პრობლემა დავასახელე დაფინანსების გაზრდის მთავარ მიზეზად. პარლამენტში საკმაოდ ბევრი ვიდავეთ. მხოლოდ გაზრდილი ბიუჯეტითაა შესაძლებელი რაიონში ადგილობრივების დაბრუნება. ამაში პარლამენტის თავმჯდომარეც დამეთანხმა.

**— გაზრდილი ბიუჯეტის ფონზე, კონკრეტული გეგმა გაქვთ, როგორ უნდა დააბრუნოთ ჩოხატაურელები რაიონში?**

— საერთოდ, ჩოხატაურში ისევე, როგორც მთელ საქართველოში, მენტალიტეტიც შესაცვლელია. სამწუხაროდ, მოსახლეობას მაჟორიტარის ფუნქცია კარგად არ ესმის. ჩემთან მოდიან ადამიანები, რომლებიც შემომჩივიან: სახურავიდან წყალი ჩამომდის, სახლში კედელი გაიბზარა... მიშველეო. ერთხელ, ახალგაზრდა კაცმა მითხრა, სახლი კრამიტით მაქვს გადახურული და წყალი ჩამომდისო. ვუპასუხე, მეც მაქვს გურიის სოფელში სახლი, კრამიტითაა გადახურული და როცა წყალი ჩამოდის, სახურავზე ავდივარ, ვასწორებ, სხვაგან კი არ მივდივარ-მეთქი. მაჟორიტარის მანდატი, რაიონის პრობლემების განზოგადებასა და საკანონმდებლო ცვლილებებში მონაწილეობას გულისხმობს, მაგრამ ახლა, ჩოხატაურში ისეთი სიტუაციაა, მხოლოდ მაჟორიტარის ფუნქციით ვერ შემოვიფარგლები. გაგიმხელთ, არაერთი პროექტი მაქვს, რომლის განხორციელებაშიც მეგობრები მეხმარებიან.

**— კონკრეტულად, რა პროექტებზეა საუბარი?**

— ველოსიპედის გამოგონებას არ ვაპირებთ. რაიონის ასაღორძინებლად სწორ მიდგომას ვეძებთ.

**ჩოხატაურში საკმაოდ ხარისხიანი ხილია. აუცილებელია, აშენდეს ისეთი საწარმო, რომელიც მოსახლეობისგან ხილს, მათ შორის, თხილსაც ჩაიბარებს. ეს ადგილობრივებისთვის შეღავათი იქნება, რაც, დარწმუნებული ვარ, ჯერ კიდევ აუთვისებელი, გავერანებული მიწების სწრაფ დამუშავებას გამოიწვევს. ვცდილობთ, ფერმერული, კოოპერაციული სისტემა შეიქმნას და მიწები გაერთიანდეს, რაც მათ დამუშავებასაც გაამარტივებს. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა საგაზაფხულოდ ტრაქტორი, საწვავი და სასუქი უფასო იქნება. თუ ასე მოხდა, შესაძლოა, თითო ჯგუფს ტრაქტორი უფასოდ გადაეცეს. ამ დრომდე, მიწები აღურიცხავი იყო, ეს სამუშაოები მხოლოდ ახლა ჩატარდა. უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები ფრანგულ ფირმასთან, რომელიც, ძირითადად, ჰიბრიდული ჯიშების გამოყვანაზე მუშაობს. ისინი მზად არიან, ჩოხატაურში ააშენონ ქარხანა, რომელიც სიმინდსაც ჩაიბარებს. ასევე, იგეგმება ყველის ქარხნის მშენებლობაც, რომელიც მთლიანად დასავლეთ საქართველოზე იმუშავებს.**

მსგავსი პროექტები ჩოხატაურს გააძლიერებს. რაიონის ხელმძღვანელობას ვთხოვე, პირველ რიგში, ახალგაზრდები დაგვესაქმებინა, რაც მიგრაციის პრობლემასაც გადაჭრის. სამი სხვადასხვა პროექტის მშენებლობა უკვე დაიწყო. 5 თებერვალს, სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეხვედრებზე დეტალები დაზუსტდება.

საერთოდ, ჩოხატაური, თავისი ბუნებით, მთელი კუთხის მარგალიტია. საწარმოების მშენებლობის პროექტებთან ერთად, ეროვნული სპორტის სხვადასხვა სახეობის, მაგალითად, ლელო ბურთის, ცხენბურთის... აღდგენაზეც ბევრს ვფიქრობ.

**— უკვე დადგენილია, დაახლოებით, რა ვადებში უნდა აშენდეს ეს საწარმოები?**

**— ყველას მშენებლობა წელს უნდა დასრულდეს. ხილის ჩამბარებელი პუნქტის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაყიდია ქარხანაც, რომელიც სოფელ ლაითურში მდებარეობს. სამი პეტერბურგელი ბიზნესმენი (მათგან ერთი ქართველია), ანალოგიური ხილის გადამამუშავებელი ქარხნის აშენებას ჩოხატაურშიც გეგმავს. ჩოხატაურში საკურორტო პოტენციალიც არსებობს. სოფლებში მოგზაურობისას ვნახე ადგილები, რომლებიც პირდაპირ გეუბნება — მოდი, საკურორტო ზონა აქ შექმენიო. რაიონი საკმაოდ მდიდარია მინერალური წყლებით. „ნაბეღლავი“ და „ბახმარო“ უკვე ათვისებულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ეტაპზე, მსოფლიო მოსახლეობის 40% წყლის ნაკლებობას განიცდის, რაც საკმაოდ სწრაფად მზარდი მაჩვენებელია, წყლის ექსპორტი დამატებით რესურსად უნდა ჩავთვალოთ. ახლახამ მითხრეს, მდინარე სუფსას სათავესთან, პირდაპირ მდინარეში, უნიკალური წყალი იღვრება, რომელიც განსაკუთრებული გემოთი გამოირჩევაო.**

ვაპირებ, გაზაფხულზე ამ წყლის დაგემოვნება-გამოკვლევას. მოკლედ, ჩოხატაურს სერიოზული პერსპექტივები აქვს. დარწმუნებული ვარ, მალე, ახალგაზრდებს თურქეთში სამუშაოდ წასვლა აღარ მოუწევთ, სადაც თურმე ყოველ 5 წუთში სტვენას ავალდებულებენ, ვაითუ, ვინმემ თხილი შეჭამოსო.

**— „ნაცმოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც გამგებლის მოადგილეების სამსახურიდან დათხოვნაში გდებენ ბრალს...**

— დიახ, ამ განცხადებაში წერია ჩოხატაურში სასწრაფოდ შეწყდეს თემურ ჭკუასელის აღვირახსნილი ქმედებებიო. მოგიყვებით, რაც რეალურად მოხდა. ცოტა ხნის წინ, საკრებულოს წევრებს შევხვდი. მშვიდად შევთანხმდით, რომ თუ ჩოხატაურის განვითარებაზე რეალურად ვფიქრობთ, ერთმანეთთან შუღლს თავი უნდა დავანებოთ, არავის არსად ვაგდებ, მომავალ ადგილობრივ არჩევნებამდე ერთობლივად უნდა ვიმუშაოთ-მეთქი. ამასთან, ყველას მადლობა გადავუხადე, რომ ახალი გამგებლის დანიშვნაში ხელი შემიწყვეს.

**— რაიონის გამგებელი თქვენ რატომ დანიშნეთ?**

— მაშინდელმა გამგებელმა, 25 დეკემბერს, წასვლის შესახებ განცხადება დაწერა, თანამდებობის დატოვებას მანამდე გეგმავდა, მაგრამ ვუთხარი, ბარემ 2012 წელი ჩაამთავრე და შენ მიერ დაწყებული პროექტები დაასრულე-მეთქი. მადლობა გადამიხადა. ამის შემდეგ, ახალ გამგებლად უაღრესად კეთილშობილი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პირი დაინიშნა, რომელსაც რაიონი ნამდვილად უყვარს, ბევრი რამ იცის. რაც არ იცის, ჩვენ გავაგებინებთ. ბუნებრივია, ახალ გამგებელს უნდა დავხმარებოდით კადრების გადაადგილებაში და არა მათ გათავისუფლებაში. ამ მიზნით შევხვდი გამგებლის მოადგილეებს, რომლებსაც ავუხსენი, რომ ქვეყანაში ხელისუფლება და, შესაბამისად, ვითარებაც შეიცვალა, მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მე მომცა, ამიტომ მათ ცვლილებების ხილვაც უნდათ, რაც თქვენი დახმარებით უნდა განხორციელდეს-მეთქი. მითხრეს, გასაგებიაო. ერთადერთი, ვინც ელემენტარული პროტესტი გამოხატა, დიმიტრი კორიფაძე იყო, რომელმაც პროვოკაციულად მკითხა, თანამდებობიდან გადადგომის განცხადება ახლავე უნდა დავწეროთო? ვუპასუხე, ეს მხოლოდ შენი გადასაწყვეტია-მეთქი. ეს იყო და ეს. მუშტების ბრახუნი იქ ნამდვილად არ ყოფილა.

საერთოდ, „ნაციონალები“ ყველანაირად ცდილობენ საკუთარი განცხადებებით, მხოლოდ უმრავლესობის წევრებს კი არა, სრულიად საზოგადოებას მოუშალონ ნერვები. ამას ოზურგეთელი „ნაციონალების“ წერილი მოყვა, რაც მათმა თანამებრძოლებმაც კი გააპროტესტეს, რომლებიც ჩემი მეგობრები არიან. როგორც ჩანს, კორიფაძემ დაურეკა დაბოღმილ ვინმე ბერიძეს, რომელსაც ვიცნობ და ეს განცხადებაც ამის შემდეგ გამოაქვეყნეს. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო არჩევნებში ჩემმა „ნაციონალმა“ კონკურენტმა მანანა ჯინჭარაძემ განაცხადა, მადლობა ღმერთს, ჩოხატაურში თემურ ჭკუასელმა გაიმარჯვა და არა მეო. შესაბამისად, ჩოხატაურში ჭეშმარიტი კოჰაბიტაცია შედგა, თუმცა „ნაციონალები“ წყლის ამღვრევას ჯერ კიდევ ცდილობენ. თემურ ჭკუასელის აღვირახსნილი საქციელი შეწყდესო, — ასეა ნათქვამი იმ წერილში — ტაში და მრავალჟამიერი!

**— იგივე განცხადებაში ბრალს გდებენ, თითქოს, გამგეობაში ნათესავებს ნიშნავთ...**

— ეს ინფორმაცია კი ნამდვილად აბსურდია. მსგავსი საუბრები რომ არ დაწყებულიყო, ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი, მერაბ კობიძის „სივიც“ კი არ განვიხილე, რადგან მეუღლე კობიძე მყავს. ერთადერთი, რაც გავაკეთე, ჩემი რეკომენდაციით გამგებელი დაინიშნა, შემდეგ კი, მას სრული კარტბლანში მივეცი. მართალია, გარკვეულ საკითხებს ხშირად მითანხმებს, მაგრამ ეს სხვა საქმეა. ჩემთვის მნიშვნელოვანი ჩოხატაურში არსებული პრობლემების დროული გადაჭრაა და არა ვიღაცებთან პოლემიკაში შესვლა. საკმაოდ ხშირად ვარ ჩემ რაიონში და ვცდილობ, მოსახლეობას მაქსიმალურად მოვუსმინო. გული დამწყდა, რომ პატრიარქის რეზიდენციაში ელიტურ მიღებას ვერ დავესწარი. დიახ, როცა ტელევიზორში ვუყურებდი ჩემი მეგობრები როგორ უჭახუნებდნენ ერთმანეთს შამპანურით სავსე ჭიქებს, გული დამწყდა, მაგრამ, პირველ რიგში, ჩემთვის საქმეა მნიშვნელოვანი. ჩემი სამუშაო კაბინეტიც გამგებლის შენობაშია, რაც მაძლევს საშუალებას, მოსახლეობის პრობლემების ნაწილი ადგილზევე გადავჭრა. აქვე გეტყვით, რომ საკალანდოდ, პოლიციას „პიკაპის“ ტიპის მანქანა ვთხოვე, რომელიც პირადი სახსრებით, 25 კგ კარტოფილით, ფქვილით, შედედებული რძით, მაკარონით დავტვირთე და ცხრაშვილიან და ათშვილიან ოჯახს ვეწვიე. სხვათა შორის, მაშინ მკითხეს, გასაშუქებლად ტელევიზიებს არ დაუძახებთო? ვუპასუხე, ნამდვილად არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა კატეგორიას, რომელიც კეთილ საქმეს ტელევიზიებისთვის აკეთებს-მეთქი. ასე რომ, კარგი იქნება, თუ აბსურდული ინფორმაციების გავრცელება ამით დასრულდება.

## პაატა ზაქარეიშვილი განათლების სამინისტროს წარმომადგენლებს შეხვდა



რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ქართულის, როგორც მეორე ენის ექსპერტ-კონსულტანტი მაია მელიქიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ დირექტორის მოადგილე თამარ კეკელიძე, პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ კოორდინატორი მაია ჭილაშვილი მიიღო.

შეხვედრაზე სამოქალაქო ინტეგრაციის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის სწავლებისა და ქართული ენის სახლების განვითარების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი აბიტურიენტების საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების, ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლის საქმიანობის საკითხები განიხილეს. განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა სახელმწიფო მინისტრს აღნიშნული მიმართულებებით რეფორმების მიმდინარეობა გააცნეს.

**„ჩვენი უწყებისთვის ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და სახელმწიფო ენის სწავლება, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხებია და ამაზე უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში განათლების სამინისტროსთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. მიმაჩნია, რომ აღნიშნული კომისიის საშუალებით შესაძლებელია სამინისტროების ერთობლივი ეფექტური საქმიანობა“,** — აცხადებს ზაქარეიშვილმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## აფხაზეთიდან დევნილები ბარამიას გადაყენებას მოითხოვენ



აფხაზეთიდან დევნილები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, გია ბარამიას უნდობლობას უცხადებენ და თანამდებობიდან მის გადაყენებას მოითხოვენ, — ამის შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან, აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა აბესალომ მიქელაძემ განაცხადა.

მისი თქმით, თუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამია არ გადადგება, ისინი საპროტესტო აქციებს გამართავენ: **„აფხაზეთის ავტონომიური ლეგიტიმური მთავრობა არ გამოხატავს დევნილი მოსახლეობის ინტერესებს და წინააღმდეგობაშია საქართველოში არსებულ ახალ რეალობასთან. არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, წარმოადგენს ქვეყნის ყოფილი მმართველის რეჟიმის პოლიტიკური დაკვეთის შემსრულებელ დესტრუქციულ ჯგუფს, ხელს უშლის დევნილი მოსახლეობის ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესებში ჩართულობას“.**

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# ილია მეორე: „უნდა ვააპატიოთ ერთმანეთს!“

**22 იანვარს სასტუმრო „უკრაინაში“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა, რომელსაც Православие и мир აქვეყნებს.**



**— თქვენო უწმინდესობავ, შეხვდით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს. გვიამბეთ, თუ შეიძლება, რა საკითხები განიხილეთ?**

— ჩვენ, პირველ რიგში, შიდა ხასიათის საკითხები განვიხილეთ. საუბარი შეეხო საეკლესიო კრების მოწვევის საკითხსაც, რომელიც მომავალში უნდა გაიმართოს. ვფიქრობ, მივედით ერთ აზრამდე, რომ ვიდრე ყველა საკითხი არ დარეგულირდება, რომელიც მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დგას, კრების მოწვევას აზრი არ აქვს. ეს არის ძალიან რთული საკითხები, თუმცა აუცილებელია განხილვა და გადაწყვეტა, რა გავაკეთოთ მომავალში.

ასევე, ვისაუბრეთ ჩვენი ხალხებისთვის მართლმადიდებელი ეკლესიის როლზე, იმაზე, რომ როდესაც იყო (და ამჟამადაც) ჩვენს სახელმწიფოებს — რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობაა, რუსულმა და ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიებმა ძმური ურთიერთობები შეინარჩუნეს და ეს იყო ჩვენი ურთიერთობების ერთადერთი დამაკავშირებელი. ვფიქრობ, ჩვენს ვიზიტს კარგი შედეგები ექნება.

**— რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ხვდებით. რისი თქმა გსურთ პრეზიდენტისთვის, რა თემებზე ისაუბრებთ?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი განხილვის მთავარი თემა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონია, თუმცა სხვა საკითხებიც იქნება განხილული: სავიზო რეჟიმი, სავაჭრო, თუმცა ეს არის წინასწარი საუბრები. ჩვენი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი კი ყველა ამ საკითხის განხილვას მომავალში სერიოზულად აპირებს. ვფიქრობ, არ არსებობს არანაირი საკითხი, რომლის დადებითად გადაწყვეტა არ შეიძლება, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ჩვენ გვესმის, რომ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვების პრობლემების დანახვაც საჭიროა. ამიტომ, ვფიქრობ, შეხვედრა იქნება თბილი და შედეგები — კარგი.

**— თქვენო უწმინდესობავ, საქართველოსა და რუსეთის მცხოვრებთა უფროს თაობას საკმაოდ ფართო კონტაქტები აქვთ (ჩვენ ხალხებს შორის არსებობს საუკუნოვანი კულტურული და სულიერი კავშირები), თუმცა ახალგაზრდებზე იგივეს ვერ ვიტყვით, ჩვენი ქვეყნების ახალ თაობას ერთმანეთთან ურთიერთობა თითქმის არ აქვს. როგორ ფიქრობთ, რა გზითაა ურთიერთობების დამყარება ადამიანებს შორის შესაძლებელი ახალ პირობებში?**

— ვერ ვიტყოდი, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა რუსეთის შესახებ არ იციან. ისინი ინტერესდებიან რუსეთით, მისი ისტორიით, კულტურით. ვფიქრობ, ურთიერთობები აუცილებელია. აუცილებელია ალბათ, სავიზო რეჟიმის მოხსნა, უფრო თავისუფალი ურთიერთობები. საქართველო რუსეთის კულტურას, ლიტერატურას, ფილოსოფიას ძალიან აფასებს.

როდესაც ზაგორკის სასულიერო აკადემიაში ვსწავლობდი, ხშირი ურთიერთობა გვქონდა ისეთ ფილოსოფოსებთან, როგორიცაა ბერდიაევი, მამა პავლე ფლორენსკი და სხვები. მაშინ ამის კითხვა იკრძალებოდა, თუმცა ჩვენ ამას ვახერხებდით.

დღეს ქართველი ახალგაზრდობა ინტერესდება რუსეთის როგორც წარსულით, ისე მომავლით. ძალიან ბევრი სულიერი და სხვა ფასეულობა გვაქვს, რომელიც უნდა გავცვალოთ. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს და არა მხოლოდ ვიცნობდეთ, არამედ ერთმანეთს დიდი პატივისცემით მოვეკიდოთ. ჩვენს ერებს შორის თბილი ურთიერთობები ნარჩუნდება, რაც მახარებს.

**— თქვენო უწმინდესობავ, ქართულ საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობთ. გვითხარით, თუ შეიძლება, რა თვისებები სჭირდება მღვდელს, რათა მაღალი ავტორიტეტი ჰქონდეს და რა უნდა გააკეთოს ეკლესიამ, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში, რომ მისმა ავტორიტეტმა გამტკიცება და ზრდა განაგრძოს?**

— მე მიყვარს ჩემი ხალხი, ჩვენი ეკლესია და მიყვარს მართლმადიდებლობა, მიყვარს თქვენი ეკლესია და თქვენი ხალხი და მაინტერესებს თქვენი წარსული, მომავალი, თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ დღეს საქართველო გამონაკლისია, ვფიქრობ, უპირველესად, გულწრფელი, მორწმუნე, მოსიყვარულე უნდა იყო. ადამიანებს შორის ურთიერთობაში გულწრფელობა აუცილებელია. ერთმანეთს უნდა მივუტევოთ. ამის მუდმივად გულით ტარება არ შეიძლება. წმინდა ბასილი დიდი ამბობს, რომ ბოროტების ბოროტებითვე განკურნება არ შეიძლება, ბოროტება მხოლოდ სიყვარულით იკურნება. ჩვენ ისევე, როგორც თქვენ, ბევრი სასულიერო პირი გვყავს და მახარებს, რომ ჩვენი მორწმუნეები სამღვდელოებაში შესანიშნავ მაგალითებს ხედავენ.

**— თქვენო უწმინდესობავ, ამბობენ, რომ რამდენიმე წლის წინ, საქართველოში შობადობის გაზრდის მიზნით, პირობა დადეთ, რომ ყველა მესამე ან შემდეგი ბავშვის ნათლია იქნებოდით, რომლებიც ჯვარდაწერილ ოჯახებში დაიბადებოდნენ. მართალია თუ არა ეს, რამდენი ნათლული გყავთ უკვე და აღმოჩნდა თუ არა ეს დაპირება ეფექტური?**

— თანამედროვე ცხოვრების სირთულეებიდან გამომდინარე, მშობლები კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ ერთი ან ორი შვილი ჰყავდათ. აბორტი საშინელი ცოდვაა — ეს არის ადამიანის, საკუთარი შვილის მკვლელობა! ამიტომ განვაცხადე, რომ თუ იმ მშობლებს, რომლებსაც მესამე და შემდეგი შვილი გაუჩნდებოდათ, სურვილი ექნებოდათ, მე მათი ნათლია გავხდებოდი. დღეს უკვე 14 ათასზე მეტი ადამიანია ჩემი ნათლული და სულიერი შვილი, მე მიყვარს ისინი და ვლოცულობ მათთვის.

ცოტა ხნის წინ, პატრიარქად ჩემი აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილე აღინიშნა და მშობლებიც და თავად ბავშვებიც შეიკრიბნენ, რათა თავის სულიერ მამას მისალმებოდნენ. ძალიან მიხარია, ეს ხომ ის ბავშვები არიან, რომლებიც შესაძლოა, არ დაბადებულიყვნენ, რომლებიც შესაძლოა, აბორტით მოეკლათ. ვფიქრობ, როდესაც ისინი გაიზრდებიან, ამას დააფასებენ. ახლა, როდესაც მესამე შვილი იბადება, მშობლები ისეთი ბედნიერები არიან, რომ არ ჩერდებიან და იბადება მეოთხე, მეხუთე...

**— გვითხარით, თუ შეიძლება, სავიზო პრობლემის გარდა, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი მორწმუნეების მიერ ქართული სიწმინდეების მოლოცვას?**

— საქართველოს მხრიდან ხელს არაფერი უშლის. ჩვენ გავხსენით საზღვარი და როგორც რუსები, ასევე სხვა ადამიანები თავისუფლად მიდიან ჩვენს ტაძრებში, მონასტრებში და მათ სიყვარულით იღებენ. ვფიქრობ, ამასთან დაკავშირებით, რუსეთის მხრიდანაც მსგავსი დამოკიდებულება იქნება.

*„პირველი“*



რატომ გამოაცხადა კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ტენდერში გამარჯვებულად სამკაციანი კომპანია და ვინ დგას „მედიაპრო ჯორჯიას“ უკან?

# მობილური და ფიქსირებული კავშირის კომპანიები პორტირებისთვის წელიწადში 5 000 000 ლარს იხდიან?!

**ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია (აფბა) კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მორიგ უკანონო ქმედებას ამხელს. მობილური და ფიქსირებული კავშირის კომპანიებს შორის, პორტაბელურობის სისტემის დანერგვის მიზნით, კომისიამ ტენდერი ჩაატარა და გამარჯვებულად სამკაციანი კომპანია „მედიაპრო ჯორჯია“ გამოავლინა, რომელიც პორტირების მომსახურებისთვის, წელიწადში 5 000 000 ლარის შემოსავალს იღებს. აფბა-ს ინფორმაციით, „მედიაპრო ჯორჯიას“ არაოფიციალურ მფლობელებად მოიაზრებიან კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი ჩიქოვანი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი, გივი თარგამაძე.**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით, მობილური კომუნიკაციების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, 2011 წლის 15 თებერვლიდან ნომრის პორტაბელურობის მომსახურება დაინერგა. ამ სისტემის დანერგვამდე, თუ აბონენტს მობილური ოპერატორის შეცვლა სურდა, ნომრის შეცვლაც უწევდა, რაც კონკურენციის შემაფერხებელი ბაერიერი იყო. აფბა-ს პრეზიდენტის, **ნოდარ ჭიჭინაძის** განცხადებით, მართალია, ახალი სისტემა კონკურენციის გაძლიერების მიზნით დაინერგა, მაგრამ ამ სისტემის კვლევისას, აფბა-მ ისეთი ფაქტები გამოავლინა, რომლებიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებენ: **„კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, პორტაბელურობის მომსახურების დანერგვის მიზნით, 2010 წლის 30 ივლისს, შესაბამისი კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში მონაწილეობა სამმა კომპანიამ მიიღო — „კეთ ენდ კეთ მედია“, „განთექი“ და „მედიაპრო ჯორჯია“. კომისიამ ტენდერში გამარჯვებულად „მედიაპრო ჯორჯია“ გამოაცხადა, დანარჩენ ორ კომპანიას კი დისკვალიფიკაცია მიანიჭა. შეფასების მთავარი კრიტერიუმი იყო მონაცემთა ცენტრალური ბაზის დანერგვისა და ადმინისტრირების გამოცდილება. „კეთ ენდ კეთ მედია“ კონკურსის დასაწყისშივე მოხსნეს ტენდერიდან, რადგან ამ სფეროში გამოცდილება არ ჰქონდა, ხოლო კონკურსის მეორე ეტაპზე, დისკვალიფიკაცია მიანიჭეს თურქულ კომპანია „განთექს“, რომელსაც 24-წლიანი გამოცდილება აქვს. „განთექს“ ზურგს უმაგრებდა უმსხვილესი საკომუნიკაციო კომპანია „ტელეკორდია ტექნოლოჯი“, რომელსაც მონაცემთა ბაზების დანერგვისა და ადმინისტრირების გამოცდილება, ბევრი ქვეყნის მასშტაბით აქვს. მიუხედავად ამისა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ „განთექი“ ტენდერიდან მოხსნა და მიზეზად, მის მიერ შემოთავაზებული სატარიფო პოლიტიკა დაასახელა“.**

რა სატარიფო პოლიტიკა აქვს ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „მედიაპრო ჯორჯიას? აფბა-ს ერთ-ერთი წევრის, **მერაბ ჯანიაშვილის** განმარტებით, „მედიაპრო ჯორჯია“, კომპანიებს პორტირების გადასახადს ახდევინებს ყველა არსებულ ნომერზე იმის მიუხედავად, პორტირდება თუ არა, ნომრის მფლობელი აბონენტი. თურქული კომპანია „განთექი“, პორტირების გადასახადს, პორტირებული ნომრების რაოდენობის მიხედვით აწესებდა:

**„რაც მთავარია, კომპანია „განთექი“ ასეთ ტარიფებს გვთავაზობდა: 85 000 პორტირებულ ნომრამდე განხორციელებულ პორტირებაზე 660 000 ევრო წელიწადში, 85 000-დან 150 000-მდე პორტირებულ ნომერზე, დამატებით 4 ევრო თითოეულ ნომერზე წელიწადში და 150 000 პორტირებული ნომრის ზემოთ, დამატებით 2 ევრო თითო ნომერზე წელიწადში. „მედიაპრო ჯორჯია“ კი კომპანიებს, ყველა არსებულ ნომერზე, 0,38 ევრო-ცენტის ოდენობის გადასახადს ახდევინებს. მაგალითად, „განთექის“ პირობებში, 150 000-მდე ნომრის პორტირების შემთხვევაშიც კი, ყველა ამ ნომრის გადასახადი 900 000 ევროზე (დაახლოებით, 1 900 000 ლარი) მეტი ვერ იქნებოდა. ტენდერში გამარჯვებული „მედიაპრო ჯორჯია“ კი, რომელიც ყველა არსებულ ნომერზე, კომპანიებს 0,38 ევროცენტს ახდევინებს, წელიწადში 5 000 000 ლარამდე შემოსავალს იღებს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2012 წლის მდგომარეობით, საქართველოში 4 487 877 მობილური ქსელისა და 1 364 047 ფიქსირებული ქსელის აბონენტი დაფიქსირდა ანუ ჯამში, 5 851 924 აბონენტი. ბოლო მონაცემებით, სხვადასხვა ქსელებში 110 000 აბონენტი გადაპორტირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ „განთექის“ გამარჯვების შემთხვევაში, მობილური ოპერატორები, მაქსიმუმ 660 000 ევროს, ანუ დაახლოებით 1 400 000 ლარს გადაიხდიდნენ. არადა, „მედიაპრო ჯორჯია“ მობილურ და ფიქსირებულ ოპერატორებს ოთხჯერ მეტ თანხას ახდევინებს“.**

საინტერესოა, რატომ გაიმარჯვა ტენდერში „მედიაპრო ჯორჯიამ“ ან ვინ დგას ამ კომპანიის უკან? მერაბ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მფლობელებად, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი ჩიქოვანი და ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი, პარლამენტარი გივი თარგამაძე მოიაზრებიან: **„მიუხედავად ამისა, სამეწარმეო რეესტრის ოფიციალური ინფორმაციით, „მედიაპრო ჯორჯიას“ 100%-იანი წილის მფლობელია ლიტვური კომპანია „მედიაფონი“. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლამდე, ამ კომპანიის 100%-იან წილს, სხვა ლიტვური კომპანია „ქოთლენდი“ ფლობდა. „ქოთლენდის“ საქმიანობის სფეროს, სატელევიზიო ინტერაქტიული თამაშების ორგანიზება წარმოადგენდა. ეს ის კომპანიაა, რომელიც წლების წინ, ტელეკომპანია „იმედზე“ აფინანსებდა სატელევიზიო ინტერაქტიულ კონკურსებს და ქართველ მაყურებელს ატყუებდა, რადგან ერთ ზარში, დაახლოებით, 2 ლარს ახდევინებდა. მაყურებელთა უკმაყოფილების გამო, ტელეკომპანია „იმედმა“ გაწყვიტა კონტრაქტი და „ქოთლენდთან“ თანამშრომლობაზე უარი თქვა. ეს ფაქტები აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ტენდერში გაამარჯვებინა საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიას, ხოლო ამ სფეროში დიდი გამოცდილების მქონე კომპანია კი კონკურსს ჩამოაშორა. შედეგად, დღეს პორტაბელურობის მომსახურებას ახორციელებს კომპანია, რომელსაც მხოლოდ 3 თანამშრომელი ჰყავს, ერთ-ერთ შენობაში, მხოლოდ ორი ოთახი აქვს დაქირავებული საოფისედ, არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს მაღალი დანახარჯები, მაგრამ ამ ფონზე, წელიწადში მობილური, ასევე ფიქსირებული კავშირის კომპანიებისგან 5 000 000 ლარის შემოსავალს იღებს“.**

აფბა-ს ვიცე-პრეზიდენტის, ვლადიმერ ხიხაძემ აღნიშნა, რომ ეჭვს იწვევს ტენდერის ჩატარების შესაბამისობა კანონმდებლობასთან. მისი თქმით, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ ტენდერი 2010 წლის აგვისტოში ჩაატარა, ამ ტენდერში გამარჯვებული კომპანია 2011 წლის თებერვალში გამოავლინა, მაგრამ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონში ცვლილება, მხოლოდ 2011 წლის აპრილში განახორციელა, რომლის თანახმადაც პორტაბელურობის მექანიზმი ჩამოყალიბდა. რაც მთავარია, მონაცემთა ბაზა ამჟამად ლიტვაშია განთავსებული და განხორციელებული ზარების შესახებ ყველა ინფორმაცია, სავარაუდოდ, თავს სხვა ქვეყანაში იყრის. აფბა-ს წევრები ამ ფაქტის შესწავლას სამართალდამცავ ორგანოებს სთხოვენ, რადგან საინტერესოა, ვის ხელში ხვდება ეს ინფორმაცია, ვინ და როგორ იყენებს ამ მონაცემებს ან ვის საწინააღმდეგოდ შეიძლება მათი გამოყენება?!

*მაია მიშელაძე*





რუსუდან შელია
პოლიტიკა

**პრეზიდენტის რეზიდენციასთან გამართულ ათდღიან აქციაზე, რომელსაც პოლიტიკოსებთან ერთად, საზოგადო მოღვაწეებიც შეუერთდნენ, მიხეილ სააკაშვილი არალეგიტიმურ პრეზიდენტად გამოცხადდა და მას გადადგომისკენ მოუწოდეს. აქციაზე ისეთებიც იყვნენ, ვისთვისაც, სააკაშვილის გადადგომა საკმარისი სულაც არ არის. რატომ ითხოვს პრეზიდენტისა და მისი გუნდის ციხეში გაგზავნას და რატომ სდებს ბრალს ნაციონალურ მოძრაობას ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში? — პოეტი ვაჟა ოთარაშვილი „ვერსიის“ კითხვებსაც პასუხობს და სომხეთში ვიზიტისას, პრემიერ-მინისტრის განცხადებებსაც აფასებს.**



# დასაჭერ „ნაციონალთა“ 400-კაციანი სია

## ვის დაპატიმრებას სთხოვს პოეტი ვაჟა ოთარაშვილი ივანიშვილის ხელისუფლებას

— როგორც ქართული საზოგადოების რიგითი წარმომადგენელი და პოეტი, მიშვრაცუასა და მისი დამნაშავე გუნდის ციხეში გაგზავნას მოვითხოვ. საჭიროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, ხოლო ახალმა პარლამენტმა აუცილებლად უნდა შეაფასოს „ნაციონალთა“ ფაშისტური ხროვის ცხრაწლიანი „მოღვაწეობა.“ ეს კარგი მაგალითი იქნებოდა საქართველოს მომავალი ხელისუფლებისთვისაც. ასე მოიქცა ცივილიზებული ევროპა, კერძოდ, გერმანია, როცა ნიურნბერგის პროცესის შემდეგ, ნაცისტური პარტია კანონგარეშედ გამოაცხადა. იგივე უნდა განმეორდეს საქართველოშიც. ქართველები ის ერი ვართ, სადაც ევროპული რენესანსის აკვანი, როგორც შალვა ნუცუბიძე ამბობდა, ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაირწა. აღმოსავლური რენესანსი კი იყო დასავლური კულტურის აღმავლობის საფუძველი. გავიხსენოთ ბელგიელი აკადემიკოსი ერნესტ ჰონიგმანი რას წერს პეტრე იბერზე, ქართული ფილოსოფიური სკოლის ფენომენზე, ანდა, არტურ ლაისტი ჩვენს სახელოვან წინაპრებზე. ამიტომ, ჩვენ დიდი და ღირსეულ ერი ვართ და „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდვნოდეს“. ყველას ჭკუაზე თუ გავივლით, ისე მოგვივა, როგორც ვირით მიმავალ მოლა ნასრედინს. მინდა, ყველას გავახსენო „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორის, შესანიშნავი შემოქმედის, პოლიკარპე კაკაბაძის სიტყვები: „ვინც ერის ხსნაზე არ ზრუნავს, ის ვერც თავის სულს იხსნის, რადგან ადამიანი განუყოფელი ნაწილია თავისი ერის. ჩვენ სინდისით უნდა ვიყოთ თავისუფალი. ჩვენს ენაზე ვუსმენდეთ უფალს“. უფალს უნდა ვუსმინოთ და ივერიის მაჯისცემას დავუგდოთ ყური და არა გაღმა-გამოღმელი ლობისტური კამპანიების მიერ ატეხილ ყიჟინას...

**— ამბობთ, რომ კოჰაბიტაციის წინააღმდეგი ხართ. ვინ არის დღეს ქართულ პოლიტიკაში წამებული და მეძავი?**

— დიახ, ჩვენ კოჰაბიტაცია არ გვჭირდება, რადგან ის ჰარმონიულ თანაცხოვრებას გულისხმობს. წამებული დღეს ქართველი ერია, ხოლო მეძავთა ბუნაგი — „საკნაცები“. შესაბამისად, დაუშვებელია, სააკაშვილის ბანდის მსგავსი დამნაშავეები ქართველ ერთან თანაცხოვრებას განაგრძობენ. ამისთვის რამდენიმე მიზეზი გვაქვს. სიმართლე გითხრათ, იმედი მქონდა, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები უფრო ფართოდ გაშლიდნენ მოქმედების არეალს. მაგალითად,

**მეგონა, უფრო სწრაფად გამოაშკარავდებოდა საქართველოდან გაქცეული ზურა ადეიშვილის ქსელი. მან ყვარლის ტბასთან ცალკე ოაზისი მოიწყო, სადაც ხელისუფლების მაღალჩინოსნები ღრეობასა და ორგიებს აწყობდნენ. ამასთან, სასწრაფოდ მოსაძებნია ადეიშვილის ქსელში გაერთიანებული, ქვეყნიდან გაქცეული ირაკლი გიორგობიანიც, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე იყო და რომელმაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემა მიწასთან გაასწორა. როგორც ამბობენ, მან ორასზე მეტ მთავარ ექიმს ძალით დააწერინა განცხადება სამედიცინო დაწესებულებების ჩუქების შესახებ. მან ასევე არარეალურად დაბალ ფასად იყიდა ყაზბეგის ქუჩაზე არსებული ონკოლოგიური ცენტრის შენობა. იგივე შეიძლება ითქვას ე.წ. ილიას უნივერსიტეტის რექტორ გიგი თევზაძეზეც, რომელიც განსაკუთრებული ანტიქართული გამოსვლებით ხასიათდებოდა.**

მან, ფაქტობრივად, ყველა ღირსეული პედაგოგი გაათავისუფლა უნივერსიტეტიდან, ვინც ქართული ცნობიერებით გამოირჩეოდა. მაინტერესებს, როგორ უნდა იწოდებოდეს რექტორად, უწმაწურობით სავსე ტომარა კახა ბენდუქიძე?! კაცი, რომელიც საქართველოდან გაქცეული იყო და ქვეყანაში რუსეთის დამქაშად მობრუნდა.

**„ყველას ჭკუაზე თუ გავივლით, ისე მოგვივა, როგორც ვირით მიმავალ მოლა ნასრედინს“**

**მოარული ხმები ამბობენ, ბენდუქიძეს ერთ ლარად გადასცეს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ზემო ბაგები და კუს ტბა. პასუხი უნდა მოეკითხოს ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის რექტორს, ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, სანდრო კვიტაშვილსაც. ასევე დაუშვებელია, გიული ალასანიას ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა ებაროს. გიული ალასანიამ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ყველას თვალწინ, ქონება წაართვა და მიითვისა... ეს ქონება უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.**

**— არჩილ კბილაშვილმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა განცხადება, რომ ბრალდებულების წამების ამსახველი არაერთი კადრი პროკურატურაში ინახება. ფიქრობთ, ეს კადრები საზოგადოებისთვისაც ცნობილი უნდა გახდეს?**

— რა თქმა უნდა, სახარებაში ნათქვამია — „ბოლოს ყოველივე დაფარული გაცხადდების“. ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია იმ წამების დეტალები, რაც საპატიმროების, პროკურატურისა თუ შსს-ს კედლებში ხდებოდა.

ხალხი, რომელიც ჯერ კიდევ ფიქრობს, ყოფილი მაღალჩინოსნები უკანონოდ არიან დაკავებულნი და მათზე პოლიტიკური დევნა ხორციელდება, ძალიან ცდება. სინამდვილეში, საქმე გვქონდა ე.წ დემოკრატიულ ინკვიზიციასთან, ასიათასობით თანხის საეჭვო გადარიცხვასთან, თანამდებობების ბოროტად გამოყენებასთან, ქალაქის მერიის მიერ შემოღებულ უკანონო გადასახადებსა და მერის მესვეურთა წილებში ყოფნასთან, დედაქალაქის იერსახის დამახინჯებასთან. სამართალი კი პურს იმიტომ ვერ ჭამს, რომ სასამართლო კვლავ კუბლაშვილების ხელთაა. კიდევ ერთი დეტალია, რაზეც არავინ ამახვილებს ყურადღებას: მოგეხსენებათ, რობერტ სტურუას განცხადება — ქართველი კაცი იყოს საქართველოს პრეზიდენტიო, ქსენოფობიაში ჩაუთვალეს. დღესაც ხმამაღლა ვაცხადებ, ნაციონალური მოძრაობა დაშნაკცუთიუნის დარად ანტიქართულ ქმედებებს ახორციელებდა. ქუთაისში პარლამენტის გადატანაც, სწორედ საქართველოს „ახლობელი“ მტრების დიდი ხნის ოცნების ახდენას ემსახურებოდა.

**— რას გულისხმობთ?**

— ამით ნიადაგი მზადდებოდა საქართველოს დედაქალაქად ქუთაისი გამოცხადებულიყო. ეს მიშას შეგნებული ნაბიჯი იყო და არ გეგონოთ, რომ ის უტვინოა. პირიქით, ჩვენი ნაპრეზიდენტალი და მისი „ნაცები“ აფხაზეთში „მოღვაწე“ გენერალ ბაგრამიანის ჯიშის მსგავსი ანტიქართული ძალაა, რომლის მიზანიც ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტება და ყოველგვარი ქართული ღირებულებების მოშლა იყო. შემთხვევითი არაა, რომ ისტორიულ თბილისში, რომლის თითოეული გოჯი მართლაც წინაპრების სისხლითაა გაჟღენთილი. კერძოდ, რიყეზე, ორი უაზრო ე.წ. ტრუბა გაჩხირეს. ასევეა, მტკვარზე „ოლვეის ულტრად“წოდებული შუშის ხიდის აგება, მაღალსართულიანი, უგემოვნო „სოკოს შენობები“ და რკინის ჯაბახანები, ბაგრატის ტაძრის ბაყაყისფრად გადახურვა... ვილაცას ჰგონია, რომ ეს „ნაციონალების“ უცოდინრობისა და ბავშვობაში მაზოხისტური აღზრდის მეთოდების ბრალი იყო. არა, გარწმუნებთ, ეს ქართული არქიტექტურული ძეგლების ბოლომდე წასაშლელად შეგნებულად კეთდებოდა.

ისტორიულ ძეგლებს შეგნებულად, რუსი ეგზარქოსები ამახინჯებდნენ, რისი მაგალითიც ანჩისხატის ეკლესიაა. 1801-1880 წლებში, ანჩისხატის ეკლესიას ჯერ ხელოვნური გუმბათი დაადგეს, შემდეგ ვითომ გათბობის მიზნით, კედლები დაანგრიეს და ბუხრის მილები შეიყვანეს, სარკმლები ამოუქოლეს და დამატებითი სარკმლები ამოუჭრეს, ხან ზეთის საღებავებით გადაღებეს და ა.შ. ძლივს მოხერხდა გასული საუკუნის სამოციან წლებში, ეკლესიისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. მსგავს სვლას აკეთებდა სააკაშვილიც, თავისი კულტურის დამაქცევარი მინისტრების, გოკასა და ნიკას დახმარებით. ამ ადამიანებმა კულტურული ძეგლების ხელყოფისთვისაც უნდა აგონ პასუხი. ცნობილია, რომ ნაციონალურ მოძრაობას 48 ათასი პატიმარი ჰყავდა, რომელთა უმრავლესობა ყოველგვარი ბრალდების გარეშე იყო დაჭერილი. ახლა კი, დაახლოებით, 400-500 ნაციონალზეა საუბარი, რომლებიც საქართველოს ქონებას ჭამდნენ და მოსახლეობას აწამებდნენ.

**— თქვენ 400 „ნაციონალის“ დაკავებისკენ მოუწოდებთ ახალ ხელისუფლებას?**

— რა თქმა უნდა, რადგან ცხრა წლის განმავლობაში საქართველოში 1937 წელი მეორდებოდა. ამის მერე, რას იტყვის ევროპა, სულაც არ არის საინტერესო. გაიხსენეთ მუხრან მაჭავარიანის ლექსი „საბა“: ევროპას ფეხებზე კიდია საქართველო! ხმაურობენ მხოლოდ „ნაცების“ ქართული ფულებით დასუქებული პიარლობისტები. თანაც, ჩვენი ორიენტირი რასმუსენი ან მსოფლიოს დანარჩენი სახელმწიფოს ლიდერი სულაც არ უნდა იყოს, რადგან ჩვენ გრიგოლ ხანძთელისა და ილია ჭავჭავაძის შთამომავალი ერი ვართ. საერთოდ, ქართველებს საკმაოდ ცუდი რამ გვჩვევია, უცხო ქვეყნის ლიდერს კუმირად ვაქცევთ ხოლმე, რაც რუსეთმა, შემდეგ კი საბჭოთა ბატონობამ დაგვიმკვიდრა. იგივეს აგრძელებდა მიშვრაცუა, რომელიც სპეცსამსახურებში გამოზრდილი ვირთხაა და რომელიც, როგორც გითხარით, საქართველოში ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა.

**— რამდენჯერმე ახსენეთ „ნაციონალების“ ანტიქართული პოლიტიკა. პრემიერმა სომხეთში ვიზიტისას განაცხადა, ქართველებმა საგარეო პოლიტიკის წარმართვისას, სომხეთის მაგალითი უნდა ავიღოთო...**

— ასე უნდა ეთქვა. ეს პოლიტიკური ლავირებაა. თქვენ რომ სტუმრად რომელიმე ოჯახმა მიგიპატიჟოთ და იმ ოჯახის სადღეგრძელო არ დალიოთ, ხომ იქნება უპატივცემულობა, რადგან სუფრის ეტიკეტი სხვას მოითხოვს? ასეა პოლიტიკაშიც... საქართველოს ჰყავდა დიდი პოლიტიკოსი და მამულიშვილი მეფეები ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და მათგან უნდა ვისწავლოთ მტერზე მამაცური შეტევაც, შეუპოვარი თავდაცვაც და ერთი მტრის მეორეთი მოშორებაც. ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილი იმაზე ბევრად ძლიერი პოლიტიკური ფიგურაა, ვიდრე მის თანაგუნდელებსა თუ კოალიციის გარეთ მყოფ პოლიტიკოსებს ჰგონიათ. მან 90-ინი წლების რუსეთში მიკრო თუ მაკროეკონომიკური ბრძოლებიდან გამარჯვებულის სტატუსით გამოსვლა შეძლო. ეს კი ბევრზე მეტყველებს. ნიშანდობლივია, რომ მისი და მისი ოჯახის თავგანწირვამ, უფლის მადლით, გადაარჩინა დღევანდელი საქართველო.

**— და როგორ ფიქრობთ, რა არის მიზეზი, რომ პოლიტიკოსებმა სამთვიანი მმართველობის პერიოდში ბიძინა ივანიშვილის სიძლიერე ჯერ კიდევ ვერ აღიქვეს?**

— როგორც წესი, ძლიერი პოლიტიკოსის ამოცნობა მოგვიანებით ხდება. ბიძინა ივანიშვილმა ფილიგრანული პოლიტიკური სიძლიერე ჯერ კიდევ პირველ ოქტომბერს მოპოვებული გამარჯვებით დაამტკიცა. მსგავსი მოვლენები შემთხვევით არ ხდება და ეს არც მხოლოდ დიდი ფულის დამსახურებაა. მან ისე დაალაგა თავისი ფიგურები, რომ საკმაოდ ძლიერი დამნაშავე ძალა დაამარცხა. მოვლენებს ნუ გავუსწრებთ და დაველოდოთ, რა სვლებს შემოგვთავაზებს პრემიერი მომავალში — ივერიელთა სახელმწიფოსა და ხალხის სასიკეთოდ.

## ვერსიანიუსი

### ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს



ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხზე კონსულტაციები მიმდინარეობს, — ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ არჩილ ხაბაძემ მთავრობის სახლში, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების კონფესიებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ხაბაძის თქმით, ბათუმის მეჩეთი მლოცველების სიმრავლის გამო გადატვირთულია, ამიტომ კიდევ ერთი მეჩეთის მშენებლობის საკითხი განიხილება.

როგორც ხაბაძემ განმარტა, მუსლიმი მრევლის მოთხოვნაა, ქალაქთან ახლოს მიწის ნაკვეთის გამონახვა და მთავრობის გვერდით დგომა.

**„შეხვედრის დროს დაისვა კითხვა მეჩეთთან დაკავშირებით. ეს პრობლემა ჩვენთვის ცნობილია და ამ მიმართულებით ვმუშაობთ. მუსლიმ მრევლს არ ჰყოფნის ის მეჩეთი, სადაც ყოველ პარასკევს ლოცვას აღავლენენ. მათ აინტერესებთ ცალკე მეჩეთის გახსნა. ამ საკითხზე ვმუშაობთ და კონსულტაციები მიმდინარეობს. ამბობენ, რომ სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მრევლი ვერ ახერხებს პარასკევობით ლოცვას. საჭიროა მოზრდილი მეჩეთის მშენებლობა, სადაც მრევლის გადანაწილება მოხდება. ამ ეტაპზე, მათი მოთხოვნაა, მთავრობა დაუდგეს გვერდით და ქალაქთან ახლოს, მიწის ნაკვეთი გამოინახოს, სადაც მეჩეთი აშენდება“,** — აღნიშნა არჩილ ხაბაძემ. აღნიშნული საკითხი არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მუსლიმ მრევლთან ერთად განიხილება.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ჩვენ გვაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომლის გაჟღერების შემდეგ, სამი უნივერსიტეტის რექტორი დაუყოვნებლივ დატოვებს თანამდებობას“

ნელი თორდია

## რა უსიამოვნო სიურპრიზს უმზადებენ სტუდენტები უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას?



**„დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია“ სამი უმაღლესი სასწავლებლის რექტორის კორუფციული საქმიანობის დამადასტურებელი ინფორმაციის გასაჯაროებას აპირებს, სტუდენტური თვითმმართველობების ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სტატუსშეჩერებული სტუდენტების დასახმარებლად, მასშტაბური საქველმოქმედო აქციისთვის ემზადება. სტუდენტების სამოქმედო გეგმებზე „ვერსიას“ „დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ნიკა მემანიშვილი ესაუბრება.**

— საუბარს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დავიწყებ. პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დაწყებული აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორები ვართ და მიმაჩნია, ვადაგასულ პრეზიდენტს, რომელმაც მმართველობის პერიოდში, უამრავი სისხლიანი განსაცდელი მოუწყო ქართველ ხალხს, არც კონსტიტუციური და არც მორალური ლეგიტიმაცია არ დარჩა, ქვეყანა მართოს. არც ისაა სწორი, უმაღლეს სასწავლებლებს ყველა ხელისუფლებას მორგებული ადამიანები რომ მართავენ. კოჰაბიტაციის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ადამიანები, რომლებმაც უნივერსიტეტები შეჭამეს და მილიონობით ლარი გაანიავეს, თანამდებობიდან უნდა გაუშვან. ერთ თვეში რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის რექტორს უსიამოვნო სიურპრიზი ელის. გვაქვს სერიოზული ინფორმაცია, რომლის გაჟღერების შემდეგ, სამი უნივერსიტეტის რექტორი დაუყოვნებლივ დატოვებს თანამდებობას.

**— რა ინფორმაციას ფლობთ და რომელ რექტორებს გულისხმობთ?**

— ამ ეტაპზე, მხოლოდ ტექნიკურ უნივერსიტეტს დაგისახელებთ. დავდებთ ფინანსური დარღვევების შესახებ ფაქტებს, სხვა დეტალების გაჟღერებისგან კი, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ.

**— როგორც ვიცი, სტუდენტური თვითმმართველობის ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოითხოვთ მაშინ, როცა არსებული თვითმმართველობის უმეტესობას ერთ წელში ვადა ისედაც ეწურება.**

— სტუდენტურ თვითმმართველობებს ფუნქცია დაკარგული აქვთ. აქამდე, მათი ფუნქცია პარტიულ აქციებზე სიარული და ნაციონალური პოლიტიკის გატარება იყო, რომელიც პირდაპირ ვარძელაშვილის კაბინეტიდან იმართებოდა. თვითმმართველობებში სოდ-ისა და კუდ-ის თანამშრომლები, არა მარტო თვითმმართველობას, არამედ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელსაც აკონტროლებდნენ. დღეს ეს ფუნქცია დაკარგეს და გაურკვევლობაში იმყოფებიან. აინტერესებთ, გაგრძელდება თუ არა სპორტის სამინისტროსთან მათი ურთიერთობა, თუ ჩატარდება თვითმმართველობის არჩევნები და ა.შ. სხვათა შორის, სისტემის ერთ-ერთი ნაკლია, რომ დებულების მიხედვით, თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნების ჩატარება გათვალისწინებული არ ყოფილა. ერთი პარტიული კლანის ხელში მოქცეული თვითმმართველობის შეცვლა არავის ინტერესებში არ შედიოდა, რაც არსებულ თვითმმართველობებს ერთი წლით უხანგრძლივებს არსებობას. საკუთარ ინტერესებზე მორგებული კანონმდებლობისა და უნივერსიტეტების ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, უფუნქციოდ დარჩენილი თვითმმართველობები კიდევ ახერხებენ ძველებურად გართობას. როგორც ვიცი, ტექნიკური უნივერსიტეტის თვითმმართველობის წევრები, ორიოდე კვირის წინ, მორიგ ექსკურსიაზე ბრძანდებოდნენ და ერთ-ერთი ღამის კლუბიც „დახურეს“. ასე გაგრძელება, უბრალოდ, შეუძლებელია.

**— არსებული რეალობის შეცვლას როგორ აპირებთ?**

— ორი კვირის წინ, რეკომენდაცია მივეცით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ყველა უნივერსიტეტში ჩატარდეს თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები. პირად საუბრებში სამინისტროს წარმომადგენლები ამის აუცილებლობას აღიარებენ, მაგრამ საკითხის შესწავლისთვის დრო ითხოვეს. პასუხს დაახლოებით, ერთ თვეში გვეტყვიან.

**— ამჯერად „ქართული ოცნების“ აქტივისტებით დაკომპლექტებულ თვითმმართველობებს უნდა ველოდეთ?**

— რა თქმა უნდა, არა. თვითმმართველობის ღირსეული წევრები ადგილზე დარჩებიან, სტუდენტობა კი, პოლიტიკას საერთოდ უნდა ჩამოცილდეს. სტუდენტი უნდა იყოს თავისუფალი და ნეიტრალური, თუმცა, ეს არ ნიშნავს, საკუთარი პოზიცია არ გააჩნდეს. წინა ხელისუფლების პირობებში, უმეტესად, სწორედ საკუთარი პოზიციის გამო ვისჯებოდით. გემახსოვრებათ, სტუდენტების გატაცების ფაქტი, რომელზეც პროკურატურაში განცხადება შევიტანეთ. როგორც ვიცი, გამოძიება დასკვნით ფაზაშია შესული და მალე, ყველა კითხვაზე მივიღებთ პასუხს.

**— სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სტატუსშეჩერებული სტუდენტების დამცველს აუცილებლად გეცოდინებათ, პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ თუ მოიმატა ამ კატეგორიის სტუდენტთა რაოდენობამ.**

— სტუდენტებს უჭირთ სწავლის საფასურის გადახდა. ჩემი ჯგუფის თითქმის ნახევარს არ ჰქონდა თანხა გადახდილი, მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ვადა გადავაწევინეთ. სტუდენტებს მიეცათ საშუალება, შუალედური წერა დაეწერათ და გამოცდებზე გასულიყვნენ. ადრე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ბევრად ხისტი და რადიკალური იყო. მახსოვს, 10 ლარის გამო, ერთ-ერთ სტუდენტს დამატებით, 6 საგნის ჩაბარება მოუწია. ერთ სოციალურად დაუცველს კი, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემაც ჰქონდა და ოჯახის ბიუჯეტი მის მკურნალობაზე მიდიოდა, ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსმა გადავადების თხოვნაზე შეურაცხყოფით უპასუხა და უნივერსიტეტსაც უჭირსო, ამ სიტყვებით გამოისტუმრა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ძველი რექტორები არიან, სტუდენტების მიმართ დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა. რაც შეეხება სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით ვაპირებთ გამოსავლის პოვნას.

**— ამბობენ, სწავლის საფასურმა შეიძლება, ისევ მოიმატოსო.**

— როგორც ვიცი, განათლების სამინისტრო, ამ ეტაპზე, საჭიროდ არ მიიჩნევს, სწავლის საფასური გაიზარდოს. თუ ასე მოხდა, დიდი შეცდომა იქნება, რადგან სტუდენტებს არსებული საფასურის გადახდაც უჭირთ და განათლების სამინისტრომ, თითქმის გაორმაგებული ბიუჯეტით ეს არ უნდა დაუშვას. სოციალურად დაუცველი სტუდენტების დახმარებისთვის გაზაფხულზე გავმართავთ მასშტაბურ საქველმოქმედო აქციას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ესტრადის ვარსკვლავები, პატრიარქსა და პრემიერს მოვიწვევთ. საქართველოში პირველად გამართავენ საქველმოქმედო აქციას სტუდენტები სტუდენტების დასახმარებლად. რამდენიმე სტუდენტსაც რომ აღვუდგინოთ სტატუსი, დიდ საქმეს გავაკეთებთ.

**წინასაახალწლო განწყობისა თუ სხვა მიზეზების გამო, საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 27 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილება საზოგადოების ყურადღებისმიღმა დარჩა. პარლამენტმა „ზოგადი განათლების კანონში“, სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით, ცვლილებები შეიტანა. კანონი ძალაში 8 იანვრიდან შევიდა.**
**სისტემაში დასაქმებულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მანდატურის სამსახური პოლიციური ფუნქციების მატარებლად რჩება. ოპონენტები განათლების მინისტრს თავისივე განცხადებას ახსენებენ, სადაც ამ ინსტიტუტის გაუქმებაზე საუბრობდა. ერთ-ერთი ვერსიით, მარგველაშვილმა პოზიცია მას შემდეგ შეცვალა, რაც 24-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, გია მურღულიამ განაცხადა, ამიერიდან, ცუდი რაც მოხდება სკოლაში, ყველაფერზე მარგველაშვილმა აგოს პასუხიო. შესაძლოა, განათლების ახალი მინისტრი მანდატურების „მეხოტბე“ არ გახლავთ, მაგრამ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობის აღებას, სისტემაში ცვლილებების შეტანა არჩია.**

# მანდატურებს ფსიქოლოგებად და ექთნებად გადაამზადებენ?!

მანდატურის ასაკის ქვედა ზღვარი კვლავ 20 წელი დარჩა! განსაკუთრებული წარმოსახვის უნარი არაა საჭირო იმის გასააზრებლად, რა პრობლემები შეიძლება შექმნას უფროსკლასელი მოსწავლისა და მანდატურის ასაკში 2-წლიანმა სხვაობამ.

საკანონმდებლო ცვლილებებსა თუ უცვლელობას მივყვებით და „გახარებთ“, რომ ისევ არსებობს მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის ან სპეციალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა. **„მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. მანდატურის მიერ გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი“.**

ამერიკული განათლების მოდელის ერთგულების მიუხედავად, ჩვენ სკოლებში მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ტრადიციამ, საბედნიეროდ ფეხი ვერ მოიკიდა. ამ ფონზე, გაუგებარია, რატომ უნდა გაუჭირდეს მანდატურს, მსუბუქი ზომების გამოყენებით, წესრიგის დამყარება.

თავის დროზე, კერძო სტრუქტურის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევად შეფასდა კერძო სკოლებში მანდატურის სამსახურის დატოვება. სახეცვლილი კანონის თანახმად, არც ამ მხრივ იცვლება რამე — მანდატურები კერძო სკოლებსაც ეყოლებათ. ჯერჯერობით, ძალაშია მანდატურების მიერ, განათლების სამინისტროს ელექტრონულ-საინფორმაციო ბაზაში, მოსწავლეებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაგზავნის პრაქტიკა. ეს კი, ერთ-ერთი ვერსიით, მოსწავლეებზე ინდივიდუალური დოსიეების შექმნისა და ამით, მათი მანიპულირების საშუალებას იძლევა.

27 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, მანდატური სკოლის შინაგანაწესსა და პედაგოგებს აღარ გააკონტროლებს და განათლების სამინისტროს მანდატურის დანიშვნის ერთპიროვნული უფლება აღარ ექნება (48.1 მუხლის მე-3 პუნქტი). მანდატურს სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით დანიშნავს და თავადვე გაათავისუფლებს.

**როგორ და რატომ „გაეპარა“ „ქართულ ოცნებას“ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობისას შაშკინის დაგებული ნაღმები? „ზოგადი განათლების კანონში“ შეტანილ და შეუტანელ ცვლილებებზე სასაუბროდ „ვერსია“ პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ელისო ჩაფიძეს დაუკავშირდა.**

— განათლების სამინისტრო საგაზაფხულო სესიისთვის გეგმავს, შემოიტანოს პარლამენტში ფართომასშტაბიანი რეფორმის კომპლექსური გეგმა.

**— თუ ასეა, მანდატურის სისტემის რეფორმირება გაზაფხულამდე ვერ მოიცდიდა?**

— გაზაფხულამდე ვერ დაველოდებოდით, მანდატურის სამსახურს ჰქონოდა პოლიციური ფუნქციები. ცვლილებებით ამ სამსახურს თვალთვალი, დასმენა... აეკრძალა. ვიმსჯელეთ ასაკთან დაკავშირებითაც. დღეს, სისტემაში დასაქმებულ ათასობით ადამიანს გავლილი აქვს შესაბამისი წვრთნა. ასაკობრივი ზღვარი რომ აგვეწია, ეს ადამიანები დარჩებოდნენ სამსახურის გარეშე. სწორედ ამიტომ, მოვახერხეთ, ყველაფერი ცივილურ ფარგლებში მოგვექცია. სამომავლოდ კი, საუბარია, რომ მანდატურის ასაკობრივმა ზღვარმა აიწიოს.

**— კერძო სკოლებისთვის მანდატურის აყვანის ვალდებულება არ მოგიხსნიათ, რაც კერძო სექტორის საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მცდელობად შეფასდა.**

— როგორც ვიცი, ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაიხედება.

**— მანდატურების მხრიდან სკოლაში სპეცსაშუალებების გამოყენების შესაძლებლობაზე, თავის დროზე, ბევრი კრიტიკული შეფასება გაკეთდა, თუმცა მოლოდინის მიუხედავად, ყველაფერი ძველებურად დარჩა.**

— ზოგადად, მანდატურის სამსახური, თავის დროზე, იყო შეურაცხმყოფელი, მაგრამ მისი ერთბაშად გამოყვანა და შოკური თერაპიის მსგავსი ნაბიჯები, არც სკოლას წაადგებოდა და არც განათლების სამინისტროს. ვიმეორებ, პრობლემას შექმნიდა ათასობით ადამიანის ხელაღებით გამოყრა სისტემიდან. ვფიქრობ, მათი გადამზადება იმ კუთხით, რომ ფსიქოლოგის ან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობები განვუვითაროთ, ეფექტურს გახდის ამ ინსტიტუტის არსებობას. რაც შეეხება სპეცსაშუალებებს, განათლების სამინისტრო დაგვპირდა, რომ იქნება ჰუმანური მიდგომა და სპეცსაშუალებები, რომელმაც შეიძლება ვინმეს საფრთხე შეუქმნას, ამ ნუსხაში არ იარსებებს.

**გავრცელებული ინფორმაციით, განათლების სამინისტროში უკვე დაწყებულია მუშაობა მანდატურების სამსახურის მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში, გამოსაყენებელი სპეცსაშუალებების ნუსხაზე. იმედია, ეს ნუსხა საჯარო გახდება. სხვათა შორის, სპეცსაშუალებების სია, თავის დროზე, არ გამოაქვეყნა „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, რის გამოც, ეს თემა მუდმივი ქილიკის საგნად იქცა — კულუარებში ამბობდნენ, რომ მანდატურები სეიფებში ელექტროშოკსაც კი ინახავდნენ. ვიმედოვნებთ, არ ვიხილავთ ურჩი მოსწავლეების „მოსათვინიერებელ“ სპეცსაშუალებათა ნუსხაში ხელბორკილს, ელექტროშოკსა და ცრემლსადენ გაზს... ისიც საინტერესოა, 20 წლის, სპეციალური განათლების არმქონე მანდატურმა, როგორ უნდა განსაზღვროს, როდისაა საჭირო სპეცსაშუალებების გამოყენება. ჯერჯერობით, გაურკვეველია ასევე, ვინ გააკონტროლებს თავად მანდატურებს, სპეცსაშუალებები არასწორად რომ არ გამოიყენონ?**

*ნელი თორდია*



რა შემთხვევაში გამოიყენებს მანდატური მოსწავლეზე ფიზიკურ ძალას ან სპეციალურ საშუალებებს და როდის დასრულდება სპეცსაშუალებების ნუსხის შედგენა

# „იმედია, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიება-გადმოსვენების პროცესი განახლდება“

თეიმურაზ სირაძე

**„სააკაშვილმა გმირებიც კატეგორიებად დაყო, მას თავისი გმირები ჰყავს“, — რთულია ეს ფრაზა იმ ადამიანებისგან მოისმინო, ვინც ოჯახის წევრები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლას შესწირა. უფრო რთული კი ისაა, როცა მსგავს სინანულს ისინი გამოთქვამენ, ვისაც შვილი, მეუღლე ან მამა ომში დაკარგული ჰყავს და დღემდე ეძებს. 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მათი პოზიცია ოდნავ შეიცვალა, მცირე იმედი გაუჩნდათ — უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და გადმოსვენების პროცესი ახლა მაინც განახლდებაო, ამბობენ.**



ასეთი პატივით კრძალავენ მეომრებს დღესაც

საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად, ათასობით ადამიანი უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. მათ შორის, 1 000-ზე მეტი სამოქალაქო პირია, რომელსაც სამხედრო დაპირისპირებაში არ მიუღია მონაწილეობა. რაც შეეხება 1992-93 წლებში, აფხაზეთში დაკარგულ მებრძოლთა რიცხვს, 870-ს აღემატება, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, 44 სამხედრო დაიკარგა ცხინვალის რეგიონში. მათი მშობლები და ოჯახის წევრები დღემდე გაუსაძლის პირობებში არიან. დაკარგულთა მოძიების, გადმოსვენებისა და იდენტიფიცირების გარდა, არაერთი სოციალური თუ სხვა სახის პრობლემა აქვთ მოსაგვარებელი. სახელმწიფოს წვლილი კი ამ საქმეში ლამის, ნულის ტოლია.



ქართველი და აფხაზი დედების შეხვედრა ოჩამჩირეში

ახლობლის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება, არამარტო ემოციური და მორალური თვალსაზრისით, ფინანსურადაც აზარალებს ოჯახებს. ისინი მზად არიან, უკანასკნელი თეთრები გაიღონ, თუნდაც მცირედი ინფორმაციის სანაცვლოდ. არადა, ხშირად, არც ეს ცნობები შეესაბამება სიმართლეს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს ადამიანის ძალადობრივ გაუჩინარებას და მათ ოჯახებს უფლებას აძლევს, იცოდნენ თავიანთი ახლობლების ხვედრის შესახებ. უფლებების გარდა, აღნიშნული სამართალი ავალდებულებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, ხელი შეუწყონ უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიებაში ოჯახის წევრებს, გაცვალონ სამარხების ადგილმდებარეობა ყველა არსებული დეტალის მითითებით, მიაწოდონ ინფორმაცია დაჭრილ, დაავადებულ პირებზე, სამხედრო ტყვეებსა და გარდაცვლილებზე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში უგზოუკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიების საქველმოქმედო ფონდი „მოლოდინი“ 1993 წლის 14 დეკემბერს, დაკარგული მებრძოლების ოჯახის წევრთა ძალისხმევით შეიქმნა და თითქმის სახელმწიფო ძალისხმევისა და ჩარევის გარეშე მოიპოვებდა ინფორმაციებს საკუთარი შვილების, ძმებისა და ნათესავების შესახებ. მოგვიანებით, 1996 წლის ნოემბერში, იმავე პირების მცდელობით, სახელმწიფო კომისიაც ამუშავდა, რამაც გააუმჯობესა მატერიალური პირობები და გააიოლა ფონდთან ერთად მოძიებულ ჯარისკაცთა გადმოსვენება და ძმათა სასაფლაოს გახსნა დიღმის ტერიტორიაზე. იქვე, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად, შეიქმნა მუზეუმიც, რომელიც დღეისთვის დანგრეულია. დაგეგმილი იყო აგრეთვე, სამლოცველოს აგება, მაგრამ...

**ნაცხელისუფლებამ ვერაფრით მოიცალა, ამ ბიჭებისთვის ღირსეული პატივი მიეგო. მეტიც, როგორც შვილმკვდარი**

## როგორ შეუშალა ხელი სააკაშვილის ხელისუფლებამ აფხაზეთში დაღუპული გმირების ნეშტების გადმოსვენებას

**დედები ამბობენ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ცოცხალი ვეტერანები ისევე, როგორც დაღუპული ბიჭები კატეგორიებად დაჰყო და მათ „შევარდნაძისა და თავის მებრძოლებად“ მოიხსენიებდა.**

უგზოუკვლოდ დაკარგულთა ფონდისა და სახელმწიფო კომისიის წარმომადგენლებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ტერიტორიაზე შევხვდი, სადაც ორიოდე ოთახი აქვთ გამოყოფილი. უკვირთ, რატომ არიან შეხიზნულნი იმ უწყებას, რომელსაც საკუთარი პრობლემებიც თავზე საყრელად აქვს და მათთვის არ „სცხელა“. საუბარმა ემოციურ ფონზე ჩაიარა. კომისიის თავმჯდომარის, გიული ზალდასტანიშვილის ოჯახის 4 წევრი, ორი ძმა და ორი შვილი, აფხაზეთის ომში დაიღუპა. ისინი იმ თვითმფრინავში იმყოფებოდნენ, 22 სექტემბერს რომ ჩამოაგდო მოწინააღმდეგემ ბაბუშერას აეროპორტთან. განუზომელია მისი სევდა, მაგრამ მაინც, სხვის თანადგომასა და მათი უფლებების დაცვას ცდილობს.

**„ძმათა სასაფლაო „გმირთა სავანეს“, რომელიღაც ჩინოვნიკმა ტერიტორია ჩამოაჭრა და გაგრიდან გადმოსვენებული ბიჭების დასაკრძალად, ადგილი აღარ დარჩა!“**

„ბიჭები, რომელთა ნეშტების მოძიებასა და გადმოსვენებას ვახორციელებთ, ძირითადად, აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს შეეწირნენ. მათი უმრავლესობა 2 ოქტომბერს, გაგრის დაცემის, 15-16 მარტს სოხუმზე შტურმის, ტამიშის ე.წ. დესანტის და სოხუმის დაცემის შემდეგ მიიჩნევა უგზოუკვლოდ დაკარგულად.

**ხელისუფლებაში სააკაშვილისა და მისი გუნდის მოსვლამდე, აქტიურად ვთანამშრომლობდით აფხაზურ მხარესთან. გვქონდა კიდეც შედეგები. ბაბუშერას აეროპორტიდან მოვახერხეთ 75 მებრძოლის გადმოსვენება და საძმო საფლავზე დაკრძალვა. სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება. ამაზე უარესი კი ისაა, რომ გახსნილი სამარხიდან ვერ შევძელით დარჩენილი ნეშტების წამოღება, რაც წინა ხელისუფლების „დამსახურებაა“. მიშას მოსვლამ, არათუ დააბრკოლა პროცესები, არამედ სრულიად შეწყდა ყოველგვარი კავშირი აფხაზურ მხარესთან.**

ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, შეუძლებელია ისეთი ფსიქიკის მქონე ადამიანთან ურთიერთობაც კი, როგორიც სააკაშვილიაო. შეიცვალა მთავრობა და ურთიერთობების აღდგენისა თუ შემდგომი თანამშრომლობის იმედიც გაჩნდა. ჩვენი საკითხებით ალასანიაცაა დაინტერესებული. ვფიქრობთ, პაატა ზაქარეიშვილიც ჩაებმება პროცესებში. იგი, თავის დროზე, ტყვეთა გაცვლის კომისიას ხელმძღვანელობდა. მისი მოზომილი ტონი და დიპლომატიური მიდგომა არც რუსებს აღიზიანებდა და არც აფხაზებს. შესაბამისად, ვფიქრობთ, შედეგებიც დადებითი გვექნება. „წითელი ჯვარიც“ გვპირდება დახმარებას, დაღუპული ბიჭების გადმოსვენებასა და მათ იდენტიფიცირებაში, რაც რთული პროცესია, როგორც ფინანსურად, ისე — ტექნიკურად. ისინი ხომ ორი ათწლეულის წინ დაიღუპნენ. უამრავი ანალიზია საჭირო მათი ვინაობის დასადგენად. შეუძლებელია, არ გამოვხატო ის ტკივილი, რაც წინა მთავრობამ მოგვაყენა ჩვენცა და იმ ბიჭების ხსოვნასაც, ვინც სამშობლოს შესწირა თავი.

*დასასრული მე-13 გვერდზე*



საფლავების კურთხევა

### უბედური შემთხვევის შედეგად, მამაკაცი დაიწვა



წყნეთი-თბილისის ავტომაგისტრალზე მომხდარი ავარიის შედეგად, საკუთარ მანქანაში 51 წლის მამაკაცი დაიწვა.

შემთხვევას თვითმხილველები არ ჰყავს. სამაშველო სამსახურის ინფორმაციით, მანქანა სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხრამში გადავარდა, რის შემდეგაც ცეცხლი გაუჩნდა.

მაშველები ტყეში გაჩენილი ხანძრის ჩასაქრობად გამოიძახეს და მათ, მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინეს მანქანაში დამწვარი ადამიანი.

შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტები მუშაობენ.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### ქართულ-რუსული მოლაპარაკებები 4 თებერვალს, მოსკოვში გაიმართება



ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, ქართულ-რუსული მოლაპარაკებები 4 თებერვალს გაიმართება, — ეს ინფორმაცია, რუსეთის მთავარმა სანიტარმა, გენადი ონიშჩენკომ გაავრცელა:

**„ორი შესაძლო თარიღიდან, არჩევანი 4 თებერვალზე შევაჩერეთ, რომელიც რუსულ მხარეს ქართულმა დელეგაციამ შესთავაზა, რათა „შესაძლო შეუსაბამობების“ გადაჭრა მოასწრონ და ეს თარიღი რუსულ მხარესაც აწყობს“.** ონიშჩენკომ მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა ქართულ მხარეს სავიზო თუ დიპლომატიური მხარდაჭერა აღმოუჩინონ და არც ის გამორიცხა, კონსულტაციების შემდეგ, საქართველოს თავადაც ეწვიოს.

*„პირველი“*

### „მმართველი ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობის მოგროვებას დეპუტატების დაშინებით აპირებს“



საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის ინფორმაციით, მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე „ნაცმოძრაობის“ კიდევ ორი დეპუტატი — ტარიელ ლონდარიძე და კახა ბუცხრიკიძე დაიბარეს.

როგორც ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული პარლამენტის წევრებზე პირდაპირ ზეწოლას წარმოადგენს:

**„გრძელდება პირდაპირი ზეწოლა ხელისუფლების მიერ საპარლამენტო უმცირესობის წევრებისადმი. ახლოვდება საკონსტიტუციო ცვლილებები და, როგორც ჩანს, პირდაპირი ზეწოლა პარლამენტის წევრებზე, მათი დაშინება- დაპატიმრება, პროკურატურაში დაბარება გახლავთ ის გზა, რომლითაც უმრავლესობა აპირებს, მოაგროვოს საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის აუცილებელი ხმების რაოდენობა“.**

აღნიშნულ კონტექსტში მან სამართალდამცავ უწყებებსაც მიმართა და მოუწოდა, რომ დაკითხვაზე დეპუტატის დაბარების წესი დაიცვან: **„მინდა, მივმართო სამართალდამცავ ორგანოებს, დეპუტატის დაკითხვაზე დაბარებას აქვს თავისი წესი და პროცედურა, ნუ დაარღვევენ კანონს. არც ერთი დეპუტატი არ გაურბის კითხვაზე პასუხს, მაგრამ დაცული უნდა იყოს კანონი და ამ ყველაფერმა არ უნდა მიიღოს პოლიტიკური დაშინების სახე“.**

*„ინტერპრესნიუსი“*




# ქართული დემოკრატია: მეოთხე შანსი?

The Economist

ეს ყველაფერი ძალიან სიმბოლური იყო. საქართველო 13 იანვარს მართლმადიდებლურ ახალ წელს აღნიშნავდა. პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პატრიარქის სახლში გვერდიგვერდ ისხდნენ და ღვინოს მიირთმევდნენ. ბატონმა ივანიშვილმა ტიპური ქართული სადღეგრძელო წარმოთქვა და განაცხადა, რომ იმედი აქვს – 2013 „საქართველოში სიყვარულის წელი იქნება“.

ეს ე.წ. ფოტოგენური შეკრება, მას შემდეგ გაიმართა, რაც 31 დეკემბერს ბ-ნმა სააკაშვილმა, კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, „ხუთპუნქტიანი გეგმა“ წარმოადგინა. ეს გეგმა მოიცავს: რიტორიკის შერბილებას, „ნაცმოძრაობის“ წევრების სამართლებრივი დევნის, დაპატიმრებებისა და ადგილობრივ თვითმმართველობებზე თავდასხმების შეწყვეტას.

მაშ ასე, გახდება თუ არა 2013 გარდამტეხი წელი მათ ურთიერთობებში? ჯერჯერობით, განსაკუთრებული არაფერი შეცვლილა. 21 იანვარს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას, სააკაშვილმა გააკრიტიკა ივანიშვილი იმისთვის, რომ ის „ემუქრება“ „ნაცმოძრაობას“ შერჩევითი სამართლით, აშანტაჟებს „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებს და დევნის ამ პარტიის წარმომადგენლებს ადგილობრივ თვითმმართველობებში.

სააკაშვილმა ხელიდან არ გაუშვა შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ ელაპარაკა რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ემიჯნება ახალი მთავრობის მხრიდან რუსეთთან დიალოგის გახსნის მცდელობებს. ეს პროცესი ჟენევის 14 დეკემბრის შეხვედრიდან დაიწყო, სადაც ქართველი და რუსი დელეგატები შეთანხმდნენ, რომ მთავარ საკითხებზე ვერ თანხმდებიან და მოძებნიან შეხების სხვა საერთო წერტილებს.

სააკაშვილმა „საგანგაშო“ უწოდა ასევე, ივანიშვილის ბოლოდროინდელ კომენტარს, რომელშიც მან სომხეთი იმის მაგალითად მოიყვანა, როგორ შეიძლება ინარჩუნებდეს ქვეყანა კარგ ურთიერთობას ნატო-სთანაც და რუსეთთანაც. სააკაშვილი ამტკიცებდა, რომ ივანიშვილი უარს ამბობს საქართველოს სწრაფვაზე ნატო-სკენ. უფრო სავარაუდოა, რომ გააერთიანა განსხვავებული პოლიტიკური ძალები ერთ კოალიციაში, რომელმაც უპასუხა საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას „ნაცმოძრაობით“ და შესაძლებლობა მისცა „ოცნებას“, წინააღმდეგობა გაეწია მმართველი პარტიის ხისტი პოზიციისთვის. ავტორების მტკიცებით, ამომრჩეველთა აშკარად გაბერილი სიები იმის ვარაუდს აჩენს, რომ „ნაცმოძრაობა“ მზად იყო არჩევნების გაყალბებისთვის, მაგრამ მოსახლეობის მაღალმა აქტივობამ და საერთაშორისო დამკვირვებელთა მასშტაბურმა ყურადღებამ სააკაშვილი აიძულა, მარცხი ეღიარებინა, რამაც გზა გაუხსნა ხელისუფლების პირველ კონსტიტუციურ ცვლას ქვეყანაში.

ამან დამოუკიდებელ საქართველოს მისცა „მეოთხე შანსი დემოკრატიისთვის იმ შესაძლებლობების შემდეგ, რაც ხელიდან იქნა გაშვებული ზვიად გამსახურდიას (1990-92), ედუარდ შევარდნაძისა (1992-2003) და სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში“. გამოიყენებს თუ არა მას ქვეყანა, ნაწილობრივ, იმაზე იქნება დამოკიდებული, გადარჩება და შეძლებს თუ არა „ნაციონალური მოძრაობა“ მოქმედებას, როგორც ნამდვილი საპარლამენტო ოპოზიცია. ეს დამოკიდებულია ასევე ბატონ ივანიშვილზეც. მართლაც გადადგება თუ არა ის თანამდებობიდან 18 თვეში, როგორც მისი თქმით, აპირებს, „თუკი ყველაფერი ძალიან კარგად წარიმართება“? პოლიტიკა იშვიათად ვითარდება ძალიან კარგად რომელიმე ქვეყანაში, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოზე. გარდა ამისა, თუკი ის მართლაც წავა, მისი მმართველი კოალიცია, როგორც ჩანს, დაიშლება.

საქართველოს ახალი მთავრობა ჯერ კიდევ შეიძლება წავიდეს მისი წინამორბედების გზით. მათი მაღალი რეიტინგი, დროთა განმავლობაში, შემცირდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ის, რასაც ავტორები „სახელმწიფო ძალაუფლებითა და ივანიშვილის ფულით პოპულარობის ჩანაცვლების ცდუნებას“ უწოდებენ. ამის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს პოლიტიკურმა ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ სახელმწიფო ძალაუფლება იმაზე ეფექტურად უნდა აკონტროლოს, ვიდრე ეს წინა წლებში ხდებოდა.

ეს კი დიდ ცვლილებას მოითხოვს. როგორც **Chatham House**-ის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ სტატიაში ვკითხულობთ, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დღეს ძალიან სუსტია იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე. მოქალაქეები არ მონაწილეობენ დისკუსიებში საჯარო პოლიტიკაზე და არასამთავრობო ორგანიზაციების (**NGO**), სხვა საჯარო ინსტიტუტებს შორის, ყველაზე ნაკლებად ესმით. შედეგი კი ე.წ. **NGO**კრატიაა,



ივანიშვილმა უკვე არაერთხელ გამოიჩინა გაუფრთხილებლობა მედიაში გამოსვლისას. მართლაც, 22 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს მიზნები არ შეცვლილა, თუმცა ის ფაქტი, რომ მანამდე „საგარეოპოლიტიკური კურსისა და სტილის გამო“ თანამდებობა დატოვა მისმა ერთმა მოადგილემ, უფრო დიდი შეშფოთების მიზეზს აჩენს.

უთანხმოების კიდევ ერთ წყაროდ იქცა ახალი მთავრობის გადაწყვეტილება პატიმრების ამნისტიის შესახებ. 27 დეკემბერს სააკაშვილმა ამ კანონპროექტს ვეტო დაადო, 91-მა დეპუტატმა ეს ვეტო მეორე დღეს დაძლია. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კანონს ხელი 12 იანვარს მოაწერა. 190-მა ადამიანმა, მათ შორის რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში გასამართლებულმაც, ციხეები 13 იანვარს დატოვეს, რამაც სააკაშვილს მორიგი განრისხების საშუალება მისცა.

**Journal of Democracy**-ში ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში მიმდინარე ქართული პოლიტიკა ფართო კონტექსტშია განხილული. ავტორების აზრით, მხოლოდ ივანიშვილის გამოჩენამ შეაჩერა „ნაცმოძრაობის“ ავტოკრატიისკენ სვლა. მისმა მნიშვნელოვანმა სიმდიდრემ

სადაც თბილისში მცხოვრებ ინტელექტუალებსა და ექსპერტებს უფრო მეტი თანამშრომლობა აკავშირებთ „საელჩოებსა და დასავლურ ფონდებთან“, ვიდრე რიგით მოქალაქეებთან. ძალიან ხშირად, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები არიან „პასიური მომხმარებლები დემოკრატიის განვითარებისთვის გაღებული დახმარებისა იმის ნაცვლად, რომ თავად წარმოადგენდნენ დემოკრატიული გარდაქმნების მამოძრავებელ ძალას.“

ავტორი ვარაუდობს, რომ პრობლემის ნაწილი თავად უცხოელ დონორებშია, რომლებმაც უფრო გონივრულად უნდა ხარჯონ საკუთარი თანხები. ნაწილი კი ქართველებშია. თუკი მათ „უნდათ ნამდვილი დემოკრატია, გამჭვირვალობა და პირადი თავისუფლება, მონაწილეობა უნდა მიიღონ საჯარო დებატებში და შექმნან სოციალური ნდობა“. მიუხედავად ამისა, კვლევების თანახმად, მხოლოდ რამდენიმე რიგითი ქართველი თუ ლაპარაკობს თამამად პოლიტიკაზე სახლის გარეთ. ამ ცვლილებებს წლები დასჭირდება. დღეს, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება გაცილებით მეტ შიშსა და ზიზღს ნერგავს, ვიდრე სიყვარულს.

***foreignpress.ge***

პროტესტი



# „მოვუწოდებ გურამ ოდიშარიასა და ბიძინა ივანიშვილს, დაინტერესდნენ ჩვენთან არსებული ვითარებით“

თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან

**ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრის დასი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ გამოდის. ისინი მმართველის შეცვლასა და თეატრში პირობების გაუმჯობესებას მოითხოვენ. მსახიობების პროტესტი იმ შიდაკონკურსმა გამოიწვია, რომლის მიზანიც, დასისთვის დღემდე გაურკვეველია. მსგავსი ტიპის საკონკურსო მოსმენები ოპერის თეატრში თითქმის ყოველწლიურად ტარდება. მსახიობები ამბობენ, რომ კონკურსის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულებს, როგორც წესი, ხელფასი უნდა ემატებოდეს, ეს მათ დაწინაურებასაც უნდა ემსახურებოდეს, თუმცა ხშირად, პირიქით ხდება და მსახიობებს სამსახურებიდან ათავისუფლებენ. მათი შრომითი ანაზღაურება კი საპენსიო თანხაზე ნაკლებია. მსახიობები თეატრში გამეფებულ უსამართლობაზე, კორუფციასა და მოუწესრიგებელ პირობებზე „ვერსიასთან“ ღიად საუბრობენ.**

**გიორგი ჟორჟოლიანი** ოპერის გუნდის მსახიობი: „ვეთანხმები მსგავს კონკურსებსა და მოსმენებს, მაგრამ ამას რაიმე შედეგი ხომ უნდა მოჰყვეს?

რა შედეგებზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა თეატრში ადმინისტრაციას უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე შემოქმედებით ჯგუფს. მიზერულ ხელფასზე ვმუშაობთ, გუნდის მსახიობებს პენსიასთან გათანაბრებული ანაზღაურება გვაქვს. თეატრის ბირთვს, სოლისტებს, მაქსიმალური ხელფასი 200-300 ლარი აქვთ. მოვითხოვთ, კულტურის სამინისტრომ გამოგზავნოს აუდიტი და შემოწმდეს, რაში იხარჯება თეატრის დაფინანსება. ასევე — დარეგულირდეს ხელფასების გადანაწილება. თუკი ამ განცხადებას რეაგირება არ მოჰყვება, თეატრს დავტოვებ“.

„აღნიშნული შიდა კონკურსი უკვე მესამე წელია ტარდება. დებულების მიხედვით, ის საშემსრულებლო დონის ამაღლებასა და ანაზღაურების მატებას ემსახურება, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავთ. თეატრში არ არსებობს გეგმა. თვეში მხოლოდ ორი სპექტაკლია და ისინიც, არასრული რეპეტიციებით. არსებულ პრობლემებში ხელმძღვანელობას ვადანაშაულებთ. მათი პროფესიული დონე არ აკმაყოფილებს დაკავებულ თანამდებობებს. მოვითხოვთ, გადადგეს თეატრის მმართველი როზა დვალიშვილი. იცით, გასაკვირი რა არის? როზა დვალიშვილს მუსიკალური განათლება საერთოდ არ გააჩნია და კონკურსს ის იბარებს. ნოტებსა და ბგერებს ვერ ხვდება და როგორ შეიძლება, ეს ადამიანი ჟიურიში იჯდეს?“, — განუცხადა „ვერსიას“ ერთ-ერთმა მსახიობმა.

„სამარცხვინო ანაზღაურებაზე ვმუშაობთ. თავს დამცირებულად ვგრძნობთ. ჩვენი შენობა, რეაბილიტაციის შემდეგ, სამჯერ გაიხსნა. ეს იმის შედეგია, რომ წინა მთავრობა მხოლოდ პიარით იყო დაკავებული და შემოქმედება არ აინტერესებდა. ამბობენ, შიდა კონკურსის შედეგად, ხელფასები მოიმატებსო. სამჯერ გავედი აღნიშნულ კონკურსზე და ანაზღაურება ისევ სამარცხვინო მაქვს. წინა წელს თორმეტი სოლოპარტია შევასრულე. ეს ამათთვის არაფერს ნიშნავს. მოვუწოდებ ახალ ხელისუფლებას, კულტურის მინისტრსა და, თუ გნებავთ, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, დაინტერესდნენ ქუთაისის ოპერის თეატრში არსებული ვითარებით. უდიდესი ისტორიისა და პოტენციალის მქონე თეატრი დღეს უკვე შველას ითხოვს. იმედი მაქვს, ჩვენი მოთხოვნები დაკმაყოფილდება და არ მოგვიწევს, პროტესტის უკიდურეს ფორმებს მივმართოთ“, — ამბობს თეატრის სოლისტი ბაკურ კვირიკაშვილი.

„უკვე მრცხვენია აქ მუშაობა. კოლონიაა აქაურობა, ჩვენ კი მონები ვართ. ნებისმიერ პრეტენზიაზე ხელმძღვანელობას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — არ გინდა და წადი. სად წავიდე, ან რატომ? იქნებ, მე მინდა, რომ შენ წახვიდე! აი, ასეთი დამოკიდებულებაა ქუთაისის ოპერის თეატრში. იქნებ ვინმემ გაარკვიოს, შიგნით რა ხდება — დეკორაციები მიწასთანაა გასწორებული. შენობის უკანა მხარე გაყიდულია. განადგურებულია გარდერობი და მუზეუმი. თეატრში ერთი ექიმი ჰყავთ, რომელსაც მედდის განათლებაც კი არ აქვს. შენობა კი გარემონტდა, მაგრამ ელემენტარული პირობები არ არსებობს. გათბობის სისტემა მოშლილია. საგრიმიოროებსა და გასახდელებში საპირფარეშოს სუნი დგას“, — გვიამბობს თეატრის თანამშრომელი.

„თეატრში გაბერილი შტატებია, მათ შორის სტაჟორებიც. ხელფასს რომ ვიღებდი, უფროსები მეუბნებოდნენ, ნახევარი ერთ-ერთ სტაჟორს გაუყავიო. ფაქტობრივად, ჩემს ფულს სხვას ვაძლევდი. ამაზე, რომ პრეტენზიას გამოვთქვამდი, გაგდებით მემუქრებოდნენ“, — ამბობს ოპერის თეატრის თანამშრომელი.

თანამშრომელთა დაბალ ანაზღაურებაზე თეატრის მმართველი როზა დვალიშვილიც საუბრობს. მისი თქმით, აღნიშნულის შესახებ არაერთხელ დააყენა საკითხი, თუმცა — უშედეგოდ. თეატრში მიმდინარე შიდა კონკურსის მიზეზად კი, შემოქმედებითი დონის ამაღლებას ასახელებს.

როზა დვალიშვილი: „აღნიშნული კონკურსი შემოქმედებითი ხარისხის გაზრდას ემსახურება და თითქმის ყოველწლიურად ტარდება. თუ ვინმეს ეჭვი აქვს, რომ კონკურსის შედეგად რომელიმე მსახიობს თეატრიდან გავუშვებთ, ეს არარეალურია. არავინ დაკარგავს სამსახურს. რაც შეეხება ანაზღაურებას, ის მართლაც, ძალიან დაბალია და ამაზე ყოველთვის ვსაუბრობ. ამ პრობლემაზე საქმის კურსში კულტურის მინისტრი და მხარის რწმუნებულიც კი ჩავაყენე. აბსოლუტურად მართლები არიან ეს ადამიანები — შრომასთან შედარებით, ანაზღაურება ნამდვილად დაბალია, მაგრამ ამ ეტაპზე, მეტის საშუალება არ გვაქვს. თეატრის დაფინანსება ყოველწლიურად 730 ათასი ლარია, აქედან 688 ათასი ლარი სახელფასო ფონდია, დანარჩენი თეატრის კომუნალურ ხარჯებს ხმარდება. მეც ვწუხვარ, რომ დაბალი ანაზღაურებაა“.

ნათია ვასაძე

# გელათის ტაძრის „გადარჩენის" გეგმა

**რესტავრირებული ბაგრატის ტაძრის ირგვლივ სკანდალი დიდი ხანია აგორდა. ხელოვნებათმცოდნეები რესტავრაციის დაწყებისთანავე აღშფოთდნენ, რადგან, მათი თქმით, სარეკონსტრუქციო სამუშაოები სტანდარტებს არ შეესაბამებოდა, რამაც, საბოლოო ჯამში, ტაძრის ავთენტურობა დაარღვია. შენიშვნებს გამოთქვამდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაც (იუნესკო), თუმცა არც ერთი მათგანი არ გაითვალისწინეს. შესაბამისად, „იუნესკომ" ბაგრატის ტაძარი ჯერ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღო და შემდეგ, იგი საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა სიაში გადაიტანა. 2013 წლის 1 თებერვალს დაგეგმილ „იუნესკოს" სხდომაზე კი, საბოლოოდ დადგინდება ძეგლის სტატუსი. ქართული მხარე კომპრომისული ფორმის მოძიებასა და ახალი დოკუმენტაციის მომზადებას აპირებს, რომლის მიხედვითაც, კვლავ იქნება შესაძლებელი ბაგრატის ტაძრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში მოხვედრა — აქცენტი გადავა გელათზე, ხოლო ბაგრატი მოექცევა მის არეალში. „ვერსიას" ხელოვნებათმცოდნე ირინა ელიზბარაშვილი ესაუბრება, რომელიც ბაგრატის ტაძრის აღდგენის წინააღმდეგი თავიდანვე იყო.**



რატომ უჭერდა მხარს ხელოვნებათმცოდნე ირინა ელიზბარაშვილი ბაგრატის ტაძრის კონსერვაციას

— ქართველმა რესტავრატორმა, არქიტექტორმა ვახტანგ ცინცაძემ 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრი იმუშავა ბაგრატის ტაძრის შესწავლაზე და მისი კონსერვაცია მოახერხა. ტაძარი სწორედ იმ მდგომარეობით შევიდა 1994 წელს „იუნესკოს" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.

**— იმ ნომინაციის ერთ-ერთი ავტორი ხართ, რომლის მიხედვითაც, თავის დროზე, ბაგრატის ტაძარი „იუნესკოზე" გაიტანეს. მაშინ თუ იყო საუბარი ძეგლის აღდგენაზე?**

— ეს იყო პირველი ნომინაცია, რომელიც საქართველოში გაკეთდა. სახელმძღვანელოდ, რუსეთიდან, ერთ-ერთი ძეგლის ნიმუში გადმოგვიგზავნეს. კომისიაში უამრავი ცნობილი სპეციალისტი შედიოდა. ხელოვნებათმცოდნეებსა და არქიტექტორებს შორის კი ყოველთვის იყო კამათი ამა თუ იმ ძეგლთან დაკავშირებით — ყველა არქიტექტორს ხომ ძეგლის დასრულების სურვილი აქვს. რა თქმა უნდა, მაშინ ბაგრატის აღდგენაზეც იყო საუბარი, მაგრამ ამას კომისიის ყველა წევრი ეწინააღმდეგებოდა — არსებობს ისეთი ისტორიულ-მხატვრული ღირებულების არქიტექტურული ნიმუშები, რომელთა არა აღდგენა, არამედ კონსერვაციაა საჭირო.

**— გამოდის, იმ პროექტსაც ეწინააღმდეგებოდით, რომლის მიხედვითაც, 2009 წელს ტაძრის რეკონსტრუქცია დაიწყო?**

— პროექტის ავტორი ვახტანგ ცინცაძის მოსწავლე, ვანო გრემელაშვილი გახლავთ. ის ჯერ ბატონ ვახტანგთან ერთად, შემდეგ კი, დამოუკიდებლად იკვლევდა ბაგრატს. პროექტი იყო დიდი ხნის ნაფიქრი: გრემელაშვილმა შეიმუშავა მოდული, განსაზღვრა თითოეული კედლისა და სვეტის სიმაღლე, სიგანე, დიამეტრი... მოკლედ, მან ძეგლის გრაფიკული რეკონსტრუქცია გააკეთა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი ვერსია. მისი რეალიზაცია მეცნიერული რესტავრაციის კუთხით კი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა.

**— რატომ უნდა მომხდარიყო ბაგრატის ტაძრის არა აღდგენა, არამედ კონსერვაცია?**

**— საქართველოში ბევრი არაა იმ სიძველისა და ღირებულების ძეგლი, როგორიც ბაგრატის ტაძარია. სხვა დატვირთვა და ენერგია მოდიოდა მისი ნანგრევებიდან. ზოგი ჩემი ოპონენტი მიიჩნევს, რომ საკითხისადმი ასეთი რომანტიკული მიდგომა სასაცილოა. მე კი ვფიქრობ, ქართული ისტორიისთვის, ასეთ მნიშვნელოვან ძეგლებთან, პროფესიულის გარდა, რომანტიკული მიდგომაც აუცილებელია. არსებობს მეთოდოლოგია და ავთენტურობა, რომელიც უნდა შენარჩუნდეს. როცა ტაძრის ძველ სტრუქტურაში ამდენი სიახლე შედის, ცხადია, ძეგლი კარგავს ამ ავთენტურობას და 21-ე საუკუნის ნაგებობას ემსგავსება. საბედნიეროდ, უამრავი თანამოაზრე მყავს სპეციალისტთა წრეში.**

**— ისეთებიც გყავთ, რომლებიც აცხადებენ, რომ ტაძრის კონსერვაცია სიძველის გამო შეუძლებელი იყო.**

— ამას, ძირითადად, კონსტრუქტორები იმიზეზებენ. არ მჯერა, რომ კონსერვაცია არ ხერხდებოდა. არსებობს მეთოდები, რომლებიც მაგალითად, კედლების შიგნიდან შეკვრის საშუალებას იძლევა. კონსტრუქციებში იმდენი ცოდნა არ მაქვს, დაბეჯითებით ვამტკიცო რამე, მაგრამ მეუღლე მყავდა კონსტრუქტორი და მისგან ვიცი, რომ არ არსებობს კონსტრუქციული პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც არ შეიძლება. უბრალოდ, შესაძლოა, ეს დიდ თანხებთან იყოს დაკავშირებული. სამწუხაროდ, ხელოვნებათმცოდნეთა წრეშიც მოხდა განხეთქილება. ერთ-ერთ გაერთიანებულ საბჭოზე, რომელზეც ვანო გრემელაშვილის პროექტი განიხილებოდა, მხოლოდ ორნი ვიყავით წინააღმდეგნი. სხვათა შორის, ამ საბჭოს საპატრიარქოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ისინიც ეთანხმებოდნენ პროექტს.

**„სტატუსი გელათმაც რომ არ დაკარგოს, ის დამოუკიდებლად უნდა წარვადგინოთ, ბაგრატის ტაძარი კი მის არეალში დამატებით ზონად უნდა შევიტანოთ"**

**— კი მაგრამ, რესტავრაცია ხომ მხოლოდ გრემელაშვილის პროექტის მიხედვით არ მომხდარა?**

— დიახ, მოხდა კიდევ უარესი. ტაძრის ნაწილი გააკეთეს ვანო გრემელაშვილის, ნაწილი კი იტალიელი არქიტექტორის, ანდრია ბრუნოს პროექტის მიხედვით. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა მეთოდთა მკვეთრი შეუთავსებლობა. საზოგადოების განსაკუთრებული გაღიზიანება სწორედ ბრუნოს პროექტის მიხედვით დამონტაჟებულმა რკინისა და შუშის კონსტრუქციებმა გამოიწვია. დანაშაულის ტოლფასია ძველისა და ახლის, კლასიკურისა და თანამედროვეს ასეთი სახით შერწყმა. დარღვეულია ყველა პრინციპი, რაც რესტავრაციისთვისაა საჭირო. ამას რესტავრაციასაც ვერ დავარქმევ — რესტავრაცია მთავრდება იქ, სადაც ჩნდება ჰიპოთეზა. აქ კი უამრავი ჰიპოთეზა და უამრავი კითხვის ნიშანია.

**— ეთანხმებით, რომ ეს ჰიპოთეზები პროექტის დაჩქარებული წესით განხორციელების გამო გაჩნდა. ამბობენ, ბაგრატის ტაძრის აღდგენა აუცილებლად უნდა მომხდარიყო სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადაშიო?**

— წინა ხელისუფლების დროს, ზოგადად, ყველაფერი ნაჩქარევად კეთდებოდა. „იუნესკომ" რესტავრაციისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად ვადებიც კი მოგვცა. ჩვენმა მაშინდელმა ხელისუფლებამ არც ეს გაითვალისწინა და სავალალო შედეგიც მივიღეთ, თუმცა ვფიქრობ, რა ვადაშიც უნდა მომხდარიყო ამ ტაძრის აღდგენა, მისი ავთენტურობა უფრო ღირებული იყო, ვიდრე დღევანდელი, თანამედროვე ბაგრატი.

**— თქვენი აზრით, რატომ მიეცა ბაგრატის საკითხს პოლიტიკური სახე და ვის აწყობს ამ ფაქტის პოლიტიზირება?**

— პოლიტიკა არაფერ შუაშია. პოლიტიკურ ჭრილში ამ საკითხს იმიტომ განიხილავენ, რომ ბაგრატის აღდგენა სააკაშვილის სურვილი იყო. არადა, მაშინდელ მთავრობას საქმე იმანაც გაუადვილა, რომ მათ სურვილს საპატრიარქოს ნებაც დაემთხვა. საპატრიარქოს ბაგრატის ტაძრისთვის სალოცავი ფუნქციის აღდგენა უნდოდა, მაგრამ... ჩემი აზრით, სჯობდა, ღია ცისქვეშ, ბაგრატის ნანგრევებში ჩაეტარებინათ წირვა-ლოცვა, ვიდრე ასეთი ტაძარი მიგვეღო. თავის დროზე, საპატრიარქოს წარმომადგენლებს და სპეციალისტებს უფრო მჭიდროდ რომ ეთანამშრომლათ, ბევრ პრობლემას ავიცილებდით თავიდან.

**— ბაგრატის რესტავრაციის პროექტის შესახებ, განსხვავებული მოსაზრებები „იუნესკოშიც" აქვთ. ორგანიზაციის ექსპერტი იუკა იოკილეტო თავის დასკვნაში ტაძრის აღდგენას დადებითად აფასებს.**

— დიახ, და ჩვენი ოპონენტების განცხადებები ხშირად ეფუძნება იუკილეტოს ამ შეფასებას. ამ დასკვნის მიხედვით, ბაგრატის პროექტი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდაა მიჩნეული. უცხო თვალით, ამ პროექტის დადებითად შეფასება არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა არ არსებობს. მთავარი ქართული საზოგადოების აზრი უნდა იყოს. ჩვენ თუ არ გავუფრთხილდით ქართულ კულტურას, დანარჩენებისთვის შეიძლება, ეს ნაკლებად ღირებული იყოს და ჩვენი პრობლემა უცხო თვალმა ნორმალურ პროცესად აღიქვას.

**— კულტურის სამინისტრო აპირებს, ბაგრატის ტაძარი ახალ ნომინაციაში წარადგინოს. რეალურად, შესაძლებელია ამის განხორციელება?**

**— რასაკვირველია, ახალი ნომინაცია აუცილებელია, არა მარტო ბაგრატის, არამედ გელათის გადასარჩენადაც. ბაგრატი და გელათი, როგორც ერთი ძეგლი, ისე იყო შესული „იუნესკოს" ნუსხაში. სტატუსი გელათმაც რომ არ დაკარგოს, ის დამოუკიდებლად უნდა წარვადგინოთ, ბაგრატის ტაძარი კი მის არეალში შევიტანოთ, როგორც დამატებითი ზონა.**

მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ბაგრატის ჩათვლით, ჩვენი ოთხი ძეგლი იყო. ყველა 90-იან წლებში წარვადგინეთ. მას შემდეგაც ბევრი ნომინაცია მომზადდა, მაგრამ არც ერთმა არ მიიღო შეფასება. წარდგენილ ძეგლებს „იუნესკო", კულტურული ღირებულების თვალსაზრისით, ყოველთვის იწონებდა, მაგრამ იყო შენიშვნა, რომ არ გვქონდა დაგეგმილი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. ამ ფონზე, აუცილებელია, შესაბამისმა სამსახურებმა გაითვალისწინონ შეცდომები და შეიმუშაონ ძეგლზე მართვის სისტემა. სწორი ფორმით წარდგენილი ნომინაცია აუცილებლად იქნება წარმატების საწინდარი. ამით პრესტიჟსაც დავიბრუნებთ და სხვა ძეგლებსაც გადავარჩენთ.

*მე-11 გვერდიდან*

**ახალი მოსული იყო მიშა, კანცელარიიდან დაგვირეკეს და გმირთა მოედანზე დაგვიბარეს, პრეზიდენტს უნდა მოსამძიმრებაო. არაერთი შვილმკვდარი დედა მივიდა მასთან შესახვედრად. როცა ჩვენმა რაოდენობამ გაუთვლელ მასშტაბებს მიაღწია, ჯერ პოლიციის ძალით დაგვშალეს, მოგვიანებით, ვითომდა პატივისცემის ნიშნად, სახლებში დაგვარიგა პატრულმა. სააკაშვილმა კედლებს მიუსამძიმრა თავის ჯიბისლაქიების თანდასწრებით. მისივე პერიოდში შეწყდა ყოველგვარი პრივილეგიები. არაერთგზის მივმართეთ პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს. კერძოდ, ოთარ თოიძესა და გიგი წერეთელს, ჩვენი უფლებების დასაცავად, მაგრამ...**

უწინ, ომში დაღუპულის შვილები, 23 წლამდე იღებდნენ სახელმწიფოსგან დახმარებას. ეს ერთგვარი შეღავათი იყო სტუდენტებისთვის, მაგრამ მერე წერეთელმა „შინაურულად" განგვიცხადა, სახელმწიფოს არ სჭირდება

## „იმედია, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიება-გადმოსვენების პროცესი განახლდება"

ამდენი უმაღლესდამთავრებული და ეს ზღვარი 18 წლამდე ამიტომ დავიყვანეთო. ჭკუაც დაგვარიგა, „თუ სწავლა უნდა ვინმეს, იშრომოს და თავად დააფინანსოს ეს პროცესი". სამწუხაროა, რომ ამ, ისედაც დაჩაგრული ბავშვების განათლების ხარჯზე, სახელმწიფომ თანხების დაზოგვა მოინდომა".

საუბრისას ემოციების კონტროლი კომისიის წევრებსაც უჭირთ. ყველა საკუთარი ოჯახის წევრის ძიებამ მოიყვანა აქ, მაგრამ ყველაზე მეტად, ხელისუფლების ინერტულობა აღელვებთ. **„სააკაშვილი, ერთხელაც არ მოგვკარებია, თავისი გმირები ჰყავდა და მათ სწყალობდა მხოლოდ, არადა აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც საქართველოს მთლიანობას შეწირეს თავი ბიჭებმა",** — ბრაზობს შვილმკვდარი მამა, რომელიც იურიდიულ საკითხებს უგვარებს უგზოუკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრებს.

**ნინელი ანდრიაძე**, საქველმოქმედო ფონდ „მოლოდინის" თავმჯდომარე: **„საწყენია, რომ არავინ მიაგებს სათანადო პატივს ბიჭებს. დიფერენცირებულნი იყვნენ უშიშროების, შსს-სა და თავდაცვის სამინისტროდან გაწვეული და დაკარგული ბიჭების ოჯახებიც. წინა ორმა უწყებამ, თავის დაღუპულ კონტინგენტზე, კომპენსაციის სახით, ათწლიანი მინიმალური სახელფასო ოდენობის თანხა გასცა, რაც რიგითზე 4 200 ლარს შეადგენდა. ან ეს თანხა რა არის შვილის სიკვდილის საკომპენსაციოდ, მაგრამ არც ამაზე უზრუნია თავდაცვის სამინისტროს. გაუმართავია საკანონმდებლო ბაზა და დაბრკოლებები გვქონდა მერიის მაღალჩინოსანთა მხრიდანაც, რის შესახებაც პატრიარქსაც მივმართეთ. კერძოდ:**

**1995 წელს, მინისტრთა კაბინეტის №60 დადგენილების საფუძველზე, დიღომში, წმინდა ნინოს მემორიალთან, გამოგვეყო ტერიტორია საძმო სასაფლაო „გმირთა სავანესთვის", 2007 წელს კი მიწა რომელიღაც ჩინოვნიკმა ჩამოგვაჭრა, რის შედეგადაც, ადგილი აღარ დარჩა გაგრიდან გადმოსასვენებელი ბიჭების დასაკრძალად. თან გვეუბნებოდნენ, რად გინდათ ტერიტორია, მაინც ვერ გადმოასვენებთ". სამარცხვინო ფაქტი მოხდა ერთ-ერთ სამხედრო უწყებაში. დაღუპული ბიჭების არქივისთვის გამზადებული სურათები სანაგვეზე გადაყარეს და ამით, საბოლოოდ შებღალეს მათი ხსოვნა და გვატკინეს გული".**

**P.S.** **ჩვენი მიზანი სულაც არ იყო, წერილი პათეტიკური და გაცვეთილი ფრაზებით დაგვესრულებინა. უბრალოდ, გვინდა, კიდევ ერთხელ შევახსენოთ სახელმწიფო უწყებებს, მაღალჩინოსნებსა და საზოგადოებას, რომ სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნას „სხვაგვარი პატივი ეგების", მათი ოჯახის წევრებს კი, ელემენტარული ყურადღება და თანადგომა სჭირდებათ.**

## ბიძინა ივანიშვილი დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოვიდა




საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ფორუმზე ენერგოსექტორის უპირატესობებზე, ეკონომიკური ზრდის პოტენციალსა და რეგიონთაშორისი ინტეგრაციის გამოწვევებზე ისაუბრა:

**„ცენტრალური აზია, ზრდის პოტენციალისა და განვითარების სისწრაფის გათვალისწინებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია მსოფლიოში. ისტორიულად, ცენტრალური აზიის რეგიონი მნიშვნელოვან დამაკავშირებელ ფუნქციას ასრულებდა ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობისა და ტრანსპორტირების სფეროში. გამომდინარე იქიდან, რა წვლილის შეტანის პოტენციალი გააჩნია ამ რეგიონს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, ცენტრალური აზიის ქვეყნების განვითარების ტემპებით დაინტერესებულნი არიან როგორც აზიის, ასევე ევროპის ქვეყნებიც“.**

პრემიერის თქმით, საქართველო ჩართულია ცენტრალური აზიის ქვეყნებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პროექტებში, რომელთა მიზანი არამარტო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბაზრების დაკავშირება, არამედ კომუნიკაციების, ვაჭრობის, ტრანსპორტისა და ტექნოლოგიების განვითარებაცაა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ინიციატივითაც გამოვიდა, სამთავრობო კომისიების დონეზე, შეხვედრებმა უფრო რეგულარული სახე მიიღოს, რადგან ინფორმაციის გაცვლა და პროცედურების ჰარმონიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია წარმატების მიღწევისთვის.

*„პირველი“*

## „პრობლემები ძალისმიერი გზებით არ უნდა წყდებოდეს“



შიდა ქართლის გუბერნატორი ანდრო ბარნოვი კასპის საკრებულოს თავმჯდომარის, დავით მესროფაშვილის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტთან დაკავშირებით, ვითარების გასაცნობად კასპში ჩავიდა.

**„ეს ფაქტი ნათელი დადასტურებაა, რომ ადგილი აქვს „ნაცმოძრაობის“ წევრებზე ფიზიკურ ანგარიშსწორებას და არ არის პირველი შემთხვევა. 2 დღის წინ ჩვენი ადმინისტრაციის თანამშრომლის სახლში ღამით, ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და ორდერის გარეშე, სამართალდამცავებმა ჩხრეკა ჩაატარეს და ვერაფერი აღმოაჩინეს. დღეს კასპში საკრებულოს თავმჯდომარეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. ჩამოვედი აქ, რათა უკეთ გავერკვე ვითარებაში. შევხვდები პოლიციის უფროსს, კასპის გამგებელს და სამომავლო თანამშრომლობაზეც ვისაუბრებთ. ასეთი მეთოდები მიუღებელია. პრობლემები პოლიტიკურ ჭრილში უნდა წყდებოდეს და არა ძალისმიერი გზებით“,** — განაცხადა ბარნოვმა და აღნიშნა, რომ მომხდარი ფაქტების თაობაზე, წერილობით უკვე შეატყობინა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, იუსტიციის მინისტრს, მთავარ პროკურორსა და სახალხო დამცველს. გუბერნატორი აპირებს, საქმის კურსში საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩააყენოს.

*„პირველი“*

# „ხელს არავის ვახლებ, მინდა, მშვიდად დავასრულო სიცოცხლე!“



## „დედ ჰასანის“ ცხოვრება, სიკვდილი და ერთადერთი ინტერვიუ

მერაბ ბერიძე

**აეროპორტში სახელდახელოდ ჩაწერილ ერთ-ერთ უიშვიათეს ინტერვიუში „კანონიერ ქურდ“ ასლან უსოიანს ეუბნებიან, რომ მასზე საუბრობენ, როგორც უჭკვიანეს ადამიანზე. „არა, მე არ ვარ ჭკვიანი ადამიანი. ასე რომ ყოფილიყო, ახლა აქ არ ვიდგებოდი. მე პენსიონერი ვარ, მოკრძალებულად ვცხოვრობ და სიცოცხლის მშვიდად დასრულება მსურს“, — პასუხობს. „სიცოცხლის მშვიდად დასრულება“ არ აცადეს — „დედ ჰასანი“ მოსკოვში, ხოვანსკის სასაფლაოზე დაკრძალეს. გავლენიანი კრიმინალური ავტორიტეტი 16 იანვარს, მოსკოვის ცენტრში, სნაიპერმა მოკლა.**

## რატომ ვერ დაკრძალეს ასლან უსოიანი მშობლიურ თბილისში და რატომ გარბიან „კანონიერი ქურდები“ მოსკოვიდან

თავდასხმა პოვარსკის ქუჩაზე განხორციელდა, როცა „დედ ჰასანი“ რესტორან „კარეტნი დვორიდან“ გამოვიდა. ამ ობიექტს კრიმინალური ავტორიტეტის არაოფიციალურ რეზიდენციად მიიჩნევდნენ, რადგან იქ ხშირად იღებდა სტუმრებს და კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებთან ურთიერთობებსაც იქ „არკვევდა“.

საქართველოში, 1937 წელს დაბადებული უსოიანი რუსეთში მოქმედი უმსხვილესი კრიმინალური კლანის ლიდერად ითვლებოდა. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, იგი პირველად 19 წლის ასაკში, მილიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო გაასამართლეს. მესამე მსჯავრის მოხდისას კი, 1966-1968 წლებში, უსოიანმა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი მიიღო.

### ასლან უსოიანის საქართველოში დაკრძალვა ვერ მოხერხდა

მიზეზი ისაა, რომ საქართველომ იმ სპეცრეისის მიღებაზე განაცხადა უარი, რომლის მეშვეობითაც ახლობლები უსოიანის გადმოსვენებას აპირებდნენ. თვითმფრინავი მოსკოვის ვნუკოვოს აეროპორტიდან გამოფრინდა და დონეცკში დაეშვა. ბორტზე 30-მდე ადამიანი, მათ შორის, უსოიანის ახლობლები და დაცვა იმყოფებოდა. ამის შემდეგ, თბილისის აეროპორტმა სპეცრეისის მიღებაზე უარი თქვა. აეროპორტში გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარი არ გააკეთეს. განაცხადეს, რომ ინფორმაცია კონფიდენციალურია, რადგან სპეციალურ რეისს უკავშირდება: **„სპეციალურ რეისებზე ინფორმაციას ვერ გავცემთ. თვითმფრინავი არის კერძო პირის მიერ დაქირავებული და მის კონფიდენციალურობას აეროპორტი უზრუნველყოფს“.**

თბილისში, უსოიანის სახლში, კითხვაზე — რატომ არ მიიღეს ცხედარი აეროპორტში, ანონიმმა ქალბატონმა უპასუხა: **„ღარიბაშვილს ჰკითხეთ, იკითხეთ მთავრობაში“.**

ლოტკინის დასახლებაში, წერონისის ქუჩაზე, ასლან უსოიანის სახლში პანაშვიდი გაიმართა. თბილისში იეზიდების სულიერი ლიდერის, შეხბავკი ტიტალის ცნობით, უსოიანის ცოლი, რომელიც თბილისში, ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს, მოითხოვდა, მისი მეუღლე საქართველოში გადმოესვენებინათ. **„მეუღლის სურვილი იყო, რომ ასლან უსოიანი კუკიის სასაფლაოზე დაეკრძალათ თავის მშობლებისა და ძმის გვერდით, თუმცა ქართულმა მხარემ უარი თქვა მის გადმოსვენებაზე. ეს დიდი ლაქაა“.**

### ვინ მოკლა „დედ ჰასანი“?

მოსკოველმა სამართალდამცავებმა ასლან უსოიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილის თითის ანაბეჭდები აღმოაჩინეს. ასევე, დადგენილია ადგილი, საიდანაც ესროლეს. ცეცხლი საცხოვრებელი კორპუსის მე-5 და მე-6 სართულებს შორის მდებარე კიბიდან გახსნეს. ადგილზე აღმოჩენილია 9 მმ-იანი კალიბრის ვაზნები. მკვლელს, სავარაუდოდ, სამუშაო უნიფორმა ეცვა, რადგან სადარბაზოში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. სამართალდამცავების ვარაუდით, „დედ ჰასანი“ სპეცსამსახურების იარაღით მოკლეს. ეს არის „ვალ“-ის ტიპის 9 მმ-იანი კალიბრის სპეციალური ავტომატი. მისი ლულა უხმო სროლისთვის საჭირო შიდა მოწყობილობებითაა აღჭურვილი. ეს იარაღი არმიის სპეცრაზმის შეიარაღებას წარმოადგენს. გამომძიებლებს გასაოცრად მიაჩნიათ ფაქტი, რომ რესტორან „კარეტნი დვორის“ სათვალთვალო კამერებიდან არც ერთს ჩამწერი ფუნქცია არ აღმოაჩნდა.

სამართალდამცავები მკვლელობის სურათის აღდგენას უსოიანის დაცვის წევრისა და იმ ქალის მონათხრობით შეეცდებიან, რომელიც მკვლელობის ადგილზე შემთხვევით აღმოჩნდა და დაიჭრა. მას მკერდისა და ფეხის არეში ორი ჭრილობა აქვს მიყენებული. ახლომდებარე მაღაზიებისა და ჯიხურების თანამშრომელთა თქმით, შემთხვევა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ვერაფრის დანახვა მოასწრეს.

სამართალდამცველების ინფორმაციით, ასლან უსოიანის სიკვდილი სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფების დაპირისპირების შედეგია.

ასლან უსოიანი, ოფიციალურად, პეტერბურგში იყო დარეგისტრირებული, მოსკოველი ქილერების სამიზნე ადრეც გახდა. 2010 წლის 16 სექტემბერს მას ტვერსკის ქუჩაზე, სახლის შესასვლელთან ესროლეს. მაშინ მასთან ერთად, მისი დაცვის თანამშრომელიც დაჭრეს. უსაფრთხოების მიზნით, უსოიანის გარდაცვალების შესახებ გაავრცელეს ინფორმაცია. დაშავებულს ოპერაცია გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაუტარდა. საავადმყოფოში მილიციისა და სპეცსამსახურების ასობით თანამშრომელი იცავდა. ერთ-ერთი ვერსიით, 2010 წელს უსოიანზე თავდასხმის უკან მისი გარემოცვის წევრი იდგა, თუმცა მისი ვინაობის დადგენა „კანონიერმა ქურდმა“ ვერ შეძლო. საქმეს ის გარემოებაც ართულებდა, რომ კრიმინალთა გარდა, უსოიანს მტრობდნენ ბიზნესმენებიცა და ჩინოვნიკებიც.

თავდასხმამდე ცოტა ხნით ადრე, უსოიანს უსიამოვნება მოუვიდა სოჭის ოლიმპიადის საგზაო ინფრატრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით. ამ სამუშაოებს მის მიერ კონტროლირებადი ფირმები ახორციელებდნენ, რაც მოსკოვში ბევრს არ მოსწონდა.

უსოიანი მთავარ მტრად მიიჩნევდა „კანონიერ ქურდ“ მერაბ ჯანგველაძეს, რომელიც მის ძველ ოპონენტ ტარიელ ონიანთან, მეტსახელად, ტაროსთანაა ახლოს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ 1980-იანი წლების ბოლოს, უსოიანი დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ აკონტროლებდა. მისი კრიმინალური იმპერიის ძირითადი შემოსავლები უკანონო სათამაშო ბიზნესთან, ნარკოტიკებისა და იარაღის ბრუნვასა და ბუნებრივი რესურსების მოპოვებასთან იყო დაკავშირებული.

ასლან უსოიანის მკვლელობას, სამართალდამცავ ორგანოებში მისი მეგობრის, ასევე „კანონიერი ქურდის“, „რუსული მაფიის მამის“ ვიაჩესლავ ივანკოვის, იგივე „იაპონჩიკის“ მკვლელობას ადარებენ. ეს უკანასკნელი 2009 წელს, მოსკოვის ჩრდილო-დასავლეთში მსგავს სიტუაციაში სასიკვდილოდ დაჭრეს. „ორივე შემთხვევაში, მკვლელი მაღალი რანგის პროფესიონალი იყო“, — აღნიშნავს „ინტერფაქსის“ ინფორმატორი, ძალოვანი სტრუქტურებიდან.

ვიაჩესლავ ივანკოვი 2009 წლის 28 ივლისს, რესტორნიდან გამოსვლისთანავე სნაიპერმა დაჭრა. ექიმები „კანონიერი ქურდის“ გადარჩენას რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ იმავე წლის 9 ოქტომბერს, „იაპონჩიკი“ გარდაიცვალა. სამართალდამცავ ორგანოებში ირწმუნებიან, რომ „დედ ჰასანიცა“ და იაპონჩიკიც, გარკვეული პერიოდის წინ, კონფლიქტში შევიდნენ, ქართველი „ავტორიტეტების“ იმ კლანთან, რომელსაც ტარიელ ონიანი ხელმძღვანელობდა.

წყაროს ინფორმაციით, „დედ ჰასანმა“ დაიფიცა, რომ იაპონჩიკის მკვლელობისთვის შურს იძიებდა.

თავის მხრივ, რუსული სააგენტო „კრიმინალნაია როსია“ აქვეყნებს ანალიტიკურ სტატიას იმის შესახებ, ვის შეიძლება მოეკლა პოსტაბჭოთა სივრცის ყველაზე გავლენიანი „კრიმინალური ავტორიტეტი“ „დედ ჰასანი“: **„დედ ჰასანის“ მკვლელობის სავარაუდო შემკვეთად, მოწინააღმდეგე დაჯგუფების ლიდერი, ასლან უსოიანის ერთ-ერთი მთავარი მტერი, როვშან ჯანიევი, მეტსახელად როვშან ლენქორანელი სახელდება. ცოტა ხნის წინ, 2012 წლის ნოემბერში, როვშანსა და „დედ ჰასანს“ შორის დაპირისპირება მოხდა. ამის შედეგად „სხოდკაზე“ როვშანს კანონიერი ქურდის ტიტული ჩამოართვეს, ამიტომ იყო ის დაინტერესებული „დედ ჰასანის“ სიკვდილით“.**

სამართალდამცავების ინფორმაციით, სანამ ასლან უსოიანი ომს აწარმოებდა მის ძველ მტერ ტარიელ ონიანთან, ვერ შეამჩნია, რომ კრიმინალურ სამყაროში ახალი მტერი გამოუჩნდა — დაჯგუფება, რომელსაც სათავეში „კრიმინალური გენერლები“ — ჯემალ მიქელაძე (ჯემო) და როვშან ჯანიევი ედგნენ. როვშან ლენქორანელი, რომლის კრიმინალური კარიერა 1996 წელს დაიწყო, ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი „კანონიერი ქურდია“. მას აზერბაიჯანული დაჯგუფების ლიდერობაზეც აქვს პრეტენზია. ამის წინააღმდეგ აზერბაიჯანში „დედ ჰასანის“ მომხრეები გამოდიოდნენ, მათ შორის იყვნენ ბახიშ ალიევი (ვახა), ნადირ სალიფოვი (ლოთუ გულუ) და იოსებ ალიევი (იუსკა შამქირელი).

„ვახასა“ და როვშანს შორის, ერთ-ერთი მთავარი დაპირისპირება მოსკოვის საბითუმო ბაზრის კონტროლის ირგვლივ მოხდა. ასევე, 2009 წელს, როვშანის ერთ-ერთ ბიზნესს „დედ ჰასანის“ ცნობილი მომხრე კანონიერი ქურდი „იაპონჩიკი“ ეცილებოდა, რომელიც იმავე წლის ზაფხულში მოკლეს. ამის მერე როვშანმა აზერბაიჯანელი ქურდების მოშორება გადაწყვიტა და ყველანი ციხეში ჩასვა. მან თავდაპირველად მოიწვია „სხოდკა“. ადგილზე მისულ აზერბაიჯანელ „ავტორიტეტებს“, როვშანის ნაცვლად, პოლიცია დახვდათ, მაგრამ ისინი მალევე გამოუშვეს. ამით როვშანმა „დაამტკიცა“, რომ პოლიციასთან საქმის სწრაფად მოგვარება შეუძლია.

ამის შემდეგ, ჯანიევი უკრაინაში ყალბი პასპორტის გამო დააკავეს და მოგვიანებით, აზერბაიჯანში მოახდინეს მისი ექსტრადიცია. ციხეში მინიმალური სასჯელი მოიხადა და გამოვიდა. ამ დროისთვის, ჯანიევი უკვე მოქმედებდა ორ ქართველ ქურდთან, „ჯემოსა“ და მამუკა მიქელაძესთან ერთად. ისინი ასევე იყვნენ „დედ ჰასანის“ კლანის მტრები. ჯემო





კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურაა. ნებისმიერ კონფლიქტში მას ყოველთვის ყველასგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ბოლო დროს ევროპაში ცხოვრობდა და არ მალავდა კავშირს უსოიანის მოწინააღმდეგე მერაბ ჯანგველაძესთან. მისი ინიციატივით, მიქელაძემ მოსკოვში „სხოდკა“ მოაწყო, სადაც კანონიერი ქურდი ვაგიფიც იყო მიწვეული. ვაგიფმა ჯანიევის „ულირსი ქმედებების“ შესახებ ისაუბრა. ამის გამო ჯანიევმა ხანშიშესულ ვაგიფს სასტიკად სცემა. ფეხებითაც შედგა, რისი უფლებაც არ ჰქონდა. ამ ამბავმა „დედ ჰასანის“ ყურამდეც მიაღწია. ძალიან გაბრაზდა და როვშანის დასჯა გადაწყვიტა, თუმცა ეს უკანასკნელი უკრაინაში გაიქცა. იქ კიდევ ერთხელ დააკავეს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო.

ამის შემდეგ, მიქელაძე-ჯანიევის დაჯგუფებას „კანონიერი ქურდები“, ძმები ქარდავები და „დედ ჰასანის“ ყოფილი მომხრე, „აკონ ჟღალი“ შეუერთდა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ უკანასკნელს „დედ ჰასანის“ შურისძიების ეშინოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, უსოიანზე 2010 წლის 16 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმა, როვშან ჯანიევთან ერთად, მამუკა მიქელაძემ დაგეგმა, ხოლო „აკონ ჟღარმა“ ოპერაციაში კორექტივები შეიტანა. გაჟღერდა ისიც, რომ „დედ ჰასანი“ ერთ-ერთ „სხოდკაში“ მკვლელობის შემკვეთს — კანონიერ ქურდ ჯანიევს ასახელებს. 2011 წლის ივნისში „დედ ჰასანმა“ თავისი მომხრეების „სხოდკაზე“ ჯემალ მიქელაძეს „კანონიერი ქურდის“ ტიტული ჩამოართვა შეურაცხმყოფელი ფორმით. „ჯემოს“, პარიზში დაურეკა და ტელეფონის ხმამაღალ ხმაზე დაყენება მოსთხოვა. ამის შემდეგ განუცხადა — „კანონიერი ქურდი“ აღარ ხარო და შეაგინა.

2012 წლის აპრილში მოკლეს 52 წლის ილგარ ალიევი, მეტსახელად ილგარ დანაბაში, რომელიც „დედ ჰასანის“ ახლო წრეში შედიოდა და მის აზერბაიჯანულ ბიზნესს კურირებდა. მისი მკვლელობა, შესაძლოა, ჯანიევის შეკვეთილი ყოფილიყო, რადგან ალიევი აზერბაიჯანში მისი საქმიანობის მთავარი კონკურენტი გახლდათ. ამასთან, მათი პოზიციები მკვეთრად განსხვავდებოდა „ქურდულ მიმართულებებთან“ დაკავშირებით. 2012 წლის ივნისში, დუბაიში, საქმეის გარჩევის დროს, როვშანი ლევან ჯანგველაძემ დაჭრა, რომელიც სოხუმელი „ქურდული კლანების“ ლიდერის, მერაბ ჯანგველაძის ძმაა. იმავე წლის სექტემბერში, ჯანგველაძეზე ევროპაში ცეცხლსასროლი იარაღიდან თავდასხმა განხორციელდა. 2012 წლის ნოემბერში, აზერბაიჯანის ციხეებში ჯანიევის შესახებ „პრაგონი“ გავრცელდა, რომელსაც 21 ქართველი და 9 აზერბაიჯანელი ქურდი აწერდა ხელს და რომლის ინიციატორიც „დედ ჰასანი“ იყო. ჯანიევს „კანონიერი ქურდის“ ტიტული ჩამოერთვა. 2012 წლის მთელი შემოდგომა და დეკემბერი, ჯანიევის ოპოზიცია „სხოდკების“ მოწვევით იყო დაკავებული და განიხილავდა უსოიანის დისკრედიტაციის საკითხსა და ახალი ომის წარმოების გეგმას. ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ უსოიანი ქართველ და აზერბაიჯანელ „ქურდებს“ უნდა შეხვედროდა. სომეხი ექსპერტი სერგეი გალოიანი კი ასლან უსოიანის მკვლელობას რუსული კრიმინალური სამყაროს ქართული ფრთის ხელმძღვანელის, ტარიელ ონიანის, იგივე „ტაროს“ სახელს უკავშირებს. მისი თქმით, კლანებს შორის ჩუმი ომი ჯერ კიდევ 2006 წლიდან დაიწყო. ოფიციალურად ცნობილი გახდა 2008 წლიდან. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მათ კონტროლის დამყარება სოჭში, ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე სურდათ. გალოიანის თქმით, „დედ ჰასანის“ შემცვლელის ოთხი კანდიდატურა სახელდება, თუმცა მათ შორის სომხები არ არიან.

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მოსკოვს „დედ ჰასანის“ კლანში არმყოფი ე.წ. კანონიერი ქურდები ტოვებენ, რადგან დაპატიმრებისაც ეშინიათ და „დედ ჰასანის“ მომხრეების შურისძიებისაც.

## „მშვიდად ვცხოვრობ, ხელს არავის ვახლებ“

***რუსული ინტერნეტ-გამოცემა „კპ.რუ“ ასლან უსოიანის ერთადერთი ინტერვიუს ფრაგმენტს აქვეყნებს, რომელიც დამოუკიდებელმა რეპორტიორმა მაქსიმ გლიკინმა მასთან 2009 წელს ჩაწერა.***

— **რა ხდება დღეს ქურდულ სამყაროში?**

— მე უკვე შორს ვარ ამისგან. ჩვენ მშვიდობიანი ადამიანები ვართ, ხელს არავის ვუშლით. გვსურს მშვიდობა და არ გვინდა, რომ იყოს უკანონობა. წყნარად ვცხოვრობთ.

— **საკუთარ თავს მშვიდობისმყოფელ ადამიანად მიიჩნევთ?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მშვიდად ვცხოვრობ, ხელს არავის ვუშლი, მე მშვიდობისმყოფელი ვარ.

— **თქვენს კრიმინალურ ისტორიას ადამიანები უნდა შეურიგდნენ?**

— სად წავიდე, მოხუცი ვარ უკვე, ცხოვრებაში მრავალი რამ ვნახე — ვიცი, რასაც ვამბობ.

— **ჯემა გახსოვთ? (კანონიერი ქურდი ევგენი ვასინი, რომელიც 2001 წლის ოქტომბერში ხაბაროვსკის საგამოძიებო იზოლატორში გარდაიცვალა).**

— ჩვენ ტობოლსკში ერთად ვიხდიდით სასჯელს. შემდეგ მის დაბადების დღეზე ვიყავი: აკორდეონი, დასვენება... ის ძალიან წესიერი ადამიანი იყო.




— **ის „კანონიერი ქურდია“, რა წესიერებაზე საუბრობთ?**

— ეს ყველაფერი სისულელეა. თუ ვინმე ბავშვს მოკლავს, თავსაც მოვაჭრით. არსებობს ღმერთი, სამართლიანობა და ის აღდგება.

— **ღმერთის გწამთ?**

— წლების მატებასთან ერთად, დიახ. ცხოვრება თამაშია. გნებავთ, დაიჭირეთ ქურდი. დაიჭერენ და შემდეგ მომდევნო ეტაპზე გადადის. ციხეში წიგნების კითხვას იწყებს. ჭკვიანური წიგნები უნდა იკითხო, ჭკვიანურ ფილმებს უყურო და არ დაეშვა იმ ადამიანის დონემდე, რომლისთვისაც მხოლოდ მოპარვაა მნიშვნელოვანი. უნდა განვითარდე.

— **თქვენ განვითარდით. სერიოზული ავტორიტეტი გაქვთ.**

— ჩვენი სამყარო სხვაა.

— **რას ფიქრობთ ზაქრო კალაშოვის დაკავების შესახებ? (ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, რომელსაც ფულის გათეთრებისთვის ესპანეთში 7,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს).**

— ყველაფერი არასწორად გაკეთდა. რამდენი სიკეთე აქვს მას ადამიანებისთვის გაკეთებული. ამას არავინ დაივიწყებს, მაგრამ ესპანეთში მისი დაკავება არასწორი იყო. მას ბევრი მტერი ჰყავს, ათასგვარ სიბინძურეს სწამებენ, ისე, უბრალოდ.

— **მას ნათლიმამად მიიჩნევდნენ, თქვენ კი მეორე პირად მის შემდეგ?**

— არ არის ეს სიმართლე. ვიღაცას მისი გაშავება და იმის წართმევა სურს, რაც რუსეთში გააჩნია. ის ხომ ბიზნესით იყო დაკავებული. ზოგადად, მსურველები ბევრნი არიან.

— **თქვენ არ გსურთ ნათლიმამობა?**

— მე პენსიონერი ვარ, პენსიაზე ვცხოვრობ.

— **ნამდვილად პენსიით ცხოვრობთ?**

— შეიძლება ითქვას, კი.

— **ოპერატიული მონაცემების მიხედვით, კალაშოვის დაკავებით კრიმინალური სამყაროს მმართველი წრე გაშიშვლდა.**

— ყველაფერი, რასაც კალაშოვის შესახებ ლაპარაკობდნენ, ცუდია. ის კარგი, კეთილი ადამიანია, ქურდებთან მუშაობდა, მაგრამ ეს ხომ ნორმალურია. რატომ არავინ კითხულობს: რაც ერთისთვის ნებადართულია, მეორისთვის არ არის? ასე ვართ მე და შაქრო. ის ქურდის კვალობაზე ცუდად მოიქცა, როცა თბილისში სასახლე აიშენა. მოკრძალებული უნდა იყო.

— **თქვენ ტვერსკის ქუჩაზე არც ისე ცუდად ცხოვრობთ.**

— მე მოკრძალებულად ვცხოვრობ. ხელს არავის ვახლებ. მინდა, მშვიდად დავასრულო სიცოცხლე.

## „კანონიერი ქურდი“ — ძალადობრივი საზოგადოების ნაშიერი

კანონიერი ქურდი — ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ტერმინი. „კანონიერი ქურდები“ — დანაშაულებრივი გაერთიანება, რომელსაც მსოფლიო პრაქტიკაში ზუსტი ანალოგი არ გააჩნია. ტრადიცია ჩამოყალიბდა 1930-იან წლებში და კრიმინალური კოდექსების მკაცრი პრინციპების არსებობა, ასევე ჩაკეტილობისა და კონსპირაციის გარკვეული დონე ახასიათებს. ძირითადად, „კანონიერი ქურდი“ ითვალისწინებს, რომ ამ ტრადიციების მიმდევარი უნდა იცავდეს გარკვეულ ადათ-წესებსა და პრინციპებს. კანონიერი ქურდების გამოჩენას მიაწერენ 1930-იან წლებს, როცა სტალინის რეჟიმის რეპრესიებით პოლიტიკური ოპოზიციის აქტიურობა ჩაიხშო და გაძლიერდა ბრძოლა ზოგად კრიმინალთან.

კანონიერ ქურდებს ქცევის, ტრადიციებისა და ადათ-წესების გამორჩეული კოდექსი აერთიანებდა. მაგალითად, კანონიერ ქურდს რომელიმე ქალთან მუდმივი კავშირი არ უნდა ჰქონოდა, სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა ეკრძალებოდა.

1940-იან წლებში კანონიერი ქურდების უმრავლესობა მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში და ტრადიციებმა აქტუალობა ოდნავ დაკარგა. ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამო, ასეთ მონაწილეებს „ბოზებს“ (რუს. „სუკი“) უწოდებდნენ. დიდი სამამულო ომიდან დაბრუნების შემდეგ, ისინი დაბრუნდნენ გულაგში, სადაც მათ და „კანონიერ ქურდებს“ შორის (რომლებმაც საკუთარ პრინციპებზე უარი არ თქვეს) ე.წ. ბოზური ომი (რუს. „სუჩია ვოინა“) დაიწყო.

1979 წელს კისლოვოდსკში შედგა კრიმინალური ლიდერებისა და არალეგალი მეწარმეების (ე.წ. ცეხოვიკების) შეხვედრა, „სხოდკა“. მიაღწიეს შეთანხმებას — მეწარმეები შემოსავლის 10%-ს გადაიხდიდნენ ქურდების მხრიდან ხელშეუხებლობის სანაცვლოდ.

„კანონიერ ქურდად“ ითვლება ადამიანი, რომელიც ნასამართლევია და წარმოადგენს დანაშაულებრივ სფეროში გარკვეულ ავტორიტეტს. მის მიმართ შემდგომში ხორციელდება სპეციალური პროცესი, რის შემდეგაც იგი „მონათლულია“ კანონიერ ქურდად.

სხვა კრიმინალური საზოგადოებისგან განსხვავებით, კანონიერი ქურდების გაერთიანებას ერთი ფუძე არ გააჩნია. მისი ზედა დონე მოქმედებს მონაწილეთა სრული თანასწორობის პრინციპით. მსგავსი გაერთიანებების მართვის ორგანოა „სხოდკა“, რომელზეც საორგანიზაციო საკითხები წყდება, მათ შორის, წერილობითი მიმართვები, დანაშაულებრივი სამყაროს მიმართ („ქსივები“, „ქურდული პრაგონები“). „კანონიერი ქურდები“ მიისწრაფვიან პატიმრებზე კონტროლის დამყარებისკენ — როგორც მიმართვებით, ასევე მოსყიდვითა და დაშინებით.

კანონიერი ქურდების გაერთიანების ფუნქციებში შედის: ცალკეული კრიმინალებისა და მათი ჯგუფების გაერთიანება, კრიმინალური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს კონტროლი, კრიმინალურ სფეროში კონფლიქტების მოგვარება, საერთო დანაშაულებრივი სალაროების („ობშიაკების“) გამოყენების კონტროლი, უცხო ქვეყნების დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან გარე კონტაქტები.

„კანონიერი ქურდები“ ერთიან ჯგუფს არ წარმოადგენენ. მათ შორის მუდმივად არის ბრძოლა მმართველობისათვის. გამოირჩევა დაჯგუფებები: „კანონიერები“, „შავები“ და „წითლები“, „სლავები“ და „კავკასიელები“, „აგურები“ და „ყვავები“. განსაკუთრებით საშიშია ისეთი „კანონიერი ქურდები“, რომლებიც აკონტროლებენ ეკონომიკურ კრიმინალს და ახდენენ გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე. მაგალითად, რუსეთში ასეთი ადამიანი დაახლოებით 10-15-ია.

დასკვნა ერთმნიშვნელოვანია: საბჭოური „კანონიერი ქურდები“ ისევე, როგორც მათი სხვა მახინჯი ანალოგები, ძალადობრივი საზოგადოების, ასეთი სისტემების ნაშიერები და მსხვერპლნი არიან. ამ სოციალური კასტის ადგილი არ არის ისეთ ქვეყანასა და გარემოში, სადაც ჰუმანური კანონი და სამართლიანობაა. სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 20 წლის შემდეგაც, საქართველომ ამ თვალსაზრისით, პოსტსაბჭოთა სივრცეს თავი ვერ დააღწია. კრიმინალთან მებრძოლმა ხელისუფლებამ, შეიძლება ითქვას, თავად დაიკავა „ქურდების“ ადგილი, როცა, მაგალითად, სასჯელაღსრულების სისტემაში, უსასტიკესი რეჟიმი დაამყარა. ახალი მთავრობის ერთ-ერთი ვალდებულება, ამ მოჯადოებულ წრეს თავი დააღწიოს.

## საპარლამენტო ასამბლეა: „კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგები მთავარ პრობლემად რჩება“



საქართველო-რუსეთს შორის 2008 წლის ომიდან ოთხი წლის შემდეგ, კონფლიქტის ჰუმანიტარული შედეგები მთავარ პრობლემად რჩება, — ამის შესახებ ნათქვამია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში, რომელიც სტრასბურგში მიიღეს. რეზოლუციის თანახმად, სტატუსის შესახებ ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხრიდან განსხვავებული პოზიციის არსებობა ჰუმანიტარულ საკითხებში პროგრესის მიღწევას ხელს უშლის.

**„ეს საკითხები პოლიტიკური ხასიათისაა, მეორეხარისხოვანი უნდა იყოს და არა — პირველადი, ჰუმანიტარული განხილვისას. საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებით გამოწვეული პოლიტიკური ცვლილებები, იძლევა დიალოგის მზაობის გაგრძელების შესაძლებლობას საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების შესრულებისთვის. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საკითხია, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება. რეალურად კი, ეს უფლება მეტწილად, იგნორირებულია ასეთ პირთა უმრავლესობისთვის“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, სიტუაცია კვლავ დაძაბულია ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრებთათვის, თუმცა არა 2008 წლის ომის დონეზე:

**„რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარების ყოფნა როგორც აფხაზეთში (საქართველო), ასევე სამხრეთ ოსეთში (საქართველო) ურთიერთგამომრიცხავად არის შეფასებული. საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების უმრავლესობისთვის ეს ჩანს, როგორც ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია მეზობლის ჯარების მიერ. მეორე მხრივ, რუსეთის ფედერაციისა და დე-ფაქტო ხელისუფლებისთვის ეს ჩანს, როგორც კონფლიქტის განუახლებლობის გარანტია. უსაფრთხოებისა და გრძელვადიანი ნდობის აღსადგენად ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე ერთმანეთის პირისპირ მდგომი ჯარისკაცების დაყენება კი არ არის საჭირო, არამედ ძლიერი ნეიტრალური საერთაშორისო სამშვიდობო და მონიტორინგის ჯგუფის არსებობა საზღვრის ორივე მხარეს“.**

ასამბლეა შეშფოთებულია ეთნიკური ქართველების სიტუაციით გალისა და ახალგორის რაიონებში. ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მოუწოდებს საქართველოს, რუსეთის, სოხუმისა და ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებას, მხედველობაში მიიღოს და შეასრულოს რეკომენდაციები, რომელსაც შეიცავს ასამბლეის 2009 წლის რეზოლუციები საქართველო-რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგების შესახებ; ინტენსიურად იმუშაოს უსაფრთხოების საკითხების გადაჭრაზე ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების პირველი ჯგუფის ფარგლებში; უზრუნველყოს ყველა გადაადგილებული პირის უსაფრთხოდ და ღირსეულად, ნებაყოფლობითი დაბრუნება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; უზრუნველყოს რეგიონში მცხოვრები ყველა ადამიანის დაცულობა და უსაფრთხოება; უზრუნველყოს გადაადგილების თავისუფლება ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლზე ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენისა და ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებისთვის; დაიცვას მშობლიურ ენაზე სწავლების უფლება.

ასამბლეა რუსეთის ხელისუფლებას მოუწოდებს, სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამდგომლობით მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება; გამოიყენოს ყოველგვარი ძალისხმევა უამრავი ეთნიკური ოსი დევნილის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მოსაგვარებლად.

ამავდროულად, მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, დააჩქაროს საერთაშორისო საქმის მოსმენა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ.

რეზოლუციის ტექსტი ევროსაბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

*„ინტერპრესნიუსი“*



# ჰოროსკოპი
## 25 იანვარი

***ვერძი*** — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ. თქვენს ქცევაში კი ბევრი სიმსუბუქე და სპონტანურობა იგრძნობა, თუმცა მაინც ახერხებთ ნებისმიერ წვრილმანს მიაქციოთ ყურადღება. შესაძლოა, კარგი ამბები შეიტყოთ ნათესავისგან, რაც თქვენს მომავალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას იქონიებს.

***კურო*** — დღეს შეგიძლიათ თანხა გააპროცენტოთ, თუკი სამისო დანაზოგი მოგეპოვებათ. თამამად წარმოაჩინეთ თქვენი ინიციატივა და იდეები კოლეგებსა და უფროსობასთან. საღამოს კი შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ, ძილის წინ ცხელი აბაზანა მიიღეთ და დაძაბულობა მოიხსენით.

***ტყუპები*** — სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრების ასრულებისთვის ეს დღე საუკეთესოა. ტყუილის თქმა და თავის დაძვრენა არ გიშველით, ამით მხოლოდ საკუთარ თავს დააზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავება და აუცილებლად მოგეცემათ შესაძლებლობა, დასახულ მიზანს მიაღწიოთ. დღეს დიდია ალბათობა ახალი რომანტიკული კავშირისა.

***კირჩხიბი*** — დღეს უფროსობასთან ურთიერთობაში სიბრძნე და გამძლეობა გამოავლინეთ. გულღია საუბარი დაგიბრუნებთ საკუთარი ძალების რწმენას. ბავშვებს დიდი ხნით ნუ მოაცილებთ თვალს, რაიმე უბედურებას რომ არ მოეწიონ. თუ კუჭის პრობლემა გაქვთ, დღეს მენიუდან გამორიცხეთ მარილიანი და მწვავე საკვები. ფინანსისტებისთვის კი საკმაოდ კარგი დღეა.

***ლომი*** — დღეს, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ, რაც თქვენგან ტაქტის გამოჩენასა და გამძლეობას მოითხოვს. ვერ მოახერხებთ უსიამოვნო, სერიოზული საუბრის თავიდან აცილებას, მაგრამ საღამო მეტ იდილიას გპირდებათ. გაანებივრეთ შვილები ახალი სათამაშოთი ან საინტერესო წიგნით და დრო მათ საზოგადოებაში გაატარეთ.

***ქალწული*** — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. ყურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას. ურთიერთობა შეიძლება ხანმოკლე აღმოჩნდეს. მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — არ არის მაინცდამაინც სასიკეთო პერიოდი კარდინალური ცვლილებებისთვის, თუმცა წარმატებული დღეა შემოქმედებითი პროფესიის მქონე ადამიანებისთვის.

***სასწორი*** — დღეს შესაძლოა ცვლილებების სამსახურში. არ არის გამორიცხული, ვიღაცამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა და ზედმეტად თავდაჯერებულად ჩაგთვალოთ. მოსალოდნელია მატრიალური სირთულეები, თუმცა ამ მცირე უსიამოვნებას, გავლენიან ადამიანებთან შეხვედრა გადაფარავს.

***ღრიანკალი*** — დღეს განსაკუთრებით ორგანიზებული და ყურადღებიანი უნდა იყოთ, რათა მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულოთ. შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. ხანმოკლე სამსახურებრივმა რომანმა კი, შესაძლოა, დღეს კოლეგებისა და უფროსობის მხრიდან თქვენს მიმართ ზიზღი გამოიწვიოს. ფრთხილად იყავით ავტომობილის მართვისას.

***მშვილდოსანი*** — სავარაუდოა, რომ მშვილდოსნებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყოს. ამიტომ ემოციები მოთოკეთ და სამსახურში განსაკუთრებით თავაზიანი იყავით კოლეგების მიმართ. დღეს თუ სამკურნალო პრეპარატები დაგჭირდათ, ყურადღება მიაქციეთ ვადას და თავი შეიკავეთ მძიმე საკვებისგანაც.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს კარგად ისარგებლებენ სიტუაციით და საქმეში წარმატებასაც მიაღწევენ. პირად ცხოვრებაში შესანიშნავი პერსპექტივა გეხსნებათ, თუკი ურთიერთობის ინტელექტუალური მეთოდები მოგწონთ. შესაძლოა, ასევე, პატარა პრობლემები საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობაში.

***მერწყული*** — კარგი დღეა ფინანსური ოპერაციებისა და კარიერაში წინ წაწევისთვის. დიდია ალბათობა გავლენიან ადამიანებთან შეხვედრისა. დღის მეორე ნახევარში ცოტა მოეშვით და თავს დასვენების უფლება მიეცით. შეგიძლიათ, თეატრში ან კინოში წახვიდეთ ან დრო მყუდროდ, ოჯახურ წრეში გაატაროთ.

***თევზები*** — თევზებისთვის აქტიური, შემოქმედებითი დღეა. კარგად წავა საქმეები ბირჟაზე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, თავი აარიდეთ მემკვიდრეობის საკითხებს. დღე საკუთარ თავს კი არა, საყვარელ ადამიანს მიუძღვენით. ვარსკვლავები გვიმტკიცებენ, რომ მსგავს გარემოში დროის გატარება ძალიან სასარგებლო იქნება.



# ფერადი ჭურჭელი სწორად კვებას გასწავლით

ახალი გამოკვლევის შედეგები გასაოცარი აღმოჩნდა. დიეტით გამწარებულ ადამიანებს შეუძლიათ, აღარ ინერვიულონ იმაზე, როგორ დაიკლონ ჭარბი წონა. საქმე ის არის, რომ მოდიეტეთა უმრავლესობა იმაზე ფიქრობს, რისი ჭამა შეიძლება და რისი — არა, თუმცა აღმოჩნდა, რომ უფრო შედეგიანი ყოფილა იმაზე ფიქრი, რა ფერის თეფშიდან მიირთმევ საკვებს. გაირკვა, რომ ადამიანები კერძის უფრო მეტ ულუფას იდებენ თეფშზე, თუ ის საკვების ფერისაა. მოკლედ, თუ საჭმელიცა და ჭურჭელიც ერთ ტონშია გადაწყვეტილი, ადამიანი 20%-ით მეტს მიირთმევს, ვიდრე სხვადასხვა ფერების შემთხვევაში. მაგალითად, მაკარონი, ბრინჯი ან კარტოფილი, სჯობს, მუქი ფერის თეფშიდან მიირთვათ. მკვლევარები დარწმუნებულები არიან, რომ გახდომის მსურველები თუ ფერად ჭურჭელს გამოიყენებენ, საკუთარ თავს დაეხმარებიან და წონის მოკლებასაც ადვილად შეძლებენ. მეცნიერები ასევე მიიჩნევენ, რომ ეს ფაქტები მშობლებსაც დაეხმარება ბავშვების კვებაში. მაგალითად, თუ მათ მწვანე თეფშზე დაუდებთ ბოსტნეულს, ეს მათ ვიზუალურად მოატყუებს და შეგიძლიათ, უფრო მეტი სასარგებლო საკვები მიაღებინოთ, რაც აუცილებელია ორგანიზმის განვითარებისა და ზრდისთვის.

# ენერგეტიკულ სასმელს მომადუნებელი ჩაანაცვლებს




ბოლო ათი წლის განმავლობაში ადამიანები აქტიურად სვამდნენ ენერგეტიკულ სასმელს, რომელიც ნერვულ სისტემას ასტიმულირებს. ახლა კი, როგორც ჩანს, მოდუნების დროც მოვიდა. ჯერ კიდევ 2005 წლიდან ბაზარზე გამოჩნდა, ეგრეთ წოდებული მომადუნებელი სასმელები დაახლოებით, ასეთი სახელწოდებით: „შვებულება ბოთლში", „ოცნების წყალი", „უბრალოდ დაისვენე" და სხვა. აღსანიშნავია, რომ ასეთი სითხე სხეულს მოდუნებაში ეხმარება, კუნთების დაძაბულობას ხსნის და სტრესის მთავარი ჰორმონის — კორტიზონის დონეს ამცირებს. სასმელი არ შეიცავს ალკოჰოლს, თუმცა ზოგიერთში მელატონინია — ჰორმონი, რომელიც ძილიანობას იწვევს. ჯერჯერობით, ენერგეტიკული სასმელი უფრო ფასობს, თუმცა რელაქსაციის ეფექტის მქონე სითხეს ექსპერტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




**ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.**

**რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.**

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com




## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 5 | 7 | 6 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 2 | 5 | 9 | 4 | 6 | 3 | 1 |
| 1 | 9 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 | 4 | 7 |
| 5 | 2 | 1 | 6 | 8 | 3 | 9 | 7 | 4 |
| 9 | 3 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 |
| 6 | 8 | 4 | 1 | 7 | 9 | 3 | 2 | 5 |
| 2 | 6 | 9 | 8 | 1 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 5 | 8 | 9 | 3 | 6 | 7 | 1 | 2 |
| 7 | 1 | 3 | 2 | 4 | 5 | 8 | 6 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 2 |
| 7 | 2 | 8 | 1 | 6 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 6 | 3 | 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 |
| 3 | 9 | 6 | 7 | 2 | 8 | 5 | 1 | 4 |
| 4 | 7 | 5 | 3 | 1 | 9 | 2 | 6 | 8 |
| 2 | 8 | 1 | 6 | 4 | 5 | 7 | 3 | 9 |
| 8 | 6 | 7 | 2 | 3 | 1 | 4 | 9 | 5 |
| 1 | 4 | 3 | 5 | 9 | 7 | 8 | 2 | 6 |
| 9 | 5 | 2 | 4 | 8 | 6 | 3 | 7 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 7 | 6 | 2 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 5 | 8 | 4 | 3 | 1 | 7 | 2 | 6 | 9 |
| 6 | 2 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 7 |
| 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 8 | 5 | 9 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 7 | 6 |
| 7 | 6 | 5 | 2 | 9 | 1 | 4 | 3 | 8 |
| 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 6 | 9 | 4 | 5 |
| 9 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 8 | 1 |
| 8 | 4 | 1 | 9 | 7 | 5 | 6 | 2 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 3 | 1 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 4 |
| 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 |
| 1 | 2 | 9 | 3 | 6 | 4 | 8 | 7 | 5 |
| 5 | 7 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 6 | 3 | 7 | 5 | 8 | 1 | 2 | 9 |
| 8 | 1 | 7 | 6 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 |
| 3 | 5 | 6 | 8 | 4 | 2 | 7 | 9 | 1 |
| 2 | 9 | 4 | 5 | 1 | 7 | 3 | 6 | 8 |



# ჰოროსკოპი

## 26 იანვარი

***ვერძი*** — დღეს ნათქვამ სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ მიაქციეთ ყურადღება, რას ლაპარაკობთ. სატელეფონო საუბრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. კვლავ წამოიჭრება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თემა კი ძალიან აქტუალური გახდება.

***კურო*** — არ არის გამორიცხული, დღეს კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ. ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი სწორი შეხედულებები კოლეგებს სხვა დროს გაუზიაროთ. ამ ნიშნის წარმომადგენლებს ეს დღე პარტნიორებთან თანხმობის მიღწევასა და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას ჭირდება.

***ტყუპები*** — ტყუპებისთვის დღე, შესაძლოა, უსიამოვნებებით დაიწყოს. ამიტომ, მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტებს ახლობლებსა და ხელქვეითებთან. დღეს შეგიძლიათ ბევრი იფანტაზიოროთ, ეს ხელს ვერ შეგიშლით, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში. არის ალბათობა, მოულოდნელად პრემია ან რაიმე დაუგეგმავი შემოსავალიც მიიღოთ.

***კირჩხიბი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე, მთლიანობაში, სასიკეთოა. თუ კარგად იშრომებთ, შედეგსაც სასურველს მოიმკით. დაწყებული საქმეების მოგვარებაში აუცილებლად დაგეხმარებათ ახლობლების ან მეგობრების რეკომენდაციები თუ რჩევები. ნუ მოეშვებით. მთელი დღის განმავლობაში, ყურადღებით იყავით, რადგან გახსნილი გონება და თავისუფალი აზროვნება დაგჭირდებათ.

***ლომი*** — დღე წარმატებას გიქადით სიყვარულში. კარგი დროა ასევე კულტურულ ღონისძიებებზე, წვეულებებზე წასასვლელად. ბევრმა ლომმა, შესაძლოა, პრემია ან ჰონორარი მიიღოს. დღეს განსაკუთრებით რომანტიკულ განწყობაზე ხართ და მოსაწყენი სამუშაოს შესრულება ძალიან გეზარებათ. დიდია ალბათობა რომანტიკული ნაცნობობისა შორიდან ჩამოსულ ადამიანთან.

***ქალწული*** — დღე უფროსებთან კამათს გიქადით, მაგრამ მთლიანობაში, საკმაოდ ეფექტურად ჩაივლის, თუკი თქვენს პოტენციალს სწორად მიმართავთ და არც ფიზიკურ დატვირთვაზე იტყვით უარს. მიმდინარე საქმეები არც ისე რთული, მაგრამ შემოსავლიანი აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში ფრთხილად იყავით საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხმარებისას, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა.

***სასწორი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ფინანსური დანაკარგების დღე აქვთ— ეს ყველაფერი კი ისევ თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი იქნება. არ არის გამორიცხული, დღის მეორე ნახევარში სასიხარულო შეხვედრა შედგეს. ვარსკვლავები კი შეგახსენებენ, რომ ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრების მონახულებაც საჭიროა. საღამოს შესაძლოა, სტუმრებიც მიიღოთ.

***ღრიანკალი*** — სამსახურში დღეს განსაკუთრებით ფრთხილი და ყურადღებიანი იყავით, ასევე თავაზიანობა და მომხიბვლელობა მოგეთხოვებათ. ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები აფრთხილებენ, ჯანმრთელობასაც უნდა მიაქციოთ დიდი ყურადღება, შეზღუდეთ დღევანდელ მენიუში მარილიანი და ცხიმიანი საკვები. დღის პირველ ნახევარში, შესაძლოა, დაგეგმილი შეხვედრები ჩაგეშალოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებს დღეს მშვიდად და წყნარად ყოფნა მოეთხოვებათ. დიდია საკვებით მოწამვლის ალბათობა. სასიამოვნო და სასიხარულო კი უფროს ნათესავებთან ურთიერთობა აღმოჩნდება. დღის მეორე ნახევარში მეგობრების სტუმრობას უნდა ელოდეთ. რაც შეეხება საქმეს, მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ ფინანსურ ოპერაციებში და სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს.

***თხის რქა*** — დღეს დაგეგმილი მგზავრობა, შესაძლოა, არ შედგეს ობიექტური მიზეზების გამო. ფინანსურ ოპერაციებში მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, დრო ოჯახის პატარა წევრებისთვისაც გამონახოთ, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

***მერწყული*** — დღეს განსაკუთრებით დაკავებული ხართ და არ გყოფნით დრო ურთიერთობებისთვის. მამაკაცები განსაკუთრებულ ნოვატორობასა და ორიგინალურობას გამოიჩენენ მშვენიერ სქესთან ურთიერთობაში. წარმატებული დღეა შემოქმედებითი მერწყულებისთვის. ფინანსების მხრივაც დღე საკმაოდ კარგად ჩაივლის. საღამოს კი შეეცადეთ, ახლო მეგობრებს შეეხმიანოთ ან ცოტა ხნით მაინც შეხვდეთ.

***თევზები*** — შესანიშნავი დღეა შეხვედრებისა და პაემნებისთვის. სახლის საქმეებიც კარგად მიდის. რაც შეეხება სამუშაოს, თავი შეიკავეთ ხელშეკრულებების გაფორმებისგან. კარგი დღეა შოპინგისთვის. გაიარეთ მაღაზიებში და მოულოდნელი საჩუქრით საყვარელი ადამიანი გაახარეთ. საღამო ოჯახურ გამპანიაში გაატარეთ, თუ გართობა გსურთ, მეგობრებთან ერთად, დისკოთეკაზე წადით.

# ვის აქვს ყველაზე განიერი თეძოები?



ეს ადამიანი ლოს-ანჯელესის მცხოვრები, 39 წლის მიქელ რაფინელია. ის მსოფლიოში ყველაზე განიერი თეძოსა და ყველაზე დიდი საჯდომის მქონედ აღიარეს, თუმცა ამის მიუხედავად, ქალი საკუთარ „კონტურებში" თავს კომფორტულად გრძნობს. ის 190 კილოგრამს იწონის, მაგრამ აცხადებს, რომ ჭარბი წონა ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელს არ უშლის და არც აკომპლექსებს. მიქელი რესტორნებშიც ერთობა, თანამედროვე სტილის კაბებსაც იცვამს და სილამაზის სალონებსაც ხშირად სტუმრობ, თუმცა გაბარიტები თავს მაინც ახსენებს ხოლმე. მაგალითად, თვითმფრინავში იძულებულია, ორი ბილეთი აიღოს, რადგან ერთ სავარძელზე ვერ ეტევა. სახლში გვერდულად დადის იმის გამო, რომ კარში მისი მასიური თეძოები არ გადის. საწოლიც სპეციალურად მისთვისაა აწყობილი და მსუბუქი ავტომობილის ნაცვლად, სატვირთოთი გადაადგილდება. ქალბატონი რაფინელის ყველაზე დიდი გულშემატკივარი მისი მეუღლეა, რომელიც აღნიშნავს, რომ ცოლი ისეთი უყვარს, როგორიც არის და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მსუქანია ის თუ გამხდარი. მიქელი კი ამბობს, რომ ახალგაზრდობაში შედარებით გამხდარი იყო, მაგრამ თეძოები ყოველთვის განიერი ჰქონდა — ეს გენეტიკურია, 4 შვილის გაჩენის შემდეგ წონაში საკმაოდ მოიმატა და ჭამაც ძალიან უყვარს. მიუხედავად დიდი გაბარიტებისა, მიქელი საკმაოდ წარმატებული ქალბატონია — ის ჭარბწონიანი მანდილოსნებისთვის განკუთვნილ ტანსაცმელს უკეთებს რეკლამას და ფოტოსესიაში სოლიდურ თანხასაც უხდიან.

# სპირტის ინექციამ გადაარჩინა

ყველასთვის ცნობილია, რომ ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება სიცოცხლისთვის საშიშია, თუმცა რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლის მცხოვრებს ექიმებმა სიცოცხლე სწორედ სპირტის ინექციით შეუნარჩუნეს. ხანშიშესულ მამაკაცს ტაქიკარდია აწუხებდა — ჰქონდა გახშირებული გულისცემა, ტკივილი მკერდის არეში და სუნთქვაც უჭირდა. მედიკოსები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ, 77 წლის მოხუცის განკურნებას, მაგრამ მისი მდგომარეობა ვერ გააუმჯობესეს. მაშინ გადაწყვიტეს, პაციენტისთვის არტერიაში ეთანოლი შეეყვანათ, რათა გულის კუნთის ის ნაწილი მოეცილებინათ, რაც შეტევებს იწვევდა. მედიკოსების გეგმამ გაამართლა: კუნთის დაზიანებული ნაწილი სპირტით გაიჟღინთა და ადვილადაც მოკვეთეს. შედეგად კი, მოხუცს გულისცემა დაურეგულირდა. ასე გადაარჩინეს ბრიტანელი მამაკაცი ალკოჰოლის წყალობით. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ოპერაციები ევროპაში იშვიათად ტარდება.



# ქეით მიდლტონს ჰიპნოზის ქვეშ აჭმევენ



ბრიტანეთის პრინცის, უილიამის მეუღლე ქეით მიდლტონი იძულებულია, ჰიპნოთერაპიის კურსები გაიაროს. ტახტის მემკვიდრის მომავალი დედა, რომელიც ფეხმძიმობის დასაწყისში, ძლიერი ტოქსიკოზის გამო, კლინიკაშიც მოხვდა, დღემდე უმადობითა და დიარეით იტანჯება. ამის შესახებ ერთ-ერთ ავსტრალიურ გამოცემას ჰერცოგინიას მეგობარმა, ჯესიკა ჰეიმ უამბო. მიდლტონის ჭორიკანა დაქალის (პირველად სწორედ მისგან გამჟღავნდა ქეითის ორსულობის ამბავი) თქმით, სამეფო ოჯახის წევრს საშინელი უმადობა სჭირს და საჭმელი ეზიზღება. სწორედ ამის გამო, ქეითი იძულებული გახდა, ჰიპნოთერაპევტის დახმარებისთვის მიემართა. ეს მეთოდი საკვებთან დაკავშირებულ ყველა უარყოფით აზრს უკუაგდებს, — ამბობს ჯესიკა. ჰიპნოზის სეანსები ქეითს დაეხმარა და ახლა ის სიამოვნებით მიირთმევს ფეხმძიმესთვის სასარგებლო პროდუქტებს, სამეფო ოჯახი კი დიდი სიხარულით ელის ტახტის მემკვიდრის დაბადებას, — დასძენს მიდლტონის მეგობარი.

# სარკოზიც დეპარდიეს გზას ირჩევს?



როგორც ბრიტანული გაზეთი The Evening Standard წერს, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ლონდონში გადასასვლელად ემზადება, რათა თავი აარიდოს უმდიდრესი ადამიანებისთვის დაწესებულ გადასახადს. ქვეყნის ამჟამინდელი ლიდერი ფრანსუა ორლანდი მოითხოვს, შემოიღონ ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც, იმ პირებმა, ვინც წელიწადში ერთ მილიონ ევროზე მეტს გამოიმუშავებს, ბიუჯეტის სასარგებლოდ საკუთარი შემოსავლების 75% გადარიცხონ. ნისლიან ალბიონზე გადასვლის შემდეგ, სარკოზის განზრახული აქვს საინვესტიციო ფონდის დაფუძნება. ამ კომერციული ორგანიზაციის კაპიტალმა, შესაძლოა, 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინოს. გამოცემის ვარაუდით, ექსპრეზიდენტი და მისი მეუღლე კარლა ბრუნი საცხოვრებლად, ალბათ, ლონდონის პრესტიჟულ რაიონს, სამხრეთ კენსინგტონს აირჩევენ, თუმცა სარკოზისთან დაახლოებული წყაროები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ საფრანგეთის ყოფილ ლიდერს ლონდონში მხოლოდ კერძო კომერციული ორგანიზაციის დაფუძნება სურს. ქვეყნის ხელისუფლებას ჯერ არ შემოუღია 75%-იანი გადასახადი მდიდრებზე, მაგრამ ამის თაობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ ცნობილ ადამიანებში დიდი მღელვარება გამოიწვია. ცოტა ხნის წინ ქვეყანა ჟერარ დეპარდიემ დატოვა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში კი საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი იმ მომენტისთვის ქვეყნის უმდიდრესმა ფრანგმა, ბერნარ არნომ თქვა და ბელგიაში გადავიდა საცხოვრებლად.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | 8 | | 2 | | | |
| 5 | 1 | | 6 | | | | | |
| | | | | | | 6 | 3 | |
| 2 | 5 | | | | | 3 | | 4 |
| 3 | | | | 5 | | | | 9 |
| 9 | | 6 | | | | | 5 | 1 |
| | 4 | 9 | | | | | | |
| | | | | | 4 | | 1 | 8 |
| | | | 1 | | 5 | | | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | 9 | | | | 1 |
| 3 | | | | | 6 | 5 | 4 | |
| 9 | | | | | 4 | 6 | | |
| | 5 | | 2 | | 3 | | | |
| | | | | 1 | | | | |
| | | | 4 | | 8 | | 6 | |
| | | 7 | 9 | | | | | 3 |
| | 8 | 5 | 6 | | | | | 7 |
| 4 | | | | 2 | | 1 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 5 | 2 | | | | | |
| | | 1 | 9 | | | | | 4 |
| 8 | | | | | 5 | 7 | | 9 |
| | | | 7 | 9 | | | | 3 |
| | 4 | | | | | | 6 | |
| 1 | | | | 4 | 3 | | | |
| 6 | | 2 | 8 | | | | | 7 |
| 5 | | | | | 2 | 8 | | |
| | | | | | 9 | 5 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | | | | | 9 | | |
| | 9 | 3 | | | | | 7 | |
| 8 | | | | | 3 | | | |
| | | 5 | 7 | 8 | | | 6 | |
| | 2 | | 5 | | 9 | | 1 | |
| | 8 | | | 3 | 2 | 5 | | |
| | | | 4 | | | | | 9 |
| | 1 | | | | | 4 | 8 | |
| | | 8 | | | | | 5 | 6 |



## პლანეტის ყველაზე ჭკვიანი ადამიანები დაასახელეს

ორგანიზაციამ Super Scholar, რომელიც მოსწავლეების ინტელექტუალურ დონეს ამოწმებს, პლანეტაზე მცხოვრებ ადამიანებს შორის ყველაზე ჭკვიანების სია გამოაქვეყნა. მათ შორის არის, ცნობილი ფიზიკოსი სტივენ ჰოუკინგი, „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი პოლ ალენი, მოჭადრაკე გარი კასპაროვი და სხვები. როგორც ექსპერტები ხსნიან, სიაში არ არის „ზედა“ და „ქვედა სტრიქონები“ რადგან ინტელექტის შეფასება სუბიექტური საქმეა და გაურკვეველია, რა უფრო მნიშვნელოვანია IQ–ს დონე თუ რეალური მიღწევები ცხოვრებაში. რეიტინგის მიხედვით, ჰოუკინგის IQ 160 ბალია. მის „ანგარიშზეა“ 14 პრემია და 7 წიგნი. გინესის რეკორდების წიგნში კი მითითებულია, რომ პლანეტაზე ყველაზე მაღალი IQ (210) კორეელ ვუნდერკინდს, კინ უნგ-იონგს აქვს, რომელმაც ცხოვრება ფიზიკას მიუძღვნა. მის შესახებ სტატიაში ნათქვამია, რომ უნგ-იონგმა ლაპარაკი 6 თვისამ დაიწყო, სამი წლისა ოთხ ენაზე ლაპარაკობდა, 4 წლის ასაკში იაპონიის ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში რთულ მათემატიკურ ამოცანებს ხსნიდა, ის ფიზიკის თავისუფალ მსმენელად მიიწვიეს ხანიანის (სამხრეთ კორეა) უნივერსიტეტში, 8 წლისა „ნასამ“ მიიწვია კოლორადოს უნივერსიტეტში, 16 წლისამ კი ფიზიკაში უკვე დისერტაცია დაიცვა აშშ-ში. რიკ როსნერი, რომლის IQ 192 ბალით ფასდება, შვეიცარად, ოფიციანტად და მანეკენად მუშაობდა, ვიდრე ტელევიზიაში სცენარისტად არ მოეწყო. გარი კასპაროვის IQ 190 ბალია. აღნიშნავენ, რომ ის რეკორდულად დიდხანს იყო მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში და რუსეთის პრეზიდენტობაზეც იყრიდა კენჭს. როგორც გამოკვლევის ავტორები აღნიშნავენ, დღეს 140 ბალზე მეტი IQ („გენიალურობის“ დონე) დედამიწის მოსახლეობის 0,5%-ს აქვს. ნორმად კი 90-დან 110 ბალამდე მიიჩნევა.

## ტემპერატურას ვარდები გაზომავენ



ამიერიდან, ჰაერის ტემპერატურის გაზომვა ვარდების ფურცლის შეფერილობითაც შეიძლება. პეკინში გამართულ გამოფენაზე ნოუ-ჰაუ წარმოადგინეს — ამ მცენარის ფურცლები სპეციალური შემადგენლობით დაამუშავეს, რომლის წყალობითაც, ისინი ფერს იცვლიან. ეს პროცესი ყვავილზე უბრალო შეხებისას ან თბილი ამოსუნთქვის დროსაც კი ხდება. ფლორისტებმა კიდევ ერთი უჩვეულო სიახლე წარმოადგინეს — ლუმინესცენტური ვარდები. ეს ყვავილები კი ღამის ნათურის რანგში შეიძლება გამოიყენოთ — ისინი სიბნელეში ანათებენ მზის ენერგიის წყალობით, რაც დღის განმავლობაში დააგროვეს.

## ყველაზე ძვირადღირებული სამზარეულო დაამზადეს



იტალიელმა დიზაინერმა კლაუდიო სელიბერტიმ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სამზარეულო შექმნა, რომლის ღირებულებაც 1600 ათას დოლარს აღწევს. სამზარეულო, რომელსაც დიზაინერმა „კრისტალის ყვავილები“ (**Fiore di Cristallo**) უწოდა, ქვისა და მურანოს შუშისგანაა დამზადებული. ამ ლუქს-კლასის გარნიტურის ყიდვის საშუალება და სურვილი თუ გაგიჩნდათ, რიგში ჩადგომა და 8-თვიანი ლოდინი მოგიწევთ, რადგან სამზარეულოს შეძენა ბევრმა მილიონერმა მოინდომა, მის აწყობას კი დიდი დრო სჭირდება. დიზაინერის ამ „საოცარ ქმნილებას“ შეადგენს მაგიდა, რომელიც მურანოს შუშის მთლიანი ნატეხისგანაა გამოთლილი, პროდუქტების დასამუშავებელი დაფაც ქვისაა. საერთო ფასი კი 42 ათასი დოლარია. განათების ნათურები სვაროვსკის კრისტალებით არის გაწყობილი. სამზარეულოს 27 თარო სულ 700 ათასი ღირს. კომპლექტში შედის ასევე 8-ათასიანი მაცივარიც. სამზარეულოს ნიჟარა კრისტალისგანაა შექმნილი და ის 4200, ხოლო ონკანი 2 100 დოლარი ღირს. აღსანიშნავია, რომ ყოველი სამზარეულო ინდივიდუალური იქნება, რადგან კლიენტებს ქვისა და შუშის ფერებისა და დეტალების შერჩევის შესაძლებლობა ექნებათ.

## დღის ძილი ბედნიერების გარანტიაა?



ორგანიზმში გამომუშავებული ბედნიერების ჰორმონების რაოდენობა იმაზეა დამოკიდებული, იძინებს თუ არა ადამიანი დღისით. მკვლევარების მტკიცებით, ისინი, ვინც დღის განმავლობაში წაძინებას ახერხებენ, სხვებზე ბედნიერები არიან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზამთრის პერიოდში, რადგან დღის შუქის ნაკლებობისას, ბევრს ძილი ერევა და ფინჯანი ყავაც ვერ შველის. მძინარებს შორის ინსულტის რისკი 37%-ით მცირდება, მათ ორგანიზმში სეროტონინის დონე მაღალია, რაც დადებითად აისახება ადამიანის შრომისუნარიანობაზე.

## მეტეორიტით ღვინო... კოსმოსის გემოთი



ინგლისელმა იან ჰატჩინსონმა, რომელსაც ჩილეში, სანტიაგოში ვენახები აქვს, გასაოცარი ღვინის დაყენება ისწავლა: ღვინის კასრში, რომელშიც შესანიშნავი კაბერნეა დაწურული, მეტეორიტი მოათავსეს, რომელიც 4,5 მილიარდი წლისაა და ის ადრე, იუპიტერსა და მარსს შორის არსებული ასტეროიდული სარტყლის ნაწილი იყო. ასტეროიდი 6 ათასი წლის წინ ჩილეში, ატაკამას სანაპიროზე ჩამოვარდა. მშვენიერი გემოს მქონე ღვინოს სახელადაც „მეტეორიტი“ უწოდეს, ჯიში — კაბერნე სავინიონია. ჯერჯერობით, მხოლოდ 1500 ბოთლი სასმელის ჩამოსხმა მოხერხდა — მეტეორიტიანი კასრი მხოლოდ ერთია, ღვინო კი მასში მთელი წელი უნდა გაჩერდეს. ამიტომაც, ამ იშვიათი სასმელის დაგემოვნების მსურველები შემდეგი პარტიისთვის რიგში ეწერებიან. ამბობენ, რომ ამ „კოსმოსური“ ღვინის დალევა სპეციალური განწყობით არის აუცილებელი, ამიტომაც მას მხოლოდ ტაგუას ცენტრალურ ასტრონომიულ ობსერვატორიაში ყიდიან.



# ჰოროსკოპი
## 27 იანვარი

***ვერძი*** — დღეს ისეთი აკურატული და მოწესრიგებული იქნებით, როგორც არასდროს. დისციპლინას ისე არაფერი აყალიბებს, როგორც იმის შემეცნება, რომ საკუთარ თავს ეკუთვნით და არავის წინაშე არ ხართ ვალდებული.

***კურო*** — დღეს ისეთი ენერგიული იქნებით, რომ მათაც გააოცებთ, ვინც დიდი ხანია გიცნობთ. ეს კი უფრო მეტ სტიმულ მოგცემთ აქტიურობისთვის. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, შესაძლოა, სასიცოცხლო ენერგია დაქვეითდეს და გადაიღალოთ.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს ფიზიკურ შრომას მიუძღვნან თავი. გონებრივი სამუშაოსგან ზოგჯერ დასვენება აუცილებელია. საღამოს კარგად დაისვენეთ, წყნარ მუსიკას მოუსმინეთ ან დრო ოჯახის წევრებთან, სასიამოვნო საუბარში გაატარეთ.

***კირჩხიბი*** — დღეს იმის გაკეთება მოგიწევთ, რაც არასდროს გაგიკეთებიათ. ეს ნერვებსა და ენერგიას წაგართმევთ, სამაგიეროდ, დღეს აზრიანად გაატარებთ. საღამოს სჯობს, მეგობრებს ესტუმროთ და ერთად თეატრში ან კინოში წახვიდეთ.

***ლომი*** — ლომებისთვის დღე მშვიდი და აუჩქარებელი იქნება. თავისუფლად შეგიძლიათ, რეალობას დროებით გამოეთიშოთ და თავს საკუთარ წარმოდგენებში გასეირნების ნება მისცეთ, იოცნებოთ. დღის მეორე ნახევარში კარგია იქნება, თუ სილამაზის სალონს ესტუმრებით ან მაღაზიებში გაივლით და ახალ კოსმეტიკას შეიძენთ.

***ქალწული*** — ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღეს დიდია ალბათობა ოჯახის წევრებთან კამათისა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ორმხრივ ბრალდებებს და რაც მთავარია, კამათს პირველი ნუ დაიწყებთ.

***სასწორი*** — ვიდრე სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, ჯერ კარგად დაფიქრდით ამ ნაბიჯის მართებულობაზე. შესაძლოა, ამან იქ არ მიგიყვანოთ, სადაც თქვენ გსურთ მისვლა.

***ღრიანკალი*** — დღე შესაძლოა, ძალიან „ცხელი" მოგეჩვენოთ. ბევრი საინტერესო რამ მოხდება და თანაც ერთდროულად. დიდი ძალისხმევის დახარჯვა დაგჭირდებათ, საღამოსთვის მაინც რომ გაერიდოთ მოვლენების ეპიცენტრს.

***მშვილდოსანი*** — არ ღირს, დღეს საზოგადოების ყურადღების მიპყრობა, რადგან არის რეალური რისკი, რომ ამ საზოგადოებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, ვისი ნახვაც მაინცდამაინც არ გაგახარებთ.

***თხის რქა*** — ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე საკმაოდ გრძელი და დამღლელი იქნება. შეიძლება, მხოლოდ ის ისურვოთ, რომ ეს დღე რაც შეიძლება მალე დასრულდეს.

***მერწყული*** — მერწყულებს დღეს წყლის სტიქია თავშეუკავებლად გაიტაცებს. ეს კი, შესაძლოა, საშიშიც აღმოჩნდეს. შეეცადეთ, მორევში არ აღმოჩნდეთ და არ ჩაიძიროთ.

***თევზები*** — დღეს აუცილებლად დაგჭირდებათ ამაღლებული განწყობა და ემოციები. ამის მიღწევას კი დიდი „რაოდენობით" კლასიკური მუსიკითა და ლიტერატურის მიღებით შეძლებთ.



გაზეთ „ვერსიის" რედაქტორს, უმშვენიერეს ქალბატონს

**ნინო ლურსმანაშვილს**

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებსა და დიდ ბედნიერებას საყვარელ ოჯახთან ერთად!

# ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში 26 იანვარს, სატელეკომუნიკაციო კომპანია „ბილაინის" და ბანკ „კონსტანტას" მხარდაჭერით, ელდარ შენგელაიას 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი „არაჩვეულებრივი გამოფენა" გაიმართება.

რეჟისორ ელდარ შენგელაიას იუბილე ასე, ორიგინალურად, პირველად აღინიშნება. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისეთი ცნობილი კინოსცენარების ორიგინალები, როგორიცაა „ცისფერი მთები" და „შერეკილები"

გამოფენა ქართული რეალობისთვის უჩვეულო იქნება, ხელოვნების სასახლის ისტორიული ნაწილის 6 დარბაზი სწორედ რეჟისორის შემოქმედებას დაეთმობა და მთლიანად სასახლე, ქართული კინოფილმების სტილში უნიკალურად გაფორმდება.

საგამოფენო სივრცეში არა მარტო კოსტიუმები, ხელნაწერები და სცენარები იქნება ექსპონირებული, არამედ ნაჩვენები იქნება ვიდეოინსტალაციები, სადაც ელდარ შენგელაიას ყველაზე პოპულარული ფილმების („ცისფერი მთები", „შერეკილები", „არაჩვეულებრივი გამოფენა", „სამანიშვილის დედინაცვალი") ყველაზე ცნობილი მომენტებია შეკრებილი და წარმოდგენილი.

საგამოფენო დარბაზებში რეჟისორის კინოფილმებიდან საუკეთესო ფოტოარქივი გამოიფინება. ასევე სასახლის ერთ-ერთ დარბაზში ფილმის გმირების პროტოტიპები დაიდგმება, რომელთანაც დამთვალიერებელს სურათის გადაღების საშუალება ექნება.

სასახლის ისტორიულ ნაწილში მუსიკითა და სპეციალური ეფექტებით მაქსიმალურად იქნება შექმნილი ელდარ შენგელაიას ფილმებში არსებული სიტუაცია. სპეციალურად, ამ უნიკალური გამოფენისთვის კინოფილმ „შერეკილებში" გამოყენებული საფრენი საშუალება დამზადდება.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის თანამედროვე საგამოფენო სივრცეში კი, პარალელურად, ელდარ შენგელაიას, გიორგი შენგელაიას, ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას პირადი ნივთები გამოიფინება, რომელიც მუზეუმის ფონდებშია დაცული.

***„მედიანიუსი"***

# „კარუსელი" კულტურის სფეროში

24 იანვარს, კულტურის სფეროს ქარიშხალმა გადაუარა და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ჯერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ 9-წლიანი მუშაობის შემდეგ, თანამდებობიდან გაათავისუფლეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე. ამის მიზეზად, კულუარებში, ოპერის განვითარებასთან დაკავშირებით მასა და კულტურის სამინისტროს შორის აზრთა სხვადასხვაობა სახელდება. საყვარელიძის შემცვლელად დირიჟორ გიორგი ჟორდანიას ასახელებენ. ის, რომ ჟორდანია ერთ-ერთი კანდიდატია, უკვე დაადასტურა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, გურამ ოდიშარიამ, ისიც აღნიშნა, რომ საყვარელიძემ თანამდებობიდან წასვლა, მასთან „ხშირი საუბრების" შემდეგ გადაწყვიტა და სამინისტროს მიერ შეთავაზებულ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზეც უარი განაცხადა. მომავალი კვირის სამშაბათს, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის ვინაობა ოფიციალურად გახდება ცნობილი. გურამ ოდიშარიამ არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს თანამდებობას ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილიც დატოვებს.

საყვარელიძის წასვლა თეატრის დასმა გააპროტესტა. მეტიც, დირიჟორმა ჯან-ლუკა მარჩიანომ თქვა, თანამდებობას მეც დავტოვებ, რადგან ამის თაობაზე არავინ დაგვლაპარაკებია და ეს არასწორიაო. ოპერის საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორი რუსუდან მაცაბერიძე აცხადებს, რომ ვალდებულია, დასის გვერდით იდგეს, „თეატრის მომავალი მმართველის არჩევა კი, შემოქმედებით კოლექტივთან ერთად უნდა მოხდეს. დამამცირებელია, როცა არავის არაფერს ეკითხებიან და მსგავს გადაწყვეტილებებს ისე იღებენ. 2008 წელს, ზაზა აზმაიფარაშვილმა შემთხვევით, ტელევიზიით გაიგო მისი მოხსნის შესახებ. ველოდებოდით, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში, დამოკიდებულება შეიცვლებოდა და დაცული იქნებოდა ჩვენი, არჩევანის უფლება". თეატრის მსახიობები იმასაც აპროტესტებენ, რომ თავად ხელმძღვანელმა არ ჩააყენა ისინი საქმის კურსში და იმასაც, რომ მმართველის თანამდებობაზე დირიჟორ ჟორდანიას კანდიდატურა განიხილება. ისინი მიიჩნევენ, რომ მხოლოდ დირიჟორის პროფესია არ უნდა ჰქონდეს ოპერისა და ბალეტის მმართველს. მათ თავისი კანდიდატურებიც ჰყავთ, მაგრამ ჯერჯერობით, მათ ვინაობას არ ასახელებენ.

მოგვიანებით, ვნებათაღელვა დაიწყო, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრშიც, რომლის მმართველმა ზაალ ჩიქობავამაც ასევე დატოვა თანამდებობა. სხვათა შორის,



ამ უკანასკნელსაც, მინისტრ ოდიშარიასთან „ხშირი საუბრების" შემდეგ მიუღია წასვლის შესახებ გადაწყვეტილება. ამასაც თავად ოდიშარიამ მოჰფინა ნათელი, როცა თქვა, ჩიქობავა ჩვენი მეგობარია, მაგრამ მცდელობის მიუხედავად, მის და სამხატვრო ხელმძღვანელ, რობერტ სტურუას ურთიერთობაში პრობლემის მოგვარება ვერა და ვერ მოხერხდაო. **„მცდელობის მიუხედავად, პრობლემა ვერ მოვაგვარეთ. ბოლოს გადაწყვეტილება ასეთი ფაქტის გამო მივიღე: სამხატვრო ხელმძღვანელმა გამოგზავნა დასის სია, რომლისთვისაც 3 თვით ხელშეკრულება უნდა გამეგრძელებინა. ამ სიაში არიან ისეთი ადამიანები, როგორიცაა კახი კავსაძე, ჟანრი ლოლაშვილი, თათული დოლიძე, მურმან ჯინორია, მარინა კახიანი, ნანა ფაჩუაშვილი... მათთან ერთად გავუგრძელო ხელშეკრულება გუშინ მოსულ კანდიდატურებს და ერთ კატეგორიაში გავიყვანო ისინი? ეს ჩემთვის მიუღებელია",** — ასე ახსნა ჩიქობავამ თეატრიდან მისი წასვლა და იმავე დღეს გახდა ცნობილი, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, მის ადგილს, რეჟისორი რობერტ სტურუა დაიკავებს, რომელიც პარალელურად, სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობასაც შეითავსებს.

რუსთაველის თეატრში ჩიქობავას წასვლაც გააპროტესტეს. მაგალითად, მისმა მოადგილე მარინა საღარაძემ განაცხადა, რომ თეატრს ისიც დატოვებს.

24 იანვარსვე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საყვარელიძე-ჩიქობავას ბედს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა რაჭველი გაიზიარებს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის თქმით, ცენტრში არსებული გარკვეული პრობლემების მიუხედავად, რაჭველის გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

***„ვერსიანიუსი"***

**მაია ფურცელაძე და გაზეთ „ვერსიის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს დიტო ტიკარაძეს მამის გარდაცვალების გამო და უთანაგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**


იკითხეთ ოქვენი www.versia.ge

ვერსია

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699



მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com